მარქსის სახ. საქ. სახალხო ბიბლიოთეკა თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 5 ივნისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 128 (2171)

დღიური

— ფინეთში დაიწყო ნავთსადგურების მუშების გაფიცვა.
— ბომბეიში დააპატიმრეს გაფიცულ ფეიქართა ლიდერი დანგე.
— ახლო ხანში ვარშავაში ჩავლენ რუმინეთის გენერალური შტაბის ოფიცრები.
— იტალიის მთავრობამ არ დაუშვა გერმანელი ვექილები იტალიის კომპარტიის ცეკას პროცესზე.
— ძლიერი ქარიშხალი კანადაში.—მოკლულია 1, დაჭრილია 10 კაცი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიმართვა

პარტიის ყველა წევრებისა და ყველა მუშებისადმი

მოსკოვი, 4 ივნისი. ამხანაგებო! მუშათა კლასი, შეკავშირებული გლეხობის ფართო ფენებთან, უდიდეს სიძნელეთა პირობებში შეუდგა ახალი მშენებლობის განვითარებას. ამ მშენებლობის მასშტაბი ბევრად სჭარბობს ომის წინა დროის დონეს. მუშათა კლასი აგებს ახალ ქარხნებსა და ელექტრო სადგურებს, საფუძველს უყრის ახალ მაღაროებს, შემოაქვს ახალი ტეხნიკა და ამით ატარებს მთელი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. ის ახალ ნიადაგზე აწყობს მრეწველობას. მაგრამ ის თავის ამოცანად ისახავს აგრეთვე სოფლის მეურნეობის გადამწყვეტ გარდაქმნას: მას სურს დახმარება გაუწიოს მრავალ მილიონიან გლეხურ მეურნეობებს, კოოპერატიულ ნიადაგზე დააყენოს ყიდვა-გაყიდვა, შესცვალოს სახნისი და ნამგალი ტრაქტორით და სამკალი მანქანით, ერთეული კომლის პრიმიტიული მეურნეობა კოლექტივის სანიმუშო მეურნეობით. მუშათა კლასი და მისი პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ღატაკი, უვიცი ქვეყანა გადააქციოს მდიდარ, კულტურულ სოციალისტურ ქვეყნად პირველხარისხოვანი ტეხნიკით, მოწესრიგებული საზოგადოებრივი მეურნეობით, განათლებით, ფიზიკური, შრომის მოყვარე ხალხით, რომელშიაც სრულებით არ იქნებიან მათხოვრები, ჩაგრულები და უპატრონო ბავშვები, რომლებშიაც აგრეთვე არ იქნებიან არც ექსპლოატატორები, მჩაგვრელები, კაპიტალისტები და მემამულეები.

ამ გაჩაღებულ მუშაობის დროს ჩვენი ქვეყნის გარდასაქმნელად მუშათა კლასი ამჟამად ხვდება საერთაშორისო კაპიტალიზმის გაძლიერებულ შემოტევას, კულაკების წინააღმდეგობას, იმ კულაკების, რომლებიც წარმოიშვენ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა საერთო ზრდის ფონზე, მეურნეობის სოციალისტური სექტორის ზრდის კიდევ უფრო სწრაფი ტემპის მიუხედავად; ის ხვდება ჩუმ საბოტაჟს და ძველ სპეციალისტების ზოგიერთი ფენების მხრივ.

მაგრამ მუშათა კლასი ამჟამად მარტო ამ მტრებს როდი ხვდება. მას წინ ეღობება თავისი სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმი, ამ აპარატის მოუქნელობა, მისი დახავსება და საქმის უმსგავსო გაჭიანურება; ეს ბოროტება წარმოადგენს ძველი ჩინოვნიკური მემკვიდრეობის ნაშთს, მასების ჩამორჩენილობისა და უკულტურობის ნაყოფს; ეს იმის შედეგია, რომ მასებს ჯერ კიდევ საკმაო გამოცდილება არა აქვთ მართვა-გამგეობის დარგში, რომ ისინი საკმაოდ სწრაფი ტემპით არ ებმებიან სახელმწიფოს და სახელმწიფო მეურნეობის ნამდვილი მმართველობის საქმეში.

თავისი განვითარების გზაზე ის ხვდება აპარატის გახრწნილ საფეხურებს, მის დაჟანგებულ და დამპალ ნაწილებს. თავის ყველაზე უფრო მახლობელ ორგანიზაციებშიაც — პროფკავშირებში და პარტიაში—ის ზოგჯერ ხვდება გახრწნას, ჩინოვნიკურ გადაგვარებას, თავაშვებულობას, ლოთობას, ღვარძლიან უყურადღებობას მასების საჭიროებისადმი, უდიერ ყოყოჩურ მოპყრობას „ქვედა ფენებისადმი", პირმოთნეობასა და ლაქუცობას „ზედა ფენებისადმი", უვიცობას, ჩამორჩენილობას, კონსერვატიზმსა და რუტინას. ასეთი აპარატით, რომელსაც მისი უეჭველი დამსახურებების მიუხედავად ამდენი დეფექტები აქვს, შეუძლებელია საკმაო სისწრაფით და წარმატებით ვაწარმოოთ ბრძოლა შინაური მტრის წინააღმდეგ, ფარული დამაზიანებელი მუშაობის წინააღმდეგ, თვით ჩვენი კლასის დეფექტების წინააღმდეგ, მუშაობის მოდუნებული ტემპის წინააღმდეგ ჩვენი სამეურნეო და კულტურული ფრონტის ბევრ ნაწილებში.

ცეკა აცხადებს, რომ რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანები არ შეიძლება გადაიჭრას მასების უღრესად გაბედულ, უღრესად გადამჭრელ, უღრესად თანამიმდევრობით ჩაბმის გარეშე სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში, ამ მილიონიან მასების მხრივ მთელი აპარატის შემოწმებისა და კონტროლის და მისი უვარგისი ელემენტებისაგან გაწმენდის საქმეში.

პარტია გაბედულად და გადაჭრით ააშკარავებდა და ააშკარავებს მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე ჩვენი სამეურნეო ორგანიზმის ყველა დეფექტებსა და წყლულებს. პარტიამ მოუწოდა მშრომელთა სასტიკი თვითკრიტიკისაკენ, რათა ეს თვითკრიტიკა გამხდარიყო იმ ბრძოლის ბერკეტად, რომელიც მიზნად ისახავს მთელი აპარატის ნამდვილად გაუმჯობესებას; თვითკრიტიკა უნდა წარმოადგენდეს ნამდვილ და არა ფორმალურ ბრძოლას ბიუროკრატიზმთან, მასიურ შეტევას ყველა ჩვენი მტრების წინააღმდეგ, დაწყებული კულაკიდან და დამაზიანებლებიდან და გათავებული გახრწნილი ელემენტებით ჩვენს საკუთარ რიგებში.

ლოზუნგი თვითკრიტიკისა „პირების განურჩევლად", ლოზუნგი კრიტიკისა ჩვენი აპარატის მთელი სიგრძე-სიგანით, არის ერთერთი ცენტრალური სადღეისო ლოზუნგი.

პარტიამ უკვე საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა ამ თვითშემოწმებისა და თვითკრიტიკის ორგანიზაციისათვის, რისთვისაც ჩაატარა სათანადო კამპანია პრესაში და ამრიგად ხელს უწყობდა ამ საქმეს ზევიდან. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ ავამოძრავოთ შემოქმედებითი თვითკრიტიკის მძლავრი ტალღა ქვედა ფენებიდან, რომელიც ნამდვილად გამოაცოცხლებს და განაახლებს ყველა ჩვენს პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციებს.

ამიტომ მხოლოდ თანამიმდევრობით ჩატარებული შინაპარტიული და პროფესიონალური დემოკრატია, არჩეულობის პრინციპის სავსებით გატარება, ყველა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოებში, სრული შესაძლებლობა ყოველი მდივნის, ყველა კომიტეტის ბიუროს გადაყენებისა, შექმნის მუდმივ კონტროლს მასების მხრივ და შესძლებს მოაშოროს ბიუროკრატიული ხორცმეტები ჩვენს აპარატს, მოსპოს ბიუროკრატიული გადამახინჯების, ძმაბიჭური საქმიანობის, ჩინოვნიკური ლაქუცობისა და თავხედობის, მასების ინტერესების დავიწყების და მეშჩანური გულდამშვიდების შესაძლებელი შემთხვევები.

ამ ღონისძიებათა გარეშე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ლოზუნგი გადაიქცევა უბრალო ფორმალურ ცნებად, რომელიც მხოლოდ სახელს გაუტეხს მასების თვალში ამ ლოზუნგს, პარტიის ხელმძღვანელობას და თვით პარტიას. ამ გზის გარეშე ჩვენ არ გვაქვს გარანტიები, რომ ჩვენში აღარ განმეორდება შახტის საქმის, სმოლენსკის და არტემოვსკის საქმეების მსგავსი შემთხვევები. ამ გზის გარეშე შეუძლებელია პარტიულ, საბჭოთა და კოოპერატიულ აპარატის გაწმენდა იმ ელემენტებისაგან, რომლებიც უკავშირდებიან კულაკურ-კაპიტალისტურ ელემენტებს ჩვენს ქვეყანაში.

ამრიგად, პარტიული მუშაობის დარგში საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები, გადაიჭრას შემდეგი ამოცანები:

1. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შინა-პარტიული კრიტიკის თავისუფლება, რომელიც სპობს ისეთ მეთოდებს, როდესაც ყოველ დამოუკიდებელ აზრს, ყოველ კრიტიკულ შენიშვნას წინდაწინვე აცხადებენ კლონად.

2. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არჩეულობის პრინციპის სავსებით გატარება.

3. გადაჭრით უნდა მოისპოს კომუნისტების პასუხისმგებლობის შემსუბუქების პრაქტიკა, მათი სხვადასხვა ადმინისტრატიული და სასამართლო სასჯელის შემსუბუქება, და ცხოვრებაში უნდა გატარდეს ლენინის ძველი დებულება პარტიის წევრების უფრო სასტიკად დასჯის შესახებ. პარტიულ ბოროტმოქმედებათ უნდა ჩაითვალოს პარტიის წევრის დანაშაულობისა და შეცდომის მიფუჩეჩება, რაგინდ დიდი ადგილიც არ უნდა ეჭიროს დამნაშავეს პარტიულ ორგანოების სისტემაში.

4. გაძლიერებულ იქნეს პარტიული მუშაობა მასებს შორის და განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცეს მუშების ახალ ფენებს, ახალგაზრდა მუშებს და სოფლის პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ ფენებს. ამასთანავე პარტიული უჯრედები უნდა მუშაობდნენ არა მარტო ფაბრიკა-ქარხნებში, არამედ მუშათა ყაზარმებში, მუშათა ბინებში და საერთო საცხოვრებელ სახლებში, სასადილოებში და კლუბებში.

5. გაუმჯობესებულ იქნეს მუშაობის ღირსება და გადამწყვეტი ზომები იქნეს მიღებული, რათა პროლეტარული საზოგადოებრიობა არ შესცვალოს ადმინისტრატიულმა მბრძანებლობამ და პარტიული ორგანიზაციების წვრილმანმა მეურვეობამ. გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების პრაქტიკიდან პოლემიკის არაამხანაგური მეთოდები, განსაკუთრებით უბრალო მუშების მიმართ.

6. პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების სოციალური შემადგენლობის სისტემის გაუმჯობესებასთან ერთად აუცილებელია, რომ პარტიული აქტივი მაქსიმალურად დაუკავშირდეს მასებს; გარდა ამისა ყურადღება უნდა მიექცეს ამ აქტივის კვალიფიკაციის აწევას მთელ რიგ დარგებში, უწინარეს ყოვლისა, სამეურნეო მუშაობის დარგში (ტეხნიკა, მრეწველობა, აგრონომია და სხ.).

7. კომუნისტების მასაზე ზეგავლენა უნდა გამოიხატებოდეს უწინარეს ყოვლისა, თვით პარტიის წევრების სამაგალითო მაჩვენებელ მუშაობაში, ამასთანავე პარტიის წევრებმა უპარტიო მუშების დახმარებით უნდა აწარმოონ გადამწყვეტი ბრძოლა კომუნისტების ყოფა-ცხოვრების ჭაობში ჩაძირვის წინააღმდეგ.

პროფმოძრაობის დარგში აუცილებელია:

1. უსასტიკესი ბრძოლა პროფკავშირების დემოკრატიის დარღვევის წინააღმდეგ და პირველ რიგში ხელმძღვანელ ორგანოების არჩევა. შესაფერ ორგანოების გადარჩევით ყველა იმ ბიუროკრატიული ელემენტების მოხსნა ხელმძღვანელობიდან, რომელთაც დაჰკარგეს მასების ალღო და გასწყვიტეს კავშირი მათთან.

2. პროფკავშირების ასეთი პოლიტიკა, უზრუნველყოფილი მათი კომფრაქციების შესაფერ პოლიტიკით, როცა პროფკავშირები არავითარ შემთხვევაში ერთი წუთითაც არ გაუშვებენ მხედველობიდან თავის განსაკუთრებულ სპეციფიურ ამოცანებს, რომლებიც სამეურნეო ორგანოების უშუალო ამოცანებისაგან განსხვავდებიან. ასეთ ამოცანებს ეკუთვნის: მუშათა არა მარტო საერთო, არამედ უშუალო საჭიროებათა დაკმაყოფილება, ბრძოლა აპარატის ბიუროკრატიული გადამახინჯების წინააღმდეგ, ფართო კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა, სოციალისტურ მშენებლობაში მუშათა მასების ჩაბმა. უამისოდ პროფკავშირები ვერ გახდებიან „კომუნიზმის სკოლად".

3. პროფორგანიზაციებისა და, პირველ რიგში, მათი ქვედა საფეხურის ქსელის—ფაბ-ქარხკომების, საწარმოო თათბირების და დროებითი საკონტროლო კომისიების მუშაობის გამოცოცხლება.

4. საკონტროლო კომისიების გავრცელება წარმოებისა და ტრანსპორტის ყველა დარგებში.

5. საწარმოო თათბირების გამოცოცხლება. მუშათა პრაქტიკულ წინადადებების რაც შეიძლება დაჩქარებით ცხოვრებაში ნამდვილად გატარების უზრუნველყოფა. ამ საქმის საბოტაჟში ყველა დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა და მათი სამაგალითოდ დასჯა. საწარმოო თათბირები უნდა გადაიქცნენ მასიური კონტროლისა და მუშათა მასების აქტიურ შეგნებულ სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის ორგანოებად, აღზრდის მძლავრ საშუალებად და ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობის ნამდვილად გარდაქმნის ბერკეტად ფაბრიკაში, ქარხანაში, მაღაროში, რკინის გზის დეპოში და მაღაზიაში. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა ყოველ მხრივ დახმარება უნდა გაუწიონ საწარმოო თათბირებს, ხოლო საწარმოო თათბირებმა, როგორც მასიური კონტროლის ორგანოებმა, თავისი მხრით დახმარება უნდა გაუწიონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს.

6. მუშათა უფრო ჩამორჩენილი ფენების ჩაბმა პროფკავშირთა რიგებში, განსაკუთრებული ყურადღება ამ მასების (სასოფლო-სამეურნეო მუშები, არაკვალიფიციური მუშები, ქალები და ახალგაზრდობა) მატერიალური და კულტურულ - პოლიტიკური დონის აწევას.

7. ახალი კადრების დაწინაურება პროფკავშირთა მუშაობაზე, უპარტიოთა ფართოდ ჩაბმა და მათი აქტიური როლის უზრუნველყოფა.

8. აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება პროლეტარულ კადრებს შორის, მათი საწარმოო-ტეხნიკური კულტურიანობის, მმართველობის ცოდნის და თავისი კლასის წინაშე პასუხისმგებლობის აწევა.

საბჭოთა აპარატის დარგში აუცილებელია უდიდესი ენერგიით დაისვას და გადაწყდეს შემდეგი მორიგი ამოცანები:

1. ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და აპარატის შემდგომი გაბედული გამარტივება.

2. მუშათა დაწინაურება სახელმწიფო და სამეურნეო სამუშაოზე; ამასთანავე ეს დაწინაურება უნდა გატარდეს განუწყვეტელი, სისტემატიური დღიდან დღემდე შეუჩერებელი მუშაობით.

3. ნამდვილად მომზადებული, საქმის მცოდნე, კვალიფიციური მუშაკების კადრების შექმნა, ახალი, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული, წითელი სპეციალისტების კადრის შექმნა, ინტელიგენციის შექმნა მუშათა კლასის წრიდან, პროლეტარული ინტელიგენციის უკვე არსებული კვალიფიციური კადრების ჩაბმა საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიულ აპარატში.

4. სახელმწიფო აპარატის სტრუქტურის გაუმჯობესება და მისი შეთანხმება სოციალისტური ეკონომიკის გადიდებულ მოთხოვნილებებთან.

სოციალისტური მშენებლობის მასშტაბი, მუშაობის უდიდესი სირთულე მუშათა კლასისა და მისი პარტიისაგან მოითხოვს მაქსიმალურ ენერგიას, განუწყვეტელ თვითაღზრდას და თვითსწავლებას. თავისი რიგებიდან ყოველი დახავსებულის და ნამდვილად გადაგვარების გზაზე მდგომის განდევნით, მტრებთან სისტემატიური ბრძოლით და თავისი საკუთარი თავისათვის წაყენებული მოთხოვნილებების სისტემატიურად გადიდებით მუშები სძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებებს და მიაღწევენ უდიდეს გამარჯვებებს.

ცეკა გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი პარტიის ყველა ერთგული ჯარისკაცები ამ ამოცანების გადაწყვეტის დროს ჩადგებიან პროლეტარული არმიის პირველ რიგებში და თავისი პირადი მაგალითით, თავისი დაუზოგავი, მაგრამ შემოქმედებითი და საქმიანი თვითკრიტიკით და თავგანწირული მუშაობით შესძლებენ გაიყოლიონ თან მრავალი მილიონი პროლეტარული მასები (ადს).

დაიწყო ჩან-ძო-ლინის ჯარების ევაკუაცია პეკინიდან

თავდასხმა ჩან-ძო-ლინზე.—ჩან-ძო-ლინი დაჭრილია მსუბუქად

ხუბეიში განახლდა ბრძოლა კომუნისტურ რაზმებსა და მთავრობის ჯარებს შორის

ჩან-ძო-ლინმა დასტოვა პეკინი

ჩან-ძო-ლინის წასვლა პეკინიდან

ტოკიო, 3 ივნისი. სიმპუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინი თავისი შტაბით 2 ივნისს ღამით გაემგზავრა პეკინიდან ტიანძინის გზით. (ადს).

ჩან-ძო-ლინის გამოსათხოვარი სიტყვები

პეკინი, 3 ივნისი. დიპლომატიურმა კორპუსმა ინახულა ჩან-ძო-ლინი. ჩან-ძო-ლინმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ პეკინში მშვიდობიანობა და წესრიგი არ იქნება დარღვეული.

შემდეგ ჩან-ძო-ლინმა საქმიან წრეების წარმომადგენლებთან გამართა თათბირი, რომელზედაც არჩეულ იქნა კომიტეტი. ფიქრობენ, რომ კომიტეტი წესრიგს დაიცავს ქალაქში ჩან-ძო-ლინის წასვლის შემდეგ. (ადს).

პეკინიდან მუკდენში

პეკინი, 3 ივნისი. პეკინის დეპეშათა სააგენტო გოვენ იუწყება, რომ პეკინიდან მუკდენში გადააქვთ ფინანსთა სამინისტროს იმ სტამბის მთელი მოწყობილობა, რომელშიაც მზადდებოდა სახელმწიფო ქაღალდები. მუკდენში გადადის აგრეთვე ხსენებული სტამბის ათასამდე კვალიფიციური მუშა. (ადს).

ჩან-ძო-ლინი მუკდენში

პეკინი, 3 ივნისი. ჩან ძო-ლინი 4 ივნისს დილით ჩავიდა მუკდენში

პეკინის ოკუპაცია

პეკინი, 3 ივნისი. ჩან-ძო-ლინის გამგზავრების შემდეგ პეკინის მთავრობამ შესწყვიტა თავისი არსებობა. პეკინში დარჩება მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრი. ადმინისტრატიული ხელისუფლება ქალაქში გადაეცა „უცხოეთის სახელმწიფო მოღვაწეთა კომიტეტს", რომლის სათავეშია იაპონელთა მომხრე ვან შინ-ჩჟენი.

მუკდენელთა ჯარების ევაკუაცია კვლავ გრძელდება და მშვიდობიანად მიმდინარეობს, ვინაიდან ენ-სი-შანი დაჰპირდა, რომ არ დაედევნება მუკდენელებს და საშუალებას მისცემს მათ დაიხიონ მანჯურიისაკენ. ქალაქში სიწყნარეა (ადს).

იაპონიის პრესის პროვოკაცია

ტოკიო, 3 ივნისი. ჩრდილოეთელების კრიტიკულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, იაპონიის პრესა უკვე აქვეყნებს ნახევრად ოფიციალურ ცნობებს, რომლებშიაც აღნიშნულია, რომ სამხრეთის ჯარები რომლებიც უახლოვდებიან პეკინს, შესდგება 30 პროცენტით გომინდანელებისაგან და 70 პროცენტით კომუნისტებისაგან. პრესის ცნობით, კომუნისტურ არმიას უნდა გამოიწვიოს გართულებები ჩინეთსა და უცხოეთის სახელმწიფოებს შორის. (ადს).

იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ

შანხაი, 3 ივნისი. იმასთან დაკავშირებით, რომ იაპონიის ექსპედიციო ჯარების სარდლობამ შანდუნში წამოაყენა მოთხოვნილება ჩჟილიის და ლაუდუნის სრუტეების ნავთსადგურებიდან 15 მილის რადიუსზე სამხედრო მოქმედების აკრძალვის შესახებ, ნანკინის მთავრობამ, გაზეთების ცნობით, მიიღო შემდეგი დადგენილება:

„ვინაიდან ნავთსადგურები ცინდაო, ტაკუ, ჩინვანდაო და სხვა ნავთსადგურები მდებარეობს ჩინეთის ტერიტორიაზე, იაპონიას არ აქვს უფლება ჩაერიოს ჩინეთის ხელისუფლების მოქმედებაში ამ ადგილებში. იაპონიის ყოველგვარი მოთხოვნილება წარმოდგენილ უნდა იქნეს ჩვეულებრივი დიპლომატიური გზით და არა სამხედრო ორგანოების საშუალებით".

იაპონიის პასუხი პეკინის მთავრობის ნოტებზე

პეკინი, 3 ივნისი. იაპონიის მისიამ პეკინის გარეშე საქმეთა მინისტრს გადასცა პასუხი პეკინის მთავრობის ოთხ ნოტაზე, რომლებიც მოითხოვდნენ იაპონიის ჯარების გაყვანას ჩინეთიდან. იაპონიის ნოტა აცხადებს, რომ „ჩინეთის სხვადასხვა ნაწილებში, მათ შორის ცზინანში, ადგილი ჰქონდა ინციდენტებს, რომლებმაც აიძულა იაპონია მიეღო ყოველივე ზომები იაპონელი მოქალაქეების დასაცავად". შემდეგ ნოტას მოჰყავს ჩინეთის დელეგაციის განცხადება ვაშინგტონის კონფერენციაზე, სადაც ჩინეთის დელეგაციამ ცნო, რომ „საერთაშორისო უფლების პრინციპების თანახმად, ერთ ან რამოდენიმე სახელმწიფოს უფლება აქვთ გაგზავნონ მეორე სახელმწიფოში თავიანთი შეიარაღებული ძალები და დასტოვონ ისინი იქ დროებითი ღონისძიების სახით იმ განსაკუთრებული ამბების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უმზადებენ ამ ქვეყნების მოქალაქეთა სიცოცხლეს და ქონებას".

დასასრულ იაპონიის ნოტა აცხადებს, რომ იაპონია მზადაა გაიყვანოს თავისი ჯარები ჩინეთიდან როგორც კი ჩინეთში აღდგენილ იქნება ნორმალური პირობები. (ადს).

თავდასხმა ჩან-ძო-ლინზე

ლონდონი, 3 ივნისი. რეიტერის სააგენტო ტოკიოდან იუწყება, რომ პეკინიდან მუკდენში მიმავალ მატარებლის იმ ვაგონში, რომელშიაც ჩან-ძო-ლინი იყო, ისროლეს ყუმბარა. ყუმბარის აფეთქებით მსუბუქად დაიჭრა ჩან-ძო-ლინი. მისი ამალიდან რამდენიმე კაცი მოკვდა და რამდენიმე დაიჭრა. (ადს).

ახალი განწყობილება გომინდანში

შანხაი, 3 ივნისი. ამ ბოლო დროს უცხოეთის პრესაში იბეჭდება ცნობები, რომ გომინდანის ზოგიერთ წრეებში, რომლებიც დაახლოვებული არიან ნანკინის მთავრობასთან, დაიწყო მოძრაობა ნანკინის მთავრობის საგარეო პოლიტიკის გადათვალიერების სასარგებლოთ, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მიმართ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სოკოლსკის წერილი „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს"-ში (ამ გაზეთს მჭიდრო კავშირი აქვს მთავრობის წრეებთან).

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა:

„სოკოლსკის მიერ აღნიშნული განწყობილება მართლაც არსებობს გომინდანის ზოგიერთ მოღვაწეებს შორის. ჩრდილოეთის ლაშქრობა და მაშასადამე ნაციონალურ მთავრობის მოღვაწეობის სამხედრო პერიოდი ახლო მომავალში დამთავრდება. იწყება სახელმწიფოს გარდაქმნის პერიოდი და ეხლა ჩვენი მთავარი მიზანია—სახელმწიფოებთან ურთიერთობის მოწესრიგება თანასწორობის საფუძველზე. როცა დადგება შესაფერი მომენტი, ჩვენ უნდა მივაღწიოთ შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან, ვინაიდან ორი მეზობელი სახელმწიფო არ შეიძლება დარჩეს ისეთი ხალხის მდგომარეობაში, რომლებიც „არ ელაპარაკებიან ერთი მეორეს".

კორესპონდენტის კითხვაზე თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული სიტყვები „როცა დადგება შესაფერი მომენტი", გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა:

„შესაფერი მომენტი დადგება მაშინ, როცა ჩვენ დარწმუნებული ვიქნებით, რომ საბჭოთა მთავრობა თავს დაანებებს ჩინეთში პოლიტიკურ მისიონერების პრაქტიკას". (ადს).

„იაპონიის შიში"

პეკინი, 3 ივნისი. პეკინის იაპონური გაზეთები აღნიშნავენ, რომ ჩან-ძო-ლინი ისევ გენერალისიმუსად რჩება, მან მხოლოდ რეზიდენცია გადაიტანა მუკდენში, ამასთანავე იაპონურ გაზეთებს საეჭვოდ მიაჩნიათ—შესძლებს თუ არა ჩინეთის დედა-ქალაქი „არეულობის" თავიდან აშორებას.

იაპონიის ელჩმა იოსიზავამ ინტერვიუში განაცხადა, რომ თითქოს პეკინში არიან „სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი კომუნისტური რაზმები", რომელთაც შეუძლიათ არე- [illegible] ხის თათბირზე გამოთქვა აზრი, რომ ქალაქის ალაყაფის კარებთან დაეყენებინათ უცხოეთის ჯარები, მაგრამ ამის წინააღმდეგ კატეგორიულად გაილაშქრა ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატების ელჩმა. იაპონიის მისიის მდივანმა ინახულა ჩინეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე და შესთავაზა იაპონელებს დახმარება ქალაქის დაცვის საქმეში, მაგრამ პალატის თავმჯდომარემ უარყო ეს წინადადება. (ადს).

აჯანყებულთა მოქმედება ხუბეიში

შანხაი, 3 ივნისი. ხანკოუდან მიღებულ ცნობით, ხუბეის პროვინციაში აჯანყებულთა რაზმებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, განაახლეს სამხედრო მოქმედება მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. აჯანყებულებსა და მთავრობის ჯარებს შორის რამოდენიმეჯერ მოხდა შეტაკება. აჯანყებულთა რაზმებმა სუნგაჩინის რაიონში ხელში ჩაიგდეს რამოდენიმე სოფელი. აჯანყებულების მიერ დაკავებულ რაიონში გაგზავნილია მთავრობის ჯარები. (ადს).

ანტიიაპონური მოძრაობა

შანხაი, 3 ივნისი. გაზეთები იუწყებიან, რომ სტუდენტების და მუშათა პიკეტები შეუდგენ შანდუნში მოსულ იაპონურ საქონლის კონფისკაციას. ერთი დღის განმავლობაში პიკეტებმა კონფისკაცია უყვეს ას ყუთზე მეტ იაპონურ საქონელს. საერთაშორისო უბნის პოლიციამ დააპატიმრა 6 მუშა, პიკეტების წევრები. დაპატიმრებულებს აბრალებენ „საქონლის მოპარვას". (ადს).

პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით

პეკინი, 3 ივნისი. პეკინსა და ტიანცზინს შორის ამჟამად დღე-ღამეში მხოლოდ ერთი მატარებელი დადის. დიდძალი მატარებელი და ორთქლმავალი იგზავნება მანჯურიაში. პეკინ-სუიუანისა და პეკინ-ხანკოუს რკინის გზის ხაზის ერთ ნაწილზე სრულიად აღარ მოიპოვება მატარებლები.

სამხრეთელები ფრთხილად უახლოვდებიან პეკინსა და ტიანცზინს, რათა მუკდენელებს მისცენ უკან დახევის შესაძლებლობა და მით თავიდან აიცილონ ისეთი პროვოკაცია, როგორსაც ადგილი ჰქონდა ცზინანში. (ადს).

საბჭ. კავშირის დეპეშათა სააგენტოსაგან

მოსკოვი, 4 ივნისი. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ზალესკის იმ განცხადებათა გამო, რომლებიც მან გააკეთა სეიმისა და სენატის საგარეო საქმეთა კომისიებში, და რომლებიდანაც შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ წარმოებული მოლაპარაკების უშედეგოთ დამთავრების მიზეზი იყოს საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება ერთა ლიგისადმი,—საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს აცნობეს ავტორიტეტულ წრეებში, რომ ის უთანხმოება ერთა ლიგის შესახებ, რომელმაც იჩინა თავი პოლონეთთან მოლაპარაკების დროს, ეხებოდა არა საკითხის შინაარსს, არამედ მხოლოდ იმ ფორმას, რომელშიაც უნდა ჩამოყალიბებულიყო წინააღმდეგობათა არსებობა დასადებ ხელშეკრულებასა და იმ გარემოებას შორის, რომ პოლონეთი შედის ერთა ლიგაში. საბჭოთა კავშირის დელეგაციამ თანხმობა განაცხადა, რომ ეს გარემოება აღნიშნული ყოფილიყო პოლონეთის მთავრობის იმ ნოტაში, რომელიც უნდა დართოდა ხელშეკრულებას, ამასთან საბჭოთა კავშირის მთავრობა დაადასტურებდა ამ ნოტის მიღებას ცნობად. ხოლო პოლონეთის დელეგაცია მოითხოვდა, რომ თვით ხელშეკრულებაში ყოფილიყო შეტანილი სათანადო მუხლი ამ საკითხის შესახებ. საბჭოთა დელეგაციას არ შეეძლო დათანხმებულიყო ამ მოთხოვნილებაზე, რამდენადაც საბჭოთა კავშირი არ სცნობს ერთა ლიგას, როგორც ასეთს. ამიტომ საბჭოთა დელეგაცია აღნიშნავდა, რომ ეს საკითხი, ანალოგიურად საბჭოთა დელეგაციის ეხლანდელი წინადადებისა, გადაიჭრა თავდაუსხმელობის ხელშეკრულებების დადების დროს საბჭოთა კავშირისა და გერმანიას და საბჭოთა კავშირისა და ლიტვას შორის. ეს სახელმწიფოები შედიან ერთა ლიგაში და მათ გაატარეს იქ რეგისტრაციაში საბჭოთა კავშირთან დადებული თავისი ხელშეკრულებები თავდაუსხმელობის შესახებ, ამასთანავე ერთა ლიგას არაფერი გამოუთქვამს ამ ხელშეკრულებათა საწინააღმდეგოდ.

ზემოხსენებულის გამო, მტკიცება, თითქოს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ არ იქნა დადებული საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების გამო ერთა ლიგასთან, ავტორიტეტულ წყაროდან მიღებული ცნობის თანახმად, სინამდვილეს არ შეეფერება (ადს).

რუმინეთის გენერლების ვიზიტი ვარშავაში

ვარშავა, 3 ივნისი. პოლონეთის პოლიტიკური წრეები, ეხებიან რა ცნობას იმის შესახებ, რომ ამ მოკლე ხანში ვარშავაში ჩავლენ რუმინეთის გენერალური შტაბის უფროსი სამსონოვიჩი, რუმინეთის სამხედრო სამინისტროს სტატს-სეკრეტარი დუმიტრესკუ და რუმინეთის ყოფილი სამხედრო მინისტრი, რუმინეთის არმიის მთავარი ინსპექტ. მორიდარესკუ,—აღნიშნავს, რომ მიუხედავად ოფიციალური განცხადებისა, რომ თითქოს რუმინეთის გენერლების ჩასვლას არ აქვს სამსახურებრივი ხასიათი, ცხადია, ეს ჩამოსვლა არის პასუხი ბუქარესტში გენერალ სოსნკოვსკის ჩასვლაზე.

პოლიტიკურ წრეებში აყენებენ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი კავშირი აქვს ამ ჩამოსვლას რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგის დუკის იმ განცხადებასთან, რომელიც შეეხებოდა პოლონეთ-რუმინეთის კავშირის გაღრმავების აუცილებლობას. სამსონოვიჩს, დუმიტრესკუს და მორიდარესკუს ახლავს დიდი ამალა, რომელიც შესდგება რუმინეთის გენერალურ შტაბის ოფიცრებისაგან. (ადს).

იტალიის კომპარტიის ცეკას პროცესი

პროკურორის სიტყვა

რომი, 3 ივნისი. 2 ივნისს იტალიის კომუნისტების პროცესზე პროკურორმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც 2 საათს გაგრძელდა, რომ იტალიის კომპარტია მიზნად ისახავს არსებული წყობილების დამხობას არა კონსტიტუციური, არამედ ძალმომრეობითი გზით. ამ მიზნის განსახორციელებლად მის განკარგულებაშია საუკეთესო, მტკიცე დისციპლინიანი ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის სათავეში სდგას განათლებული ხალხი ფართო შორსმჭვრეტელობით და ძლიერი ნებისყოფით.

შემდეგ პროკურორი გადადის ბრალდებულთა დახასიათებაზე და სასამართლოსაგან მოითხოვს სამაგალითო სასტიკ სასჯელს. ის მოითხოვს, რათა გრამშის, ტერაჩინის, როვედას, სკოჩიმაროს, მარკორიოს, ბორინის და ბიბოლკოტის მიესაჯოთ ხუთ-ხუთი წელი ციხე, ნიკოლის, ტომამანტის, ფლეკიას, ძამაბოის, ფერატის, ჯიდონის, სტეფანინის, რიბოლდის და ფერარის—17 წელი თვითეულს. ხოლო დანარჩენებს 6 დან 8 წლამდე თვითეულს. გარდა ამისა, პროკურორი მოითხოვს, რათა ბრალდებულებს სამუდამოთ აეკრძალოთ საარჩევნო თანამდებობების დაკავება და გადახდეს ჯარიმა 4-დან 11 ათას ლირამდე თვითეულს. (ადს).

დამცველ ბონავიტას სიტყვა

რომი, 3 ივნისი. იტალიის კომპარტიის პროცესზე სიტყვა წარმოსთქვა დამცველმა ბონავიტამ, რომელმაც განაცხადა, რომ ბრალდებულნი პასუხისგებაში არიან მიცემულნი მუშაობისათვის, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ სახელმწიფოს დაცვის კანონის გამოცემამდე, ე. ი. პერიოდში, როცა კომპარტია ლეგალურ მდგომარეობაში იყო. ამ პერიოდში კომუნისტი-დეპუტატები თუმცა ოპოზიციის ხაზით, მაგრამ მაინც მონაწილეობას იღებდნენ საკანონმდებლო დაწესებულებების მუშაობაში. თვით სახელმწიფოს დაცვის შესახებ კანონის გამოცემის ფაქტი ამტკიცებს, რომ მთავრობამ გადასწყვიტა ამიერიდან ბოროტმოქმედებათ სცნოს ის, რაც წინად ნებადართული იყო. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ბრალდებულნი პასუხს აგებენ მათი პარტიული მუშაობის მხოლოდ იმ მომენტებისთვის, რომლებიც ბოროტმოქმედებათ ითვლებოდა ძველი კანონის თვალსაზრისით.

შემდეგ დამცველი აღნიშნავს, რომ ყოველი ბრალდება, რომელიც შეეხება ბრალდებულთა არალეგალურ მუშაობას, ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ პოლიციის ჩვენებებს.

გერმანელი ვექილები არ დაუშვეს

ბერლინი, 30 ივნისი. რემედახის გერმანიის სექციის წინადადებით 60 გერმანელმა ვექილმა განაცხადა, რომ ისინი მზად არიან დაიცვან იტალიელი კომუნისტები, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემულნი იტალიის კომპარტიის ცეკას საქმეზე. იტალიის ხელისუფლებამ ვექილებს უარი უთხრა იტალიაში შესვლის ნებართვის მიცემაზე.

ამასთან დაკავშირებით 21 ვექილმა მუსოლინის გაუგზავნა საპროტესტო დეპეშა ფაშისტურ ხელისუფლების მოქმედების წინააღმდეგ. ვექილები აცხადებენ, რომ ისინი ამ უარში ხედავენ ბრალდებულთა დაცვის ელემენტარულ უფლებრივ გარანტიების ნორმების დარღვევას. (ადს).

იტალი -სამხრ.-სლავიის ურთიერთობა

ვენა, 3 ივნისი. როგორც ბელგრადიდან იუწყებიან სამხრეთ-სლავიის მთავრობამ იტალიის მთავრობას გადასცა საპასუხო ნოტა სამხრეთ-სლავიის ქალაქებში გამართულ ანტი-იტალიანურ დემონსტრაციების გამო. სამხრეთ სლავიის ნოტა შედგენილია მეტად შემარიგებელი ტონით. ნოტა იტალიის მთავრობას აღუთქვამს დემონსტრაციის მეთაურთა სასტიკად დასჯას და აგრეთვე ზომების მიღებას ასეთა დემონსტრაციების თავიდან ასაცილებლად მომავალში.

ამ პასუხმა ბელგრადის ოპოზიციონურ ჯგუფებში გამოიწვია სრული გაოცება, ვინაიდან პასუხს აფასებენ როგორც სამხრეთ-სლავიის მთავრობის სრულ კაპიტულიაციას იტალიის წინაშე. (ადს).

საბჭოთა ესკადრა

სტამბოლში

სტამბოლი, 3 ივნისი. საბჭოთა ესკადრა სტამბოლში დარჩა 4 დღე. 29 მაისს თურქეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში ტევფიკ-ბეიმ ესკადრის საპატივცემოდ გამართა ნადიმი. იმავე დღეს საღამოთი კრეისერ „გამიდიე"-ზე გაიმართა საბჭოთა ესკადრის მეთაურთა შემადგენლობის, დარბაზობა. მეორე დღეს თურქეთის ფლოტის სარდალმა გამართა ნადიმი, რომელსაც დაესწრნენ წითელ ფლოტელები და აგრეთვე თურქი მეზღვაურები.

მეგობრობის განმტკიცება თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის—ასეთი იყო ამ შეხვედრებზე ყველა გამოსვლების ძირითადი ტონი.

საბჭოთა კოლონიამ სტამბოლში წითელ ფლოტელებისათვის გამართა ამხანაგური ვახშამი, რომლის დროსაც წითელფლოტელთა ძალებით ჩატარებულ იქნა კონცერტი.

1 ივნისს ესკადრა ბათომში წავიდა. თურქეთის ესკადრამ ბოსფორიდან შორ მანძილზე გააცილა სტუმრები (ადს).

ინგლისელი კოოპერატორების დეპეშა

მოსკოვი, 4 ივნისი. ინგლისის კოოპერატიული კავშირის გენერალურმა მდივანმა „ცენტროსოიუზს" გამოუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ინგლისელი კოოპერატორების ხარტპულის კონგრესი სწუხს, რომ ინგლისის მთავრობის მოქმედებამ ხელი შეუშალა რუსეთის კოოპერატორთა დელეგატების დასწრებას კონგრესზე. ინგლისელი კოოპერატორები გულითად მადლობას უძღვნიან რუს კოოპერატორებს კეთილი სურვილებისათვის. რუსი კოოპერატორები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ინგლისის მთავრობის მოქმედება ვერ დაარღვევს იმ კეთილ ურთიერთობას, რომელიც არსებობს ინგლისის და რუსეთის კოოპერატიული მოძრაობის შორის". (ადს).

„იტალია" იპოვეს

მოსკოვი, 4 ივნისი. ნობილეს ექსპედიციის დამხმარე კომიტეტს ვოზნესენსკიდან (ჩრდილოეთ-დვინის გუბერნია) მოუვიდა ცნობა, რომ იქ, კვირას, 19 საათსა და 50 წუთზე, რადიო-მოყვარულმა შმიდტმა მიიღო შემდეგი შინაარსის რადიო:

„იტალია, ნობილე, ფრანც-იოსები, SOS, SOS,SOS,SOS, ", (ოთხი სიგნალი უბედურების შესახებ),

კომიტეტი ფიქრობს, რომ „იტალია" დაეშვა ფრანც-იოსების მიწაზე.

ნობილეს მოსაძებნად

ოსლო, 3 ივნისი. იალქნიანი გემი „ჰობი" ლეიტენანტ ლიუტცხოვ-ხოლმის მეთაურობით მივიდა გემთსაყუდ ადვენტში შპიცბერგენზე, სადაც მან გადმოტვირთა ძაღლები, მარხილები და გაემგზავრა კინგსბეიში. თუ ამინდმა ხელი შეუწყო ლიუტცხოვ-ხოლმი კინგსბეიში მისვლისთანავე შეუდგება ნობილეს ექსპედიციის ჰიდრო-ჰაეროპლანის ძებნას (ადს).

ამუნდსენი საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ

ოსლო, 3 ივნისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: ამუნდსენმა ინტერვიუში აღტაცება გამოსთქვა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი ასე დიდის სისწრაფით იღებს ზომებს ნობილეს ექსპედიციის დასახმარებლად. ამუნდსენი ამ ზომებს მეტად დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს (ადს).

დახმარება ნობილეს ექსპედიციას

მოსკოვი, 4 ივნისი. შესდგა საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების იმ კომიტეტის სხდომა, რომელსაც ევალება დახმარების აღმოჩენა ნობილეს ექსპედიციისათვის. კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა „იტალია"-ს დასახმარებლად მიღებული ღონისძიებათა გაფართოების საკითხი.

კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება „იტალია"-ს მოსაძებნად ყინულის მჭრელი გემის „სედოვი"-ს გარდა გაგზავნოს კიდევ ყინულის მჭრელი გემები: „მალიგინი" და „ტაიმირი", რომლებიც ამჟამად არხანგელსკში იმყოფებიან. ამ ყინულის მჭრელ გემებს თან გაჰყვება ორი ჰაეროპლანი, რომლებიც გამოიკვლევენ ყინულის მიდამოებს.

მოსკოვი, 4 ივნისი. იტალიის საქმეთა რწმუნებულმა მოსკოვში ინახულა ამხ. კარახანი და იტალიის მთავრობის სახელით განუცხადა მადლობა საბჭოთა მთავრობის მიერ „იტალია"-ს მოსაძებნად მიღებული ღონისძიებებისათვის (ადს).

შეტაკებები ჰამბურგში და ბერლინში

ბერლინი, 3 ივნისი. ჰამბურგის განაპირა უბნებში მოხდა შეტაკება მოსახლეობასა და „ფოლადის მუზარადის" წევრებს შორის. დააპატიმრეს მრავალი პირი, რომლებიც კომპარტიისა და წითელფრონტელების ფურცლებს ავრცელებდნენ.

მანგეიმში „ფოლადის მუზარადის" წევრების გამგზავრების დროს მოხდა შეტაკება „ფოლადის მუზარადის" წევრებსა და მუშათა დემონსტრაციას შორის. პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე კაცი. დაიჭრა 5 მუშა.

ბერლინში გაიმართა წითელფრონტელების დიდი საპროტესტო მიტინგი „ფოლადის მუზარადის" ალლუმისა, ფაშიზმისა და სოციალ-დემოკრატების კოალიციონური პოლიტიკის წინააღმდეგ (ადს).

ბერლინი, 3 მაისი. 3 ივნისს ბერლინში დაკრძალეს მუშა სვეგე, რომელიც ფრონტელების შეკრების წინ მოჰკლეს. დაკრძალვაში მონაწილეობა მიიღო მრავალმა ათასმა მუშამ, მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ფაბქარხკომების წარმომადგენლებმა.

სამგლოვიარო პროცესიის მსვლელობის დროს რამდენიმე შეტაკება მოხდა პოლიციასთან (ადს).

ბერლინი, 3 ივნისი. იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლებამ აკრძალა გერმანიის კომპარტიის და წითელ ფრონტელთა კავშირის კონტრდემონსტრაცია ფაშისტურ ორგანიზაციის „ფოლადის მუზარადი"-ს ალლუმის წინააღმდეგ, ჰამბურგში გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი. ტელმანმა, რომელსაც კრება მქუხარე ოვაციებით შეხვდა, თავის სიტყვაში დაჰგმო მოქმედება სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების, რომელმაც გამოსცა მთელი რიგი განკარგულებები „ფოლადის მუზარადი"-ს სასარგებლოთ და კრებების და სიტყვის თავისუფლება წაართვა ჰამბურგის მუშებს „ფოლადის მუზარადი"-ს ალლუმის დღეს. მიტინგი დამთავრდა სტიქიური საპროტესტო დემონსტრაციით (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ფაშისტების ალლუმი

ბერლინი, 3 ივნისი. „ფოლადის მუზარადის" შეკრებაში, რომელიც ჰამბურგში გაიმართა 50.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. შეკრების მონაწილენი ერიდებოდნენ მუშათა უბნებში გავლას და თავისი მსვლელობის მარშრუტს საიდუმლოდ ინახავდნენ.

შეკრების მონაწილეთა მსვლელობის გზაზე იდგა პოლიციის გაძლიერებული რაზმები, რამაც მაინც ვერ შეუშალა ხელი ჰამბურგის პროლეტარიატის დემონსტრაციას ფაშისტური ალლუმის წინააღმდეგ. ამ მოედანზეც კი, სადაც შეკრება გაიმართა, კომუნისტების მიერ დადგმულ რადიო-აპარატიდან განუწყვეტლივ ისმოდა: „ჰამბურგი წითლებისაა, ძირს ფაშისტები".

პოლიცია, რომელსაც მენშევიკი პოლიციემეისტერი ხელმძღვანელობდა, საშინელის სისასტიკით ეპყრობოდა მუშებს. პოლიციის განსაკუთრებული რაზმები ხევდნენ მუშების მიერ გამოკიდებულ წითელ დროშებსა და პლაკატებს და მუშების გასაფანტავად რეზინის ჯოხებით სარგებლობდნენ.

პოლიციის თავგასულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია შეკრების მონაწილეთა დაშლის დროს, მუშათა თითქმის ყველა უბნებში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეტაკებებს, საავადმყოფოებში მიიყვანეს 60 მუშა. დაპატიმრებულია ასამდე კაცი.

მიუხედავად პოლიციის მფარველობისა, „ფოლადის მუზარადის" შეკრების მონაწილენი იძულებული შეიქნენ ისე სასწრაფოდ დაეტოვებინათ ჰამბურგი, რომ მათი დაშლა გაქცევას უფრო ჰგავდა.

პოლონეთის პოლიტიკა

ვარშავა, 3 ივნისი. ლიტვის ახალი კონსტიტუციით ვილნო გამოცხადებულია ლიტვის სატახტო ქალაქად. ამის გამო პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლიტვის პრემიერს გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ახალი კონსტიტუციით ვილნოს გამოცხადება ლიტვის სატახტო ქალაქად წარმოადგენს უმიზნო დემონსტრაციას, რომელსაც ვერავითარი პრაქტიკული შედეგები ვერ მოჰყვება. პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ ლიტვის მთავრობის ასეთი ნაბიჯი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეასუსტებს პოლონეთის მიერ ვილნოზე მოპოვებულ უფლებებს, რომლებიც დაადასტურა ელჩთა კონფერენციამ 1923 წ. და მხოლოდ მოწამლავს ატმოსფერას პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკებისას, რომელზედაც დამოკიდებულია მშვიდობიანობის დაცვა.

მკვდრებისაც კი ეშინიათ,

ბერლინი, 3 ივნისი. მიუნხენის პოლიციის სამმართველომ სამხრეთ-ბავარიაში აკრძალა ფრონტელთა წითელი კავშირის პროცესია ევგენი ლევინეს (ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის ერთ-ერთი მოღვაწე, რომელიც თეთრგვარდიელებმა მოჰკლეს) საფლავზე გვირგვინების მისატანად.

აკრძალვას ასაბუთებენ იმით, რომ პროცესია გამოყენებულ იქნებოდა „საბჭოთა რესპუბლიკის პროპაგანდისათვის".

კომუნისტურ მიტინგების აკრძალვა პრაღაში

პრაღა, 3 ივნისი.. პოლიციამ აკრძალა 9 კომუნისტური მიტინგი, რომლებიც მოწვეული იყო პრაღის სხვადასხვა მუშათა უბნებში, და პარტიის დიდი საერთო მიტინგი, რომელიც უნდა შემდგარიყო ქალაქის ცენტრში. (ადს).

თეთრგვარდიელ სემიონოვის გადასახლება ვარშავიდან

ვარშავა, 3 ივნისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ პოლონეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით ვიქტორ სემიონოვმა—რუს თეთრგვარდიელთა კომიტეტის თავმჯდომარემ, რომელიც დაპატიმრებული იყო საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელ ლიზარევზე თავდასხმასთან დაკავშირებით, უახლოეს დღეებში უნდა დასტოვოს პოლონეთის საზღვრები. (ადს).

ნავთსადგურის მუშების გაფიცვა ფინეთში

ჰელსინგფორსი, 3 ივნისი. დაიწყო ნავთსადგურის მუშების გაფიცვა, რომელიც 12.000 მუშაზე ვრცელდება. სამუშაოს პატრონები ზომებს ღებულობენ შტრეიკბრეხერების დასაქირავებლად.

ბომბეის ფეიქართა ლიდერის დაპატიმრება

ლონდონი, 3 ივნისი. ბომბეიში დააპატიმრეს გაფიცულ ფეიქართა ლიდერი კომუნისტი დანგე.

ცეცხლი „სტანდარტ ოილის" ნავთის ბაკებში

ლონდონი, 3 ივნისი. როცა გემიდან საბჭოთა ნავთს ასხამდნენ „სტანდარტ ოილის" ბაკში", ერთ-ერთ ბაკს მოულოდნელად ცეცხლი გაუჩნდა. ბაკი, რომელიც ერთ და მეოთხედ მილიონ გალონს იტევდა, ცეცხლის გაჩენის დროს ნახევრამდე ავსილი იყო. ცეცხლი ჯერ კიდევ არ ჩაუქრიათ.

ახალი მსოფლიო რეკორდისათვის

პარიზი, 3 ივნისი. მფრინავები არონშარი და რინიე 3 ივნისს ჰაეროდრომ ლე-ბურჟედან გაფრინდნენ ინდოეთის მიმართულებით. მათი გაფრენის მიზანია მსოფლიო რეკორდის დამყარება სწორი ხაზით შორ მანძილზე გაფრენაში. (ადს).

გემის დაღუპვა

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. მასაჩუსეტსის შტატის მახლობლად სამგზავრო გემი დაეჯახა საბარგო გემს. საბარგო გემი ჩაიძირა. დაიხრჩო ცხრა მეზღვაური. (ადს).

ქარიშხალი კანადაში

ლონდონი, 3 ივნისი. მონრეალიდან იუწყებიან, რომ 2 ივნისს გადაიარა ძლიერმა ქარიშხალმა. მოკლულია ერთი კაცი, დაიჭრა 10 კაცი. ქარიშხალი იმდენად ძლიერი იყო, რომ კვებეკის მახლობლად მატარებელი გადააგდო ლიანდაგიდან. (ადს).

კავშირიდან გამორიცხვა

ბერლინი, 3 ივნისი. მაგდებურგის ოთხი კომუნისტი ხმოსანი გამორიცხეს სრულიად გერმანიის მელითონეთა კავშირიდან იმისათვის, რომ მელითონეთა გაფიცვის დროს მათ შეიტანეს წინადადება კომუნალურ საშუალებების გამოყენების შესახებ გაფიცულთა დასახმარებლად. (ადს).

კომუნისტ-ქალის დახვრეტა კანტონში

შანხაი, 3 ივნისი. ჰონკონგის გაზეთების ცნობით, კანტონში დახვრიტეს ახალგაზრდა კომუნისტი-ქალი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა დეკემბრის კომუნისტურ აჯანყების დროს კანტონში წითელ გვარდიის ქალთა რაზმს. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ იგი გაიქცა ჰონკონგში, სადაც დააპატიმრეს და კანტონის ხელისუფლებას გადასცეს.

კოლმეურნეობათა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, ივნისი. 2 ივნისის სხდომაზე კოლმეურნეობათა საკავშირო ყრილობამ განიხილა საკითხი კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის მთავარი ამოცანების შესახებ.

ამ თემაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კამინსკიმ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ერთი მხრით გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირების მთელ სისტემას და მეორე მხრით საბჭოთა მეურნეობას მთლიანად. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ფაქტორად. კოლმეურნეობათა მშენებლობის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გლეხების მინდვრების მასიური კონტრაქციის გზით წვრილი გლეხური მეურნეობა დაუქვემდებაროთ საერთო სახელმწიფოებრივ გეგმას.

კოლმეურნეობები უნდა შეეცადონ მთელი სოფლის ჩაბმას თავის მშენებლობაში. ამ მიზნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ მიწათმოწყობას. კოლექტიურ მეურნეობებს ხელმძღვანელობას უწევს კოლმეურნეობათა ცენტრი, კოლმეურნეობათა საერთო სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა უნდა დაეკისროს მიწათმოქმედების ორგანოებს.

საღამოს სხდომაზე გაცხოველებული კამათი გაიმართა ამხ. იაკოვლევისა და კამინსკის მოხსენებების გარშემო. ორატორები შეჩერდენ მთელ რიგ კონკრეტიულ საკითხებზე, რომლებიც შეეხებოდა აგრონომიულ დახმარებას, მუშათა კოლექტიურ მეურნეობების კულტურული დონის აწევას და სხ. (ადს).

კომუნისტი
გრძელდება
ხელისმოწერა ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

შახტის კონტრ-რევოლუციონერების პროცესი

2 ივნისის დილის სხდომა

მოწმეების დაკითხვა

მოსკოვი, 4 ივნისი. ბრალდებულ ბაშკინის დაკითხვის შემდეგ სასამართლო გადადის მოწმეების დაკითხვაზე.

პირველად დაკითხულ იქნა ბეხი, რომელიც მუშაობდა ვლასოვის მაღაროს საბრიკეტო ფაბრიკაში ოსტატის თანამდებობაზე. მოწმე დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ დაანგრიეს საბრიკეტო ფაბრიკა. მოწმე ამბობს, რომ 1924 წელს ბაშკინის ინიციატივით დაიწყო ფაბრიკის მოწყობილობის დატაცება. დაბოლოს ფაბრიკიდან მოხსნეს ყველა მცველები, რის შემდეგ ფაბრიკა საბოლოოდ გაქურდეს. ამჟამად სდგას საკითხი ახალი საბრიკეტო ფაბრიკის აგების შესახებ.

მოწმე მოროზოვის ჩვენება

შემდეგ მოწმე მოროზოვი დაწვრილებითი ჩვენებას აძლევს ნაღების და ლიურსის ქარხნების დანგრევის შესახებ, რაშიაც მონაწილეობას იღებდა ბაშკინი, განსაკუთრებით ბევრ დროს ანდომებს სასამართლო საკითხს ბაშკინის მიერ სრულიად უვარგისი ასაწევი მანქანის აგების შესახებ ვლასოვის მაღაროში.

ამ ასაწევ მანქანების შესახებ ერთდაიმავე დროს დაკითხულ იქნენ ბრალდებულნი ბაშკინი, კუზმა, გორლეცკი და ჩინაკალი.

ბრალდებული კუზმა, ვლასოვის მაღაროს სამმართველოს მთავარი ინჟინერი, ამტკიცებს, რომ ნახაზები მან მიიღო ოფიციალურად „დონუგოლის" მექანიზაციის განყოფილებიდან, სადაც მუშაობდენ ბრალდებულნი გორლეცკი და ჩინაკალი. ჩინაკალი და გორლეცკი არ უარყოფენ დონუგოლის მექანიზაციის განყოფილებიდან ნახაზების მიღების შესაძლებლობას, მაგრამ უარყოფენ იმას, რომ ნახაზები ოფიციალური წესით იქნა გადაცემული.

ამ ეპიზოდის გამორკვევით თავდება დილის სხდომა.

2 ივნისის საღამოს სხდომა

ბრალდებულ გორლოვის დაკითხვა

საღამოს სხდომაზე სასამართლო გადადის ბრალდებულ გორლოვის დაკითხვაზე. სამთამადნო ტეხნიკოსი გორლოვი, რომელიც ვლასოვის მაღაროების სამმართველოში განაგებდა არტემის სახელობის მაღაროს, თავის-თავს დამნაშავედ სცნობს მხოლოდ ნაწილობრივ.

გორლოვი აცხადებს, რომ 1921 წლიდან 1925 წლამდე არტემის სახელობის მაღაროში არავითარ საზიანო მუშაობას არ ჰქონია ადგილი. 1925 წლის მეორე ნახევარში მოვიდნენ ახალი მუშაკები—მთავარი ინჟინერი კუზმა და მთავარი მექანიკოსი ოვჩარეკი. ამ პირების მოსვლის შემდეგ მაღაროში დაიწყო „ცდები" მექანიზაციის განსახორციელებლად, რამაც გამოიწვია მუშაობის შესუსტება მაღაროში: ნახშირის ამოღება შემცირდა, მუშაობაში თავი იჩინა მთელ რიგ დეფექტებმა, რომელთაც წინად არ ჰქონიათ ადგილი. კუზმასა და მის თანამშრომლების ცდებს აშკარად საზიანო ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მაშინ გორლოვი ამ ცდებს არ სთვლიდა საზიანოდ, ვინაიდან არ ესმოდა მათი აზრი. მუშაობაში დეფექტებს ამჩნევდა არა მარტო გორლოვი; დეფექტებს ხედავდენ აგრეთვე მუშები, რომელთაც არა ერთხელ მიუციათ კუზმასთვის წინადადება თავი დაენებებინა ამ ცდებისთვის. ამაზე კუზმა უარს ამბობდა და დაჟინებით განაგრძობდა მუშაობას, რომელსაც მუშები უმიზნოდ სთვლიდენ.

1927 წელს, როცა ვლასოვის მაღაროების სამმართველოს მთელმა შემადგენლობამ, მათ შორის კუზმამ, ოვჩარეკმა და ბაშკინმა, მიიღეს წარმატება და გადავიდნენ ვლასოვკიდან, მთავარ ინჟინერათ დაინიშნა ლევენსონი. მალე თავისი დანიშვნის შემდეგ ლევენსონმა მიიწვია თავის კაბინეტში გორლოვი და განუცხადა მას, რომ აქამდის წარმოებული ცდები არ უნდა იქნეს განმეორებული და ეხლა ის შესაძლებლობას აძლევს გორლოვს იმუშაოს, როგორც თვითონ დაინახავს საჭიროდ. ამ მომენტიდან მაღაროში მომუშავე ტეხნიკოსებმა იგრძნეს, რომ მათ თავიდან მოიშორეს დიდი სიმძიმე. მუშაობა მაღაროში თანდათან გამოჯანსაღდა. 1928 წლის დასაწყისში მაღაროს პროდუქცია ავიდა 150.000 ფუთამდე დღეში.

დაბოლოს ამ აღდგენითი მუშაობის დროს გორლოვი დააპატიმრეს. გაეცნო რა წინასწარ გამოძიების დროს მთელ რიგ ტეხნიკოსების ჩვენებებს, გორლოვი მიხვდა, რომ ფაქტიურად ისიც მონაწილეობას იღებდა საზიანო მუშაობაში. მაშინ მან გამომძიებელს მოუთხრო ყველაფერი, რაც მან იცოდა ვლასოვკაში წარმოებულ მუშაობის შესახებ.

მან აღიარა აგრეთვე, რომ ღებულობდა ფულს ფაქტიურ მიღწევებისათვის. ერთხელ ყოველგვარ ხელწერილის გარეშე მან მიიღო 400 მან. და ორჯელ 270 მანეთი.

„ამაშია ჩემი დანაშაული—ამბობს გორლოვი—და მე ამას დიდათ ვნანობ".

ამხ. ვიშინსკი ეკითხება ბრალდებულს—იცოდა თუ არა მან, რომ მის მიერ აწერილი მოქმედება ჩადენილი იყო წარმოების დაზიანების მიზნით.

—არა, მე ეს არ ვიცოდი. უპასუხებს გორლოვი.

მაშინ თავმჯდომარე მოაგონებს ბრალდებულს მისი ხელითვე დაწერილ ჩვენებას, რომელშიაც, სხვათა შორის, არის შემდეგი ფრაზა: „მავნებლობის მიზნით მე მაღაროს ვაგონეტკების ავტომატიური მოძრაობა მოვაწყვე იმნაირად, რომ ვაგონეტკები ჩქარა ცვდებოდა".

თავმჯდომარის შემდეგმა კითხვებზე ბრალდებული უპასუხებს, რომ მუშაობა, რომელშიაც ის მონაწილეობას იღებდა, იყო კონტრ რევოლუციონური, მაგრამ ამ მუშაობის მიზნები მან არ იცოდა.

ამით თავდება საღამოს სხდომა. (ადს).

სრულიად საკავშირო აგიტპროპთათბირი

მოსკოვი, 4 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასთან გამართულ აგიტპროპთათბირზე ამხ. ტალმა გააკეთა მოხსენება მასიური პოლიტგანათლების მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ.

მომხსენებელი მიუთითებს, რომ ქალაქში თანდათანობით მცირდება პარტგანათლების ქსელში ჩაბმულ პარტწევრებისა და კანდიდატების რიცხვი; ეს აიხსნება იმ პარტიული რიგების შემცირებით, რომელთაც არ გაუვლიათ პარტსწავლება და აგრეთვე იმით, რომ პარტიული მასა პარტგანათლების სისტემიდან თანდათანობით გადადის მუშათა განათლების სისტემაზე. [illegible] პარტწევრები და გაიზარდა საღამოს საბჭოთა და პარტიულ სკოლებისა და მიმდინარე პოლიტიკის წრეების რაოდენობა.

ასეთივე ტენდენციაა პოლიტგანათლების დარგშიაც: იზრდება მაღალი საფეხურის წრეები იმ წრეების ხარჯზე, რომლებიც პოლიტცოდნის სკოლების პროგრამისა და სახელმძღვანელოების მიხედვით მუშაობენ. პოლიტსწავლება ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ აკმაყოფილებს ამა თუ იმ რაიონის სამეურნეო მოთხოვნილებებს. სავსებით არაა აგრეთვე აღმოფხვრილი ფორმალიზმი. სუსტია მუშაობა პროპაგანდისტებთან. პროფკოლექტივებს არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ პროპაგანდისტებისათვის. მომავალში მრავალი ტიპის ქვედა საფეხურის სკოლების ნაცვლად საჭიროა ერთიანი პირველდაწყებითი პარტიული სკოლის შემოღება სხვადასხვა ვარიანტებში: ქალაქისათვის, სოფლისათვის, [illegible] და სხვ. (ადს).

მაქსიმ გორკი მოსკოვში

მოსკოვი, 4 ივნისი. გორკი ეწვია წითელი არმიის ცენტრალური სახლს და სამი საათის განმავლობაში ათვალიერებდა სამოქალაქო ომის კაბინეტებს და მუზეუმებს. წითელარმიელთა ნაწილების წარმომადგენლები გულთბილად შეხვდნენ გორკის და მიუძღვნეს საჩუქარი: ალბომი, თოფი და დაზგის მოდელი.

გორკი მოკლე სიტყვით მიესალმა წითელ არმიელებს და მათი მიწვევით დარჩა თვითმოქმედების საღამოზე.

მზადება საგლეხო სესხის ტირაჟისათვის ქუთაისში

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატმა ქუთაისის სამაზრო ფინ. განყოფილებას მისცა ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა მოეწყოს პირველი ტირაჟი ქუთაისში 14 ივნისს.

ტირაჟის მოწყობა განზრახულია ქალაქის თეატრის დარბაზში. ტირაჟის პირველ სხდომას მიეცემა საზეიმო ხასიათი. მოწვეული იქნებიან გლეხების და უწყება - დაწესებულებათა დელეგატები და სტუმრები.

ტირაჟის ადგილზე, იწარმოებს მოგებათა განაღდება და ცნობების გაცემა სხვადასხვა ფინანსიურ საკითხებზე.

მოგებ ობლიგაციათა განაღდებას ტირაჟზე აწარმოებს სახელმწიფო ბანკი.

წერილი ინგლისიდან

საზოგადოებრივი აზრის მოწამვლა

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ინგლისში დღეს ხდება სრული გარდაქმნა საგაზეთო ინდუსტრიის ექსპლოატაციისა. ჩქარა აქ აღარ იქნება ის, რასაც აქამდე „თავისუფალი აზრის პრესას" უწოდებდნენ, თანდათან ხდება მთელი პრესის კონცენტრაცია ორი თუ სამი ფინანსიურ და ინდუსტრიულ ჯგუფის ხელში: მათ ეს სამოქმედო ასპარეზი აირჩიეს არა მარტო შემოსავლისათვის, არამედ უფრო იმისთვის, რომ რეალურად ხელში დაიჭირონ მთავრობის მექანიზმის მამოძრავებელი ღვედები. უკვე დღეზა ერთს ამ ჯგუფთაგანს, სახელდობრ ლორდ როტერმერის ჯგუფს, ისეთი ძალა აქვს მოპოვებული, რომ იგი ნამდვილად მიმართულებას აძლევს თუ მთელი მთავრობის პოლიტიკას არა, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ მის წევრს მაინც.

ეს პრესა, რომელიც ფართო წრეების მოსატყუებლად თავისთავს დამოუკიდებელს უწოდებს, სავსებით აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს. მკითხველი ამ კაპიტალისტური იარაღის ძლიერებას წარმოიდგენს, თუ ვიტყვით, რომ როტერმერის ორი გაზეთი, „დეილი მეილი" და „ევენინგ ნიუსი" ყოველდღე 4 მილიონ ცალად ვრცელდება.

ამ ცოტა ხნის წინად ორი ლიბერალური გაზეთის „დეილი ნიუსის" და „ვესტმინსტერ გაზეტის" გაერთიანება მოხდა, რადგან მათი ტირაჟი თანდათან ეცემოდა. ამის შემდეგ ყურადღება მიაქციეს გაზეთების ტრესტიფიკაციას საზოგადოდ, ხოლო კერძოთ ლორდი როტერმერის ცდას, რომ მთელ ინგლისში საკუთარი გაზეთების ჯაჭვი გააბას.

სამი უმთავრესი საგაზეთო ტრესტი შემდეგია: როტერმერის ჯგუფი, ბერრის ჯგუფი და სტამერის ჯგუფი. ორი უკანასკნელის კონტროლის ქვეშ 58 გაზეთი იმყოფება. არის კიდევ რამდენიმე ნაკლებ მნიშვნელოვანი ჯგუფი, მაგალითად, ბევერბრუკისა, რომელსაც „დეილი ექსპრესსი", „ევენინგ სტანდარდი" და სხ. ეკუთვნის.

სტამერის ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ყოფილი ლიბერალი დეპუტატი უდგას, გაერთიანა პროვინციის უმთავრესი ლიბერალური გაზეთები (გარდა ტეხნიკური, კომერციული და სპორტიული გამოცემებისა). თავიანთი ადმინისტრატიული საბჭოების შემწეობით ეს გაზეთები უშუალოთ დაკავშირებული არიან ბანკებთან, საბისკვიტო ფაბრიკებთან, მექანიკური ინდუსტრიასთან, შოკოლადის და ტკბილეულობის ფაბრიკებთან, დამზღვევ საზოგადოებებთან, აფთიაქეულობის საავაჭროებთან, საფეიქრო ინდუსტრიასთან და ა. შ.

ბერრის ჯგუფი უფრო მნიშვნელოვანია. მის ხელშია ლონდონის 5 დიდი კონსერვატიული გაზეთი. ძმათა ბერრის აქციები აქვთ სამხრეთ უელსის დიდ საქვანახშირო წარმოებებში და ფოლადის ქარხნებში. ერთი მათგანი 29 დიდი საქვანახშირო კომპანიის ადმინისტრატორია. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მათ დაიწყეს გაზეთების შესყიდვა. უკანასკნელად „დეილი ტელეგრაფი" იყიდეს ლორდ ბერნშეიმისაგან.

ბერრის ჯგუფის ხელშია აგრეთვე დიდი რიცხვი პროვინციული კონსერვატიული გაზეთებისა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და ენერგიული უეჭველად ლორდ ნორტკლიფის ძმის და მემკვიდრის—ლორდ როტერმერის ჯგუფია. ლორდმა ნორტკლიფმა წინათ „ტაიმსი" იყიდა და ამ გაზეთიდან, ლოიდ ჯორჯის სიტყვებით რომ ვსთქვათ, „დეილი მეილის" სუროგატი შექმნა („ტაიმსი" შემდეგ ხელახლა წინანდელი პატრონის, ლორდ ასტორის, საკუთრება გახდა).

როტერმერის ჯგუფს რამდენიმე ათეული მილიონი გირვანქა სტერლინგი აქვს დაბანდებული გაზეთების გამოცემაში. ამ ცოტა ხნის წინად მან ახალი საპაიო საზოგადოება დაარსა, 8 მილიონი სტერლინგის კაპიტალით, რომლის მიზანია მჭიდროდ დასახლებულ ცენტრებში საღამოს გაზეთების დაარსება; ეს გაზეთები ინფორმაციას უშუალოდ „დეილი მეილიდან" და „ევენინგ ნიუსიდან" მიიღებენ.

ეს საქმე ჯერ კიდევ სავსებით დამთავრებული არ არის,—ის ნელ ნელა ვითარდება. მაგრამ დღესაც როტერმერის ჯგუფის ხელშია უამრავი რიცხვი ყოველდღიური გაზეთებისა, სურათებიანი გამოცემებისა, ყოველკვირეული და ყოველთვიური ჟურნალებისა და სხ. ამ ჯგუფის გაზეთებს უდიდესი ტირაჟი აქვთ ინგლისში, ხოლო „დეილი მეილი" ყველაზე გავრცელებული გამოცემა უნდა იყოს დედამიწის ზურგზე.

როტერმერის ჯგუფის სუსტი მხარე ისაა, რომ მას ბევრი გაზეთი არა ქვს პროვინციაში, და ამ სწორედ ამ ნაკლის გამოსწორებას ფიქრობს იგი ამჟამად, თუმცა დღესაც ლონდონის „დეილი მეილის" სპეციალურ გამოცემას ბეჭდავს მანჩესტერში ჩრდილოეთ ინგლისისა და შოტლანდიისთვის.

როტერმერის პრესა თავის თავს დამოუკიდებლათ სთვლის, მაგრამ ეს მხოლოდ უსაფუძვლო პრეტენზიაა. ეს უკიდურესი კონსერვატიული პრესაა ინგლისში. მას ახასიათებს ავადმყოფური ნაციონალიზმი. იგი უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირს ებრძვის.

როტერმერისა და ბერრის ჯგუფები გააფთრებულ შეჯიბრებას აწარმოებენ პროვინციული გაზეთების შესაძენათ. უკანასკნელ კვირას ორივე ჯგუფმა ბრძოლა გამართა დერბიში. როტერმერმა თქაურ გაზეთების „ექსპრესს"-ისა და „მერკურის" გამომცემლობას განსაზღვრული თანხა შესთავაზა; ბერრიმ მაშინვე წაუმატა. როტერმერი დამარცხდა და იძულებული გახდა „ტელეგრაფისა" და „რეპორტიორის" შეძენით დაკმაყოფილებულიყო, მათი ტირაჟი კი ბევრათ მცირეა, ვიდრე პირველი ორისა.

დერბიში დამარცხებულმა როტერმერმა ბრძოლა აბერდინში გადაიტანა. აქ მან, პირიქით, თვითეულ აქციაზე, 86 შილინგი შესთავაზა დიდი საღამოს გაზეთის გამომცემლობას, რომელსაც ბერრის ჯგუფი აქციაზე მხოლოდ 80 შილინგს აძლევს (სულ 758,240 სტერლინგს).

საგაზეთო ინდუსტრიის ტრესტები მუქარას წარმოადგენენ ინგლისის მუშათა კლასისათვის. ამ საფრთხის წინააღმდეგ მუშათა პარტიის ბელადები სჩივიან, მაგრამ არავითარ ზომას არ ღებულობენ. აღსანიშნავია, რომ ამ ბელადების უმრავლესობა თანამშრომლობს ოქროს გულისთვის ამ გაზეთებში, რომელნიც სწამლავენ საზოგადოებრივ აზრს ამ გზით და მათ გავლენას ამტკიცებენ მუშათა კლასზე

როგორც ვსთქვით, მუშათა პარტია რეალურათ არავითარ ზომას არ ღებულობს, იმასაც კი არ ზრუნავს, რომ გააფართოვოს თავისი ყოველდღიური გაზეთი „დეილი ჰერალდი", რომელიც თანდათან ქვემოდ ეშვება, ისე რომ ბოლო დროს ხმაც კი გავრცელდა—მის გაყიდვას აპირებენ ფინანსისტთა და მრეწველთა ჯგუფზეო.

„დეილი ჰერალდის" ტირაჟის დაცემის მიზეზი, ანუ უკეთ ვსთქვათ, მიზეზები მრავალია. მაგრამ უმთავრესი უეჭველათ კლასთა თანამშრომლობის და „სამრეწველო ზავის" პოლიტიკა, ღალატის, გათიშვის და განხეთქილების პოლიტიკა, რომელსაც რეფორმისტი ბელადები აწარმოებენ. ამ პოლიტიკამ გული აუცრუვა მუშებს და ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისში, სადაც პროფკავშირებში 4 მილიონი მუშაა შეკავშირებული, მუშათა პარტიისა და პროფკავშირების ოფიციალური გაზეთის ტირაჟი ძლივს აღწევს 800.000 ცალს.

ჰ. დავიდ.

ლონდონი, 24 მაისი.

თბილისის საბჭოს სექციებში

პურის საცხობების გამოკვლევის შედეგები

გუშინ საღამოს სავაჭრო კოოპერატიულმა სექციამ მოისმინა იმ კომისიის მოხსენება, რომელიც გამოყოფილი იყო პურის საცხობების და დუქნების გამოსაკვლევად. სექციის წევრებს გარდა კომისიაში შედიოდენ კომუნალური და ჯანმრთელობის სექციების, გემოკვების მუშაკთა კავშირის წარმომადგენლები. გამოკვლევა გაგრძელდა ორი დღეს—და ყველა წერტილებს არ შეხებია. სულ ქალაქში არსებობს 550 წერტილი გამოკვლეული იქნა 399, პუნქტი, აღმოჩნდა, რომ საცხობებს და პუნქტებს მიღწევებთან ერთად აქვთ ბევრი ნაკლოვანებანი. წინა კვირეებში შემჩნეული კუდები არ ყოფილა გამოწვეული პურის ნაკლებობით. პური ცხვებოდა და ცხვება ნორმაზე მეტი, მაგრამ პურის კრიზისის მოლოდინში ყიდულობდნენ ნორმაზე მეტ პურს, კომისიამ გამოარკვია, რომ მთელ რიგ საცხობებში ცხვებოდა ცუდი ხარისხის პური. ხშირად იყიდებოდა ცხელი პურიც. საცხობების ტეხნიკური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელი. მუშაობის პირობები საცხობებში მეტ წილად ძალიან ცუდია. საცხობების დიდი ნაწილი საჭიროებს შეკეთებას. ბევრგან ანტი-სანიტარიული მდგომარეობაა. ბევრ მუშას არა აქვს სპეცტანსაცმელი და სხ.

დარაბები და საბჭოთა სახლები

კომუნალური სექციის გუშინდელ სხდომაზე მოხსენება გააკეთა უძრავ ქონებათა სამმართველოს წარმომადგენელმა ამხ. ბაბუნაშვილმა მუნიციპალიზაციაქმნილი სახლებისა და დარაბების ექსპლოატაციის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რამდენადაც დამაკმაყოფილებელია დარაბების შემოსავალი, იმდენად დაბალია მუნიციპალიზაციაქმნილი სახლების შემოსავალი. მიუხედავად იმისა, რომ ბინის ქირის აკრეფის საქმე წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად გაუმჯობესდა, შემოსავალი მაინც უმნიშვნელოა. სულ ყველა მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებიდან, მათ შორის, იმ სახლებიდანაც, რომელშიაც დაწესებულებებია მოთავსებული, მიმდინარე წლის ბიუჯეტით უნდა შემოვიდეს 200 ათასი მანეთი. მაგრამ არის ნიშნები, რომ ჩვენ წელს უფრო მეტს ავკრეფთ. მაგრამ რამდენიც არ უნდა შემოვიდეს, იგი მაინც არ იკმარებს სახლების მიმდინარე ხარჯების დასაფარავად. მთლიად ჩვენი სახლების ღირებულება უდრის 35—40 მილიონ მანეთს. ეს ქონება თანდათან ინგრევა. სახლების შესაკეთებლად 250 ათასი მანეთი არ კმარა. ჩვენი ტარიფის ერთერთი დიდი ნაკლია ის, რომ იგი არ ითვალისწინებს შენობათა სამორტიზაციო ხარჯებს. მომავალი წლიდან ჩვენ ეს სამორტიზაციო ხარჯები უნდა შემოვიღოთ. თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს ამის შესახებ უკვე ჰქონდა მსჯელობა და დადებითი დასკვნა გამოიტანა. რაც შეეხება დარაბებს, მათი ფინანსიური მდგომარეობა უკეთესია. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დარაბებიდან შემოსულია 2.301.000 მანეთი.

ფადიშახი ამმანულა თბილისში

4 ივნისს დილის 11 საათზე თბილისში, მეუღლითა და ამალით ჩამოვიდა ავღანისტანის ფადიშახი ამანულა-ხანი. ფადიშაჰის სპეციალურ მატარებელში იყვნენ აგრეთვე: ა.-კ. ცაკის მდივანი ა. შავერდოვი, საქ. ცაკის მდივანი შ. მათიკაშვილი, საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯულელი, საგარეო საქმ. სახ. კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში—ო. კარკლინი ავღანისტანის ელჩი საბჭოთა კავშირში ბ. მირზა-მუხამედ-ხანი, თურქეთის ელჩი საბჭოთა კავშირში—ბ. თევფიკ-ბეი, სპარსეთის საქმეთა რწმუნებული თურქეთში და სხვა დიპლომატიურ თანამდებობათა პირნი.

ამანულა ხანი

თბილისის სადგურის ბაქანზე ფადიშაჰს შეხვდნენ ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე კასიანი და საქართველოს ცაკის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე. სადგურის საზეიმო დარბაზში კასიანმა და მახარაძემ ფადიშაჰს გააცნეს ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მთავრობების წევრები.

ალლუმი

სადგურის საზეიმო დარბაზიდან ამ.-კავკასიისა და საქართველოს მთავრობების წარმომადგენლებთან ერთად ფადიშაჰი მეუღლით და ამალით გამართა სადგურის წინა მოედანზე ალლუმის მისაღებათ. ფადიშაჰს პატაკით მიმართა ალლუმის უფროსმა გიორგაძემ.

ჯარის ნაწილების ჩამოსვლის შემდეგ ფადიშაჰმა და მთავრობის წევრებმა დაიკავეს ადგილები საგანგებოთ მორთულ ტრიბუნაზე, რომლის წინაც ჯარის ნაწილებმა ჩაიარა ცერემონიალური მარშით.

სადგურის შენობა და ტრიბუნა მორთული იყო გირლიანდებით და საბჭოთა და ავღანისტანის დროშებით.

ალლუმის გათავების შემდეგ ფადიშაჰი ამხ. კასიანის, მახარაძის და ელიავასთან ერთად გაემგზავრა ქალაქის დასათვალიერებლათ.

დღის 2 საათზე ფადიშაჰი მთავრობის სასახლეში ესტუმრა ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. კასიანს და საქართ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძეს.

ნაშუადღევის 3 საათზე სასახლის ბაღში ფადიშაჰის პატივსაცემათ გამართა საუზმე, რომელსაც დაესწრნენ ფადიშაჰის ამალისა და დედოფლის გარდა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მთავრობების წარმომადგენლები, სხვადასხვა სახელმწიფოთა ელჩები, სპარსეთის, თურქეთის, იტალიის, გერმანიის და პოლონეთის კონსულები თბილისში და სხვა თანამდებობის პირნი.

საუზმეზე ფადიშაჰს მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე — ამხ. კასიანმა.—ამიერ-კავკასიისა და ავღანისტანის მოსახლეობას—სთქვა ამხ. კასიანმა,—ბევრი რამ საერთო გვაკავშირებს ერთმანეთთან. ჩვენი მეგობრული განწყობილება ურთიერთ შორის იმით აიხსნება, რომ ორივე ჩაგრული ვიყავით: ჩვენ გვჩაგრავდა ცარიზმი და ავღანისტანის მოსახლეობას კი—ინგლისის იმპერიალიზმი. ორივე ქვეყნების ხალხი ერთ უღელ ქვეშ იყო. ჩვენმა ხალხმა მოიშორა და დაამსხვრია ცარიზმის მჩაგვრელი რეჟიმი, ხოლო ავღანისტანის ხალხმა განდევნა თავისი ქვეყნიდან იმპერიალიზმი. თქვენ ამ მხრივ დიდი დამსახურება მიგიძღვით. მე გესალმებით თქვენ როგორც ავღანისტანის მეთაურს.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა ავღანისტანის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

ფადიშაჰმა თავის საპასუხო სიტყვაში მადლობა გადაუხადა ამიერ-კავკასიის და საქართველოს უზენაესი ორგანოების ხელმძღვანელებს და კმაყოფილება გამოსთქვა მიღებული შთაბეჭდილებებით.

ფადიშაჰის გამგზავრება

საღამოს 7 საათზე ფადიშაჰი გაემგზავრა თბილისიდან. სადგურზე იგი გააცილეს მთავრობის წარმომადგენლებმა თბილისის საკონსულო კორპუსმა.

რკ. გზის სადგურის საგანგებოთ მორთულ ბაქანზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული ორკესტრით.

წასვლის წინ ფადიშაჰი გამოემშვიდობა ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავას, საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ.მახარაძეს და სხვებს.

წასვლისას ფადიშაჰმა განაცხადა: „მე უაღრესად კმაყოფილი ვარ თქვენი გაცნობით და მიღებული პატივისცემით. მუდამ მემახსოვრება თქვენში მიღებული საუკეთესო შთაბეჭდილებები".

ფადიშაჰი სპეციალური მატარებლით ბაქომდე გააცილა საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში ამხ. კარკლინმა, ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. გუსეინოვმა, თურქეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში ბ. თევფიკ-ბეიმ, სპარსეთის საქმეთა რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში ბ. ნურზადიმ, ავღანისტანის ელჩმა მოსკოვში ბ. მირზა-მუხამედ-ხანმა და სხ..

ფადიშაჰის თბილისში ჩამოსვლა, ალლუმი და მისი თბილისში ყოფნის დროს სხვადასხვა მომენტები გადაიღო სახკინმრეწვემა.

შეხვედრა ბათომში

ბათომი, 3 ივნისი. 3 ივნისს ავღანისტანის ფადიშაჰის ამანულა-ხანის შესახვედრად ბათომის ნავთსადგურში შეგროვდენ ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის, საქართველოს და აჭარისტანის მთავრობების წარმომადგენლები და დიპლომატიური კორპუსი. მათ შორის ამხ. სურმანიძე, გოგიბერიძე, შავერდოვი, მათიკაშვილი, კარკლინი, ჯულელი, ალაფუზო, პოზდეევი, ავღანისტანის ელჩი მოსკოვში მირზა მუხამედ ხანი, სპარსეთის საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში ნურზადი, სპარსეთის კონსული თბილისში ზახირ-ბეი, გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის აგენტი აჭარისტანის სარქისბეგოვი და სხვანი. ნავთსადგურის გასწვრივ გამწკრივებული იყო სამხედრო, მეზღვაურთა, ზღვის, ნაპირის მცველთა და სანაპირო რაზმის ნაწილების საპატიო ყარაული. ნავთსადგური და ნავთსადგურში მდგომი საბჭოთა და უცხოეთის გემები მორთული იყო დროშებით.

დღის 2 საათზე ჰორიზონტზე გამოჩნდა საბჭოთა ესკადრა, რომელიც თან ახლდა თურქეთის გემ „იზმირს", რომლითაც ჩამოვიდა ავღანისტანის ფადიშაჰი ამანულა-ხანი. ესკადრის დადგომის გარეგან რეიდზე თან სდევდა ზღვის ნაპირის ბატარეების სალიუტი და ნავთსადგურში მდგომი გემების საყვირების გუგუნი. ფადიშაჰის შესახვედრად გემ „იზმირს" მიეგება სამხედრო კატერი, რომელზედაც ისხდნენ ავღანისტანის ელჩი მოსკოვში მირზა მუხამედ ხანი, გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის რწმუნებული ა.კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკაში ამხ. კარკლინი, გუსეინოვი, ჯულელი, ალაფუზო, შავერდოვი; ლევაშოვი და მათიკაშვილი. გემ „იზმირის" ბაქანზე ურთიერთ მისალმებათა შემდეგ ფადიშაჰი მასთან ჩამოსულ პირთა: თურქეთის ელჩის (საბჭ. კავშ.-ში) ტევფიკ-ბეის, თურქეთის ელჩის (ავღანისტანში) ნებლიბეის, ფახრინედინ-ფაშას, ნეჟდი ფაშას, შეფკედ-ბეის და აგრეთვე საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის საოქმო ნაწილის გამგის ამხ. ფლორინსკის, შავი ზღვის ფლოტის სარდლის ამხ. ორლოვის და გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის შუა აღმოსავლეთის განყოფილების გამგის ამხ. ცუკერმანის თანხლებით, გადავიდა კატერზე, რომელმაც იგი მიიყვანა კრეისერ „ჩერვონნი უკრაინა"-მდე, სადაც მას წარუდგა კრეისერის უფროსთა შემადგენლობა. ფადიშაჰი გულთბილად გამოეთხოვა მისი გემების მხლებელ სამხედრო მეზღვაურებს და კრეისერიდან გადავიდა ნაპირზე, რომლის დროსაც გადავიდა ნაპირზე, რომლის დროსაც გემების ზარბაზნების ხმა.

ნავთსადგურში მისვლის შემდეგ ფადიშაჰს მიესალმა აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. სურმანიძე. ხანმოკლე მისალმების შემდეგ ამანულა ხანმა მიიღო გარნიზონის უფროსის პატაკი, ჩამოუარა საპატიო ყარაულს და წითელარმიელებს და წითელფლოტელებს მიესალმა რუსულ ენაზე. ავღანური მარშისა და ინტერნაციონალის ჰიმნით ფადიშაჰმა თავისი ამალის, თურქეთის დელეგაციის და სხვათა თანხლებით ავტომობილით გაიარა ბათომში, რის შემდეგაც მივიდა მისთვის მომზადებულ აგარაკში მწვანე კონცხზე.

ჩაქვში

დღისით ბოტანიკურ ბაღში გაიმართა საუზმე, რის შემდეგაც ფადიშაჰი გაემგზავრა ჩაქვში, სადაც დაათვალიერა ჩაის ფაბრიკა და დაწვრილებით გაეცნო წარმოების პროცესს. ჩაის ხარისხის შესახებ ფადიშაჰმა განაცხადა, რომ ჩაქვის ჩაის ზოგიერთი ხარისხი, მისი აზრით, სჯობია ცეილონის და ჩინეთის ჩაის. ჩაის ფაბრიკის დათვალიერების შემდეგ ფადიშაჰი აჭარისტანის მთავრობის წევრთა და სხვა წარმომადგენელთა თანხლებით საღამოს 8 საათზე მივიდა სადგურ ჩაქვში, სადაც იგი გამოეთხოვა ანგორიდან მასთან ერთად ჩამოსულ თურქეთის დელეგაციას და სპეციალური მატარებლით გაემგზავრა თბილისში.

ფადიშაჰი ზაჰესში

მცხეთა, 4 ივნისი. ამანულა-ხანის მატარებელი დილის 10 საათზე გაჩერდა ზაჰესის საგუბართან. ფადიშაჰმა ავღანისტანის ელჩის (მოსკოვში) მირზა მუხამედ-ხანის, გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის საოქმო ნაწილის გამგის ამხ. ფლორინსკის, ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობების წარმომადგენელთა, საქ. სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს თავმჯდომარის ინჟ. ბ. ჭიჭინაძის თანხლებით დაათვალიერა საგუბარი და სხვა ნაგებობანი. შემდეგ მატარებელი მიუახლოვდა გენერალურ სადგურს. ამანულა-ხანმა ძალიან დიდი ყურადღებით მოისმინა ინჟ. ჭიჭინაძის ახსნა-განმარტებანი და მისცა მას ბევრი შეკითხვები. ფადიშაჰმა დაათვალიერა წყალსაწნევი აუზი, გენერატორები და სატრანსფორმატორო სადგური. ინჟ. ჭიჭინაძემ გამოთხოვების დროს ამანულა ხანს გადასცა ფოტოგრაფიების ალბომი, რომელიც ასახიათებს ზაჰესის აგების ისტორიას. შემდეგ მატარებელი შვიდი ჰაეროპლანის თანხლებით წავიდა თბილისისაკენ. (ადს).

ამანულა ხანი (პირველი მარჯვნიდან) ტრიბუნაზე თბილისის სადგურთან— ჯარების ცერემონიალური მარშით გა ვლის დროს.

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას და ც. ს. კომისიის პრეზიდიუმების დადგენილება

ბათომის საბაჟოში აღმოჩენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ

ცეკას და ცენტ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმები აღნიშნავენ, რომ სამი წლის განმავლობაში მთელი რიგი პასუხისმგებელი და ტეხნიკური თანამშრომლები (პარტიული და უპარტიო) ყორდანიას (ბათომის საბაჟოს უფროსი), სოხაძის, კარტავას და სხვ. მეთაურობით სისტემატიურად სჩადიოდენ ბოროტმოქმედებას, რომელიც სრულიად დაუსჯელი რჩებოდა.

ბოროტმოქმედება გამოიხატა კონტრაბანდის უკანონო დადალვაში მატერიალურ დაინტერესების ნიადაგზე, კერძო ვაჭრებთან კავშირის დაჭერაში კონტრაბანდა საქონლის რეალიზაციის მიზნით, კერძო ვაჭრობისათვის ყალბი დოკუმენტების მიცემაში, სისტემატიურ მექრთამეობაში ფულის სესხად აღების სახით და სხ., ამ ბოროტმოქმედებებს თან სდევდა ლოთობა, პროტექციონიზმი, უყაირათობა და სხვ. სამარცხვინო მოვლენები.

მიუხედავათ იმისა, რომ ყველა ეს ბოროტმოქმედებანი არ შეიძლება არ ყოფილიყო შენიშნული უჯრედისა და ადგილკომის წევრების მიერ, უკანასკნელნი თავის დროზე არ ააშკარავებდენ მათ სათანადო ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე. ამასთანავე ერთად აჭარისტანის ხელმძღვანელმა ორგანოებმა საკმაო ყურადღება არ მიაქციეს საბაჟო სამმართველოს ატმოსფერის გამხრწნელ მოვლენების გამომჟღავნებას და თავის დროზე აღმოფხვრას, რადგან ისინი ენდობოდენ ამიერკავკასიის საბაჟოს სამმართველოს სარევიზიო კომისიას, რომელიც სისტემატიურად ხატავდა მათ წინაში კაზიონურ კეთილდღეობის სურათს.

ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმები ყველა პარტიულ ორგანოების ყურადღებას მიაქცევენ იმ გარემოებას, რომ ბათომის საბაჟოს საქმემ გამოამჟღავნა კონტრაბანდისტული გახრწნილება და ცხადყო პარტიის ცალკე წევრების გადაგვარების ტენდენცია, რაც წარმოადგენს თვითკრიტიკის უქონლობის შედეგს.

კონტრაბანდა მეტად ფართედ არის გავრცელებული ბათომში, რომელიც ყველაზე უფრო კონტრაბანდისტულ რაიონს წარმოადგენს საბჭოთა კავშირში. ბათომში კონტრაბანდა ვრცელდება კერძო ვაჭრობის ყველა ქსელით დაწყებული შინა-მრეწველებისა და ხელოსნებიდან და გათავებული მსხვილი კერძო ვაჭრებით, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს ჩვენს პოზიციებს და ძირს უთხრის ჩვენს სახელმწიფო ვაჭრობას და კოოპერაციას.

იღებენ რა ამას მხედველობაში, ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმები, მთლიანად ამტკიცებენ აჭარისტანის საოლქო კომიტეტის დადგენილებებს ბათომის საბაჟოს უჯრედის დაშლის შესახებ და საჭიროდ სცნობენ:

1) გამორიცხულ იქნეს პარტიის რიგებიდან ყორდანია, კარტავა, სოხაძე და კვარაცხელია.

წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს დააჩქაროს ბათომის საბაჟოს საქმის გამოძიების დამთავრება.

2) ბათომის ორგანიზაციის სასწრაფო ამოცანად ჩაითვალოს კონტრაბანდის აღმოფხვრა.

საზღვარზე მდებარე რაიონების პარტორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ ენერგიული ბრძოლა კონტრაბანდასთან, ჩააბან ამ მუშაობაში მუშათა და გლეხთა მასები და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ საბაჟოსა და სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ორგანოების მუშაობას. ხსენებულმა პარტორგანიზაციებმა უნდა მიიღონ სასტიკი ზომები, თვით პარტიიდან გარიცხვამდე, ყველა იმ პარტიულების მიმართ, რომლებიც შემჩნეულნი იქნებიან კონტრაბანდის ყიდვაში. აეკრძალოთ კომუნისტებს კონტრაბანდა საქონლიდან შეკერილ ტანსაცმლის ტარება. პროფორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა უპარტიოებს შორის ხსენებულ საკითხზე.

3) სათანადო ოლქებისა და მაზრების პარტორგანიზაციებმა მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან, ამიერ-კავკასიის საბაჟო სამმართველოსთან და სახელმწიფო-პოლიტიკურ სამმართველოსთან ერთად უნდა გადაათვალიერონ ადგილობრივ საბაჟო სამმართველოების მუშაკთა შემადგენლობა, შეავსონ ის მტკიცე პარტიული ამხანაგებით და გასწმინდონ საბაჟო აპარატი უცხო ელემენტებისაგან.

4) ბათომის საბაჟოში ჩადენილ ბოროტმოქმედებების წინააღმდეგ თავის დროზე ზომების მიუღებლობისათვის, სანაპირო რაზმის უფროსს ამხ. ეჯიბიას გამოეცხადოს საყვედური. დაევალოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს გადაათვალიეროს საზღვარზე მდებარე რაიონების მუშაკთა შემადგენლობა და შეავსოს ის მტკიცე პარტიულ ამხანაგებით.

5) საზღვარზე მდებარე რაიონების სამაზრო და საოლქო კომიტეტებმა უნდა მიიღონ ზომები სანაპირო უჯრედების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

6) ყოვლად დაუშვებელ პროტექციონიზმის, საქმის შინაურულად მოგვარებების და უყაირათობის აღმოფხვრის მიზნით, წარმოებულ იქნეს გადამწყვეტი ბრძოლა ყველა ამ მოვლენებთან, დაწყებული უჯრედიდან ზევით მდგომ პარტორგანოებამდე.

სრულიად დაუშვებლად ჩაითვალოს სამსახურში მიღება იმ პირების, რომელთაც სახელი აქვთ გატეხილი წინანდელი მუშაობის დროს.

დაევალოს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ჩაატარონ ადგილობრივ საბაჟო სამმართველოებში საჯარო გამოკვლევა, პროფკავშირთა და პარტიული მასების მონაწილეობით.

8. უცხოეთის საქონლის განდევნის მიზნით დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს რეალურად უზრუნველყოს მანუფაქტურით საზღვარზე მდებარე რაიონები.

9. აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პარტსამეულმა უნდა აწარმოონ გადამწყვეტი ბრძოლა ავადმყოფურ მოვლენების წინააღმდეგ ორგანიზაციაში (იუბილეების მოწყობა, საჩუქრების მიტანა, ლოთობა, ბანკეტები) და უნდა ჩააბან ამ საქმეში პარტიის და კომკავშირის უჯრედები უსასტიკესი თვითკრიტიკის განსავითარებლად და შინაპარტიული დემოკრატიის გასატარებლად.

10. ვინაიდან ადგილკომმა გამოიჩინა სრული უმოქმედობა, რის შედეგათ, აშკარად ირღვეოდა კოლექტიური ხელშეკრულება და სრულიად არ სწარმოებდა პროფმუშაობა, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა საბაჟო დაწესებულებებში მეტი ყურადღება მიექცეს პროფორგანიზაციების მუშაობას, ადგილკომის ირგვლივ უპარტიო მასის დარაზმვას, ამ დაწესებულებების კონტროლისა და მუშაობაში მონაწილეობის მიზნით.

11. საჭიროდ იქნეს ცნობილი საბაჟოს მიერ კონფისკაციაქმნილ საქონლის რეალიზაცია სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის ხაზით, მნიშვნელოვანი ზედნადებით საქონლის წვრილ წვრილად გაყიდვის დროს.

12. გაძლიერებულ იქნეს ბათომის საბაჟოს კავშირი სანაპირო რაზმთან, რათა უკანასკნელის მასალები სავსებით იქნეს გამოყენებული, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრში.

13. საზღვარზე მდებარე რაიონების ყველა პარტორგანიზაციებმა უნდა განიხილონ ეს დადგენილება უჯრედების სხდომებზე და შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები მათი ცხოვრებაში გასატარებლად.

თათბირი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ

მდგომარეობა მაზრებში

თათბირის პირველ სხდომაზე ახალქალაქის და გორის სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეთა მოხსენების გარდა, მოსმენილ იქნა ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოხსენება. მეორე დღეს—3 ივნისს დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა რაჭის, დუშეთის, ზუგდიდის სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეთა მოხსენებები.

ოზურგეთის მაზრა

(მომხსენებელი ამხ. გურგენაძე)

ოზურგეთის მაზრა,—ამბობს მომხსენებელი,—სხვა მაზრებისაგან განირჩევა იმით, რომ იქ ყველაზე უფრო შესამჩნევია დისპროპორცია მოსახლეობის კულტურული განვითარების და მაზრის სამეურნეო-ეკონომიურ ჩამორჩენილობის შორის. მასების კულტურულ დონეს სრულიად არ შეესაბამება მაზრის სამეურნეო განვითარება. კულტურულ წინსვლელობას ფეხდაფეხ ვერ მისდევს ეკონომიური წარმატება. გლეხის მეურნეობა მაზრაში დეფიციტიანია. წინად გლეხი დეფიციტს ფარავდა ბათომის ნავთის სამრეწველოებზე და შავი ზღვის სანაპიროების სამუშაოებზე გასვლით. ამჟამად გლეხს ამის საშუალება არა აქვს. სამაზრო აღმასკომი იძულებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაციას იმ მიზნით, რომ აამაღლოს სოფლის მეურნეობის საქონლიანობა, და მოსპოს დეფიციტიანობა გლეხის მეურნეობაში. პირობები ინტენსიური მეურნეობის განსავითარებლად გურიაში არსებობს. გურიის დაბლობ რაიონების ნიადაგი და ჰავა იძლევა ჩაის კულტურის განვითარების სრულ შესაძლებლობას. თვით გლეხობასაც საკმაოდ შეგნებული აქვს ამ კულტურის სარგებლიანობა. ჩაის მეურნეობის განსავითარებლად ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში დიდი ნაბიჯია გადადგმული. სამაზრო აღმასკომმა წელს ოზურგეთის ახლო ჩაის საცდელ პლანტაციების გასაშენებლად სამეურნეო ორგანიზაციებს გადასცა 22 დესეტინა, სოფ. ანასეულში 300 დესეტინა, ნასაკირალში—15 დესეტინა. მიმდინარე წელს ზვანის ჩაის ფაბრიკასთან გაშენებული იქნა 15 დეს. საცდელ საჩვენებელი პლანტაცია, ხოლო ანასეულში 70 დესეტინაზე დაითესა ჩაის სათესლე ჯიშები. თვით გლეხობამ წელს გააშენა 900 დესეტინა ჩაის პლანტაციები. გეგმა თითქმის შესრულებულია. მომავალი წლისთვის უნდა დაითესოს 1.500 დესეტინა, საერთოთ ჩაის საქმე უზრუნველყოფილია საკმაო კრედიტებით, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ 5 წლიანი გეგმა შესრულებულ იქნება სრული ასი პროცენტით. სიმინდის თესვას მაზრაში პირველი ადგილი უჭირავს. მაგრამ მიწების გამოფიტვის, სამელიორაციო მუშაობის განუვითარებლობის და მიწის გაუნოყიერებლობის გამო, მოსავლიანობა წლიდან წლამდე კლებულობს, მცირდება სასარგებლო მიწების სივრცე. მაზრა ყოველწლიურად საჭიროებს 2.500.000 ფუთ სიმინდს, აქედან სამეურნეო ორგანიზაციებს ყოველწლიურად უხდებათ 400.000 ფუთის შემოტანა. სამაზრო სტატბიუროს მიერ დამუშავებული ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს. სტატბიუროს ცნობებით სიმინდის წლიური მოსავალი თითქოს 750.000 ფუთს არ უნდა აღემატებოდეს, ნამდვილად კი მაზრის წლიური შემოსავალი 2 მილიონ ფუთზე მეტია. სიმინდის კულტურის განვითარებას აუცილებლად უნდა მიექცეს უფრო მეტი ყურადღება. ამის შესაძლებლობა მაზრაში არის. ჭაობიანი რაიონების ამოშრობა, გარდა იმისა, რომ გააჯანსაღებს კუთხეს, მოსახლეობას შესძენს რამოდენიმე ათას საუკეთესო ღირსების მიწებს. მაზრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის მოწყობასაც, მაგრამ რა უნდა გააკეთოს მაზრაში მომუშავე ერთმა მიწის მზომელმა? დღემდე მოწყობილია მხოლოდ 400 დესეტინა. გურიას მეაბრეშუმეობის დარგში პირველი ადგილი უჭირავს. ამ დარგს მისდევს მოსახლეობის 80 პროცენტი. აბრეშუმის პარკის მოსავლიანობა ყოველწლიურად მატულობს, რასაც ხელს უწყობს სამეურნეო ორგანიზაციების ღონისძიებები. გასულ წელს გაშენებულია თუთის ხის სამი სანერგე, საიდანაც გლეხებს დაურიგდათ 30.000 ცალი ნერგი. მოწყობილია აგრეთვე 4 საინკუბაციო კამერა, რომლებმაც დაარიგეს 800 კოლოფი გამოჩეკილი ჭიები. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გურიის ზოგიერთ რაიონის გლეხის მეურნეობაში მებაღეობა-მეხილეობას. აქაური ვაშლი საექსპორტოდ გამოუსადეგარია, ამიტომ საჭიროა აშენდეს ერთი ხილის საშრობი ქარხანა მაინც, მაზრაში მოდის ყოველწლიურად 100.000 ფუთი თხილი, რომელიც გააქვთ საექსპორტოდ. მევენახეობა-მეღვინეობა ჩვენს მაზრაში რენტაბელურია. მართალია, აქაური ღვინო ბაზარზე გამოსატანად არ ვარგა, მაგრამ იძლევა საუკეთესო სპირტეულს. ყოველწლიურად იხდება 2 მილიონი გრ. არაყი. უკანასკნელ ხანებში ფეხს იკიდებს დაბლარი ვენახი, რომელიც ამ ჟამად უკვე იძლევა ყოველწლიურად 80.000 ფუთ ღვინოს.

მეთამბაქოეობა, რომელიც ომის პერიოდში დაეცა, ისევ იკიდებს ფეხს მრავალ თემში. მესაქონლეობა მაზრაში ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. მუშა-საქონლის რიცხვი მაზრაში, სადაც 125.000 მცხოვრებია, 16.500 არ აღემატება, ხოლო ძროხები 15.600-ს. მცირეა აგრეთვე წვრილფეხა საქონლის რაოდენობაც. მუშა-საქონელი გლეხის მეურნეობაში მასზე გაწეულ ხარჯს ვერ ამართლებს. აღმასკომი ზრუნავს საქონლის ჯიშის გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით გახსნილია ოთხი საგრილებელი პუნქტი, რომელიც ჯერჯერობით კარგი ჯიშის ბუღებით უზრუნველყოფილი არ არის. რამდენად სუსტია მეფრინველეობა მაზრაში, სჩანს იქიდან, რომ ფრინველთა რიცხვი 170 ათას არ აღემატება. აგრარიული დახმარება მაზრაში მოიკოჭლებს. აგრო-პერსონალი განისაზღვრება ერთი აგრონომით და ორი ინსტრუქტორით, რაც მინიმუმზე ნაკლებია. მაზრაში სამ ადგილას მოწყობილია აგრო-პუნქტები, სადაც გაშენებულია ტროპიკული და სუბტროპიკული კულტურების საჩვენებელი მინდვრები.

სამომხმარებლო კოოპერაცია მაზრაში თანდათან ვითარდება, ამჟამად არსებობს 11 ამხანაგობა, რომელსაც ა. წ. პირველი მაისისათვის ჰყავდა 17.829 წევრი. საპაიო თანხა უდრიდა 92.584 მანეთს. (საშუალოდ წევრზე მოდის 5 მანეთი 36 კაპ. საპაიო), 1927-1928 წლის პირველ კვარტალში კოოპერაციის ბრუნვა შეადგენდა 720.900 მანეთს. მაზრაში ფეხს იკიდებს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაცია. სულ დღემდე მოწყობილია 14 ამხანაგობა, რომელიც აერთიანებს 7.975 მეურნეობას. ანუ 83 პროცენტს. საპაიო თანხა უდრიდა 1927 წლის დამლევს 48.140 მანეთს. ანაბარების ჯამი—42.200 მანეთს. 1926-27 წელს ამხანაგობებს გაუციათ 500.000-მდე მან. სესხი.

ჯანმრთელობის დაცვის მხრივ მაზრა შედარებით უზრუნველყოფილია. არსებობს სამი საავადმყოფო, ათი საექიმო პუნქტი, ორი დისპანსერი, სამალარიო სადგური და სხვ.

განათლების მხრივ მაზრას პირველი ადგილი უჭირავს. სკოლებში სწავლობს სასკოლო ასაკის ბავშვების 98 პროცენტი. არსებობს 147 ოთხწლედი, 30 შვიდწლედი, სამი 9 წლედი, 3 ტეხნიკუმი, 13 პროფსკოლა, 12 სოფლის ახალგაზრდობის სკოლა, და 3 საბავშვო ბაღი და სახლი. მაზრის ბიუჯეტი დეფიციტიანია. მაზრისთვის აღმასკომს ეძლევა 121.000 მან. დოტაცია, ხოლო თემებისათვის 386.000 მანეთი, რაც უმთავრესად მასწავლებლების შტატის შენახვას ხმარდება.

რაჭის მაზრა

(მომხსენებელი ამხ. წულუკიძე)

რაჭა,—ამბობს მომხსენებელი,—ეკონომიურად ერთი ჩამორჩენილი მაზრათაგანია. მაზრის ეკონომიურ წარმატებას წინ ეღობება მიწის იშვიათი სივიწროვე. საშუალოდ თვითეულ კომლზე მოდის მხოლოდ ერთი მესამედი ჰექტარი მიწა. ადგილობრივი სასოფლო მეურნეობის შემოსავლით კმაყოფილდება საჭიროებების მხოლოდ 60 პროც., დეფიციტი 40 პროც., იფარება მაზრის გარეთ სამუშაოებზე გასვლით. მრეწველობა მაზრაში მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფება და მის შემოსავლიანობაზე ლაპარაკი ჯერ-ჯერობით ნაადრევია. მესაქონლეობას, განსაკუთრებით ერთ-ერთ დარგს,—მეღორეობას, მაზრაში აქვს ნიადაგი. ერთ-ერთ რაიონში მზადდება საუკეთესო ხარისხის ღორის შაში, რომელიც მაზრის გარეთაც გააქვთ. მესაქონლეობის ამ დარგის განვითარებას მაზრაში უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. მოსახლეობა მისდევს აგრეთვე მეფუტკრეობას, მებაღეობას, მეაბრეშუმეობას, მაგრამ ამ დარგებს ჯერ-ჯერობით არა აქვთ დიდი ეკონომიური მნიშვნელობა. მევენახეობა ქვემო რაჭის მცხოვრებთა ერთი მთავარი საქმიანობაა. ღვინო ამ რაიონში კარგი ხარისხის მოდის, მაგრამ მისი დამუშავება პრიმიტიულია. მხოლოდ ეხლა ეწყობა ღვინის სარდაფი, რომელიც წლიურად 27.000 ვედრო ღვინოს დაამზადებს. მეურნეობის მთავარი დარგი მაზრაში მაინც მემინდვრეობაა. ამიტომ სამაზრო ხელისუფლება ყოველი ღონისძიებით ცდილობს ამ დარგის გასაუმჯობესებლად მოსახლეობაში გაავრცელოს ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღები. უკვე დარიგებულია 1.300 გუთანი და 2.000 სხვადასხვა წვრილმანი იარაღები. მუშაობს აგრეთვე ერთი ტრაქტორი, რომელიც დიდი წარმატებით იქნა გამოყენებული. საჭიროა ტრაქტორის რიცხვი გადიდდეს, მომავალში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბალახის თესვას, რისთვისაც საჭიროა მაზრის უზრუნველყოფა სათესი მასალით. მეფუტკრეობის გასანვითარებლად მაზრაში არსებობს ძალიან კარგი პირობები. მრავალფეროვანი ფლორის გამო ადგილობრივ ბაზარზე, ჩვენი ხე-ტყის მასალის ცუფლი. მეაბრეშუმეობის წარმატებას ხელს უშლის თუთის სანერგეების სიმცირე, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება. წარმოებებიდან—აღმასკომს აქვს ორი ხე-ტყის ქარხანა, რომელნიც წლიურად ამზადებენ 800.000 კუბ. ვერშოკს ხე-ტყეს. დიდი ნაწილი ხე-ტყისა გაუსაღებელი რჩება, რადგან ჩვენი მასალა ვერ უძლებს რუსეთის ხე-ტყის კონკურენციას ადგილობრივ ბაზარზე. ჩვენი ხე-ტყის მასალის ცუდი ხარისხი და თვითღირებულების სიდიდე აიხსნება ქარხნების მოუწყობლობით და მოძველებულ მანქანების არა რაციონალური მუშაობით. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რაჭის მაზრისთვის ისე, როგორც დანარჩენი მაზრებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს წისქვილების მშენებლობას. დღემდე მაზრაში არ არის არც ერთი კომუნალური ან კოოპერატიული წისქვილი. წისქვილებს ფლობენ კერძო პირები, რომელნიც ტყავს აძრობენ მცხოვრებლებს.

საექიმო დახმარება მაზრაში ცუდად არის დაყენებული. საექიმო პუნქტების რიცხვი მეტად განსაზღვრულია. მაზრაში არსებობს მხოლოდ ერთი საავადმყოფო, რომელიც რაიონებზე ძალიან დაშორებულია, რის გამო მცხოვრებლები არჩევენ სამკურნალოდ ან ქუთაისში წავიდნენ, ან თბილისში. განზრახული გვაქვს ავაგოთ ერთი საავადმყოფო მაზრის ცენტრალურ პუნქტი. სასკოლო ქსელი მაზრაში საკმაო არ არის. სწავლა-განათლების წყურვილი კი მაზრაში დიდია, სკოლებში სწავლობს 7.000 ბავშვი. დიდი პროცენტი სკოლის გარედ არის დარჩენილი. ვინაიდან მაზრაში გავრცელებულია სხვადასხვა ხელოსნობა და ხელობა, მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ სკოლებს სათანადო განხრა მიეცემოდა. კოოპერაცია თანდათან ვითარდება. იგი აკავშირებს მოსახლეობის 80 პროც. იზრდება საპაიო გამოსაღებიც, რომელიც ეხლა თვითეულ მცხოვრებზე 7 მანეთამდე აღწევს. დიდი წარმატებით ვითარდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რაც აიხსნება იმით, რომ კოოპერაციის ამ დარგმა ალღო აუღო ხალხის სამეურნეო საჭიროებას და შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებს მას. საგზაო მშენებლობა მაზრაში სწარმოებს, მაგრამ გზათა სამმართველოდან ამ მშენებლობას არავითარი ყურადღება არ ექცევა.

დუშეთის მაზრა

(მომხსენებელი ამხ. სუჯიაშვილი)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მაზრაში მიწათმოწყობა ნელი ტემპით მიმდინარეობს, რაც აბრკოლებს სამეურნეო მუშაობას. საერთოთ, მაზრაში მიწა ძალიან ცოტა შემოსავალს იძლევა. ხანდახან ყანა არ ამართლებს მასზე გაწეულ შრომას. მაგალითად, დესეტინა სიმინდის ორჯერ გათოხნა ჯდება 24 მან. მთელი შემოსავალი კი 60 მ. არ აღემატება. მაზრაში უფრო მეტად განვითარებულია მეცხვარეობა, ყოველწლიურად მზადდება 70.000 ფ. მატყლი. ერბო-ყველის დასამუშავებლად მოწყობილია ერთი ქარხანა. სამჯერ გადიდდებოდა ნაყოფიერება, მაზრაში რომ გახსნილიყო კიდევ ორი ქარხანა. მრავალ ალაგს მოიპოვება მინერალური წყლები. მისი ექსპლოატაცია სახელმწიფოს დიდ შემოსავალს მისცემდა. როგორც ამბობენ, წელს კურორტთა სამმართველო აპირებს კობის მინერალური წყლების ექსპლოატაციას. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სხვა წყაროებსაც. მაზრაში თანდათან ვრცელდება ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღები. აქვე მუშაობს ოთხი ტრაქტორი. დიდი დანაკლისია ის, რომ დღემდე არა გვაქვს სარემონტო სახელოსნოები. მუხრანის სახალხო მამულს, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს გადაცემული, აქვს 1200 დეს. მიწა, რომელიც არ მუშავდება. ეს დიდი დანაშაულია, მიწის სივიწროვის ისეთ პირობებში, რომელსაც მაზრა განიცდის. საერთოთ ეს მამული არ წარმოადგენს საცდელ საჩვენებელ პუნქტს მაზრის მოსახლეობისათვის. უფრო ნაყოფიერად მუშაობს ის მამული, რომელიც გადაცემული აქვს თბილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტს. მას უფრო დაახლოებული ჰყავს გლეხობა, რომელიც ბევრ სასარგებლო ცოდნას იძენს ამ მამულიდან. მაზრაში ფეხს იკიდებს კოლექტიური მეურნეობანი, რომელთა რიცხვი 11 უდრის და რომელნიც აერთიანებენ 277 კომლს. მომხსენებელი ჩერდება მიმდინარე წლის თესვის კამპანიაზე და აღნიშნავს, რომ ჩვენმა გადაჭარბებულმა დაპირებამ, რომ გლეხობას მივაწვდიდით საკმაო სათეს მასალას, უარყოფითი შედეგი გამოიღო. თესლის მიღების მოლოდინში გლეხობამ გაიხმარა ის თესლიც, რომელიც მას ჰქონდა მოზოგვილი. ცენტრიდან მიღებული თესლი საკრედიტო ამხანაგობებმა გაანაწილეს მხოლოდ თავის წევრებს შორის; არა წევრები კი დარჩნენ უთესლოდ. მათ შორის ბევრი ღარიბი გლეხიც აღმოჩნდა.

სახალხო განათლება მაზრაში წინ მიიწევს. მაზრაში არსებობს სულ 7 ოთხწლედი და ერთი ცხრაწლედი, რომელსაც საჭიროა მიეცეს სპეციალური განხრა. ოთხწლედები ცუდათ არიან მოწყობილი: არა აქვთ შესაფერი შენობები და მოკლებული არიან ინვენტარს. პროფტეხნიკური განათლება მაზრაში ცუდათ არის დაყენებული. სუსტია აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვა. ექიმების რიცხვი განსაზღვრულია. აფთიაქები მოსახლეობას ვერ აწვდიან საჭირო წამლეულობას. დასასრულ, მომხსენებელს დროულად მიაჩნია დაისვას საკითხი დუშეთისა და თბილისის მაზრების გაერთიანების შესახებ.

—:—

(ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოხსენებას ხვალ მოვათავსებთ).

სრ. საქართველოს ფიზკულტურის კვირეული

ჯანმრთელობის და სილამაზის დღესასწაული

გუშინ, 3 ივნისს, დაიწყო ზეიმულად საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაული—ჯანმრთელობის და სილამაზის პირველი რესპუბლიკანური დღესასწაული.

პროლეტარულ ფიზკულტურას საქართველოში არ აქვს დიდი ხნის ისტორია, მაგრამ შედარებით მოკლე დროის განმავლობაში მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული მუშა-ახალგაზრდობის გაჯანსაღების საქმეში.

ამ მიღწევების სადემონსტრაციოთ არიან მოწვეული ფიზკულტურნიკები მაზრებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან.

ალლუმი ქალაქში

დილა ადრიანათ ა. ძ. ქვეითი ჯარის სკოლის ეზოში, სადაც დაბინავებული არიან დღესასწაულის მონაწილენი, გაისმა საყვირის ძლიერი ხმა, რომელმაც ამცნო ფიზკულტურნიკებს დღესასწაულის დაწყება.

სკოლის ფართო მოედანი ერთბაშად აივსო ფერად ხალათიანი მხნე ვაჟკაცებით, რომელთა ფუსფუსში, ხუმრობაში, ახალგაზრდულ გატაცებაში არის რაღაც უაღრესად მიმზიდველი, წამახალისებელი.

ტრიბუნაზე

სკოლის ეზო სამხედრო ბინაკს ჰგავს. ისმის ზარაბანის განუწყვეტელი ხმაური, საყვირის ხმა, ვარჯიშთავების ბრძანება.

აი დაეწყვნენ კიდეც. მთავარი მსაჯი შეჩვეულ თვალით ზომავს რიგების სისწორეს. ისმის ბრძანება—„ბიჯებით იარ", და მზეზე დამწვარ, გაშავებულ სხეულთა ტალღა გამოდის ქუჩაზე.

ლამაზი სანახაობაა. ფერად ხალათებში გამოწყობილი ფართო გულმკერდიანი და კუნთებ დაჭიმული ახალგაზრდები რიტმიულად მიაბიჯებენ ცხელ ქუჩებზე და თან მოაქვთ სახალისო და სილამაზე ჯანსაღი ორგანიზმის, მოხდენილ ტანის.

ფიზკულტურნიკებმა ჩაიარეს სასახლეს, რომლის აივნიდანაც მათ მიესალმათ მთავრობის წევრები. შემდეგ თავისუფლების მოედანის გავლით დაუხვიეს პუშკინის ქუჩაზე და პლეხანოვის პროსპექტით დაბრუნდნენ ლენინის სახელობის სტადიონზე, სადაც გაიმართა მიტინგი.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

მიტინგის დაწყებისას ტრიბუნაზე არიან ამხ: ფ. მახარაძე, ს. თოდრია, მარიამ ორახელაშვილი, ლადო სუხიშვილი; ვ. ბოლქვაძე; გრ. კუჩაძე; ივანოვ-კავკასკი; ფაბრიციუსი; გოთოგაძე; ი. ჭელიძე; გეგელია (აფხაზეთიდან) და სხვები, სხვადასხვა ორგანიზაციების და პრესის წარმომადგენლები.

მიტინგს ხსნის ამხ. ფ. მახარაძე:

— სრულიად საქართველოს ფიზკულტურის პირველ დღესასწაულის ზეიმს გახსნილად ვაცხადებ. (მუსიკა ასრულებს „ინტერნაციონალს").

ამხანაგებო, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საბჭოთა საქართველოში ეწყობა ასეთი დიდმნიშვნელოვანი ზეიმი. აქ დღეს და მთელი კვირის განმავლობაში იწარმოებს ფიზკულტურნიკთა ვარჯიში, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს რამოდენიმე ასეული ფიზკულტურნიკი საქართველოს ყველა კუთხეებიდან. ფიზკულტურის საქმეში მთლიანად კი ჩაბმუ-შადების საქმეში. ძველი თქმულება „ჯანსაღ სხეულში—ჯანსაღი სული"-ო, მაგრამ ჩვენთვის ეს საკმარისი არაა. საჭიროა, რომ ჩვენი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა არა მარტო ეწეოდეს თავის გაჯანსაღების საქმეს, არამედ ეს ახალგაზრდობა იყოს გამსჭვალული კომუნისტური ინტერნაციონალური იდეებით. მთელი ახალგაზრდობა, რომელიც ჩაბმულია ფიზკულტურაში, უნდა აღვზარდოთ ინტერნაციონალურ, კომუნისტურ, ბოლშევიკურ პრინციპებზე, რომ შეიქმნას მტკიცე საფუძველი მუშურ-გლეხური ხელისუფლებისათვის, რომ ამ ახალგაზრდობამ იმუშაოს იმ წესწყობილების დასამყარებლად, რომელსაც ჩვენ სოციალიზმს ვუწოდებთ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების მთავრობის სახელით მე მხურვალეთ მოგესალმებით და გისურვებთ წარმატებას. ვისურვებ, რომ თქვენს რიგებში ჩაბმულიყოს მეტი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა.

ნიშნად ჩვენი თქვენდამი სრული თანაგრძნობისა საბჭოთა მთავრობის სახელით გადმოგცემთ ამ წითელ დროშას (დროშას აძლევს საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მდივანს ამხ. ვ. კიკნაძეს. ტაში, მუსიკა ასრულებს „ინტერნაციონალს"), რომელიც იქნება სიმბოლო იმ რწმენისა, რომ ჩვენი მოზარდი ახალგაზრდობა გამსჭვალულია სოციალისტური მსოფლმხედველობით და სრული თანაგრძნობით საბჭოთა ხელისუფლების მიმართ (მქუხარე ტაში).

ამხ. ვ. კიკნაძის სიტყვა

საპასუხო სიტყვას ამბობს საქ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მდივანი ამხ. ვანო კიკნაძე.

— საბჭოთა მთავრობის მიერ გადმოცემული დროშა უნდა იქნეს სიმბოლო იმისა, რომ საქართველოს პროლეტარული სპორტული ახალგაზრდობა ივლის კომუნისტური პარტიის მიერ ნაჩვენები გზით.

საქართველოს ფიზკულტურნიკები საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე იქნებიან ყოველთვის. ფიზკულტურნიკების სახელით ჩვენ მხურვალე სალამი კომუნისტურ პარტიას და ახალგაზრდობის ავანგარდს კომკავშირს. ჩვენ უნდა აღუთქვათ პარტიას და მთავრობას, რომ მომავალში კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას და გავზრდით ჩვენს რიგებს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ფიზკულტურას!

თავისუფალი ვარჯიში

მისალმებების შემდეგ დაიწყო თავისუფალი ვარჯიში.

პირველად გამოვიდნენ პიონერები, რომელთა მწყობრმა და შეთანხმებულმა ვარჯიშმა აღტაცებაში მოიყვანა დამსწრეები.

პიონერების შემდეგ სტადიონზე იწყო დენა მოწაფეთა კოლონებმა. ვარჯიშში მონაწილეობა მიიღო 2.000-დე კაცმა. სურათი, რომელიც აქ გადაიშალა მაყურებლების თვალწინ, იშვიათი იყო თბილისისათვის.

ლენინის სტადიონი მთლიანად აივსო თეთრ ხალათებიან და შავ ტრუსიკებიან ქალ-ვაჟით. მთავარ მსაჯის ამხ. გ. ეგნატაშვილის ბრძანებით მთელი ეს უზარმაზარი მასა მოემზადა ვარჯიშისათვის. გაიშალა უამრავი ხელები, ალაპარაკდა ორკესტრი და სტადიონზე რაღაც ზღაპრული რიტმიული მოძრაობა დაიწყო. თვალები გიჭრელდებოდა, როდესაც ამ ხელების ტყის მოძრაობას უყურებდი. სანახაობა კიდევ იმით იყო მიმზიდველი და წარმტაცი, რომ 2.000 ბავშვი როგორც ერთი კაცი ვარჯიშობდა. არც ერთი შეცდომა, არც ერთი ზედმეტი ჟესტი.

მაყურებლებმა ერთსულოვანი მქუხარე ტაშით გამოხატეს თავისი აღფრთოვანება ნახულით.

შემდეგ სავარჯიშოთ გამოვიდნენ ა. ძ. ქვეითი სკოლის კურსანტები მათი შემოსვლა სტადიონზე, მეტად მოხდენილი ვარჯიში და სტადიონიდან გასვლა ხანგრძლივი ოვაციების საგანი იყო დამსწრეთა შორის.

დასასრულ, სტადიონზე გამოეფინენ მზით დამწვარი ფიზკულტურნიკები. მათი მხნე გამომეტყველება, გულმკერდზე და მკლავებზე მოთამაშე კუნთები თვალნათლივ ადასტურებდენ ფიზკულტურის უდიდეს მნიშვნელობას მშრომელთა გაჯანსაღების საქმეში

გათავდა ვარჯიში. ფიზკულტურნიკები დაეწყვენ კოლონებად და დაიწყო მარშიროვკა ტრიბუნის წინ.

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობას!—ესალმება მათ ამხ. ფ. მახარაძე.

სალამი ფიზკულტურნიკ მუშებს და გლეხებს,—იძახის ტრიბუნიდან ამხ. ს. თოდრია და მათ მისალმებას ფიზკულტურნიკთა მტკიცე, ერთსულოვანი „ვაშა" ფარავს.

ზეიმი დამთავრდა ნაშუადღევის 3 საათზე.

შეჯიბრი ფეხბურთში

ოთხი საათიდან „დინამო"-ს სტადიონზე დაიწყო შეჯიბრი ფეხბურთში. თამაშობდა ორი წყვილი: ბათუმი-გორი და სოხუმი-ფოთი.

პირველ შეჯიბრში ერთმანეთს შეხვდა ბათუმი და გორი. გორი ბათუმის „ბრძოლებში" გამობრძმედილ გუნდისათვის, რასაკვირველია, არ წარმოადგენდა ძლიერ მოწინააღმდეგეს. ამიტომ მატჩი არ გამოდგა საინტერესო. ბათუმელებმა, რომელთა შემადგენლობაშიც არიან თბილისელი გ. ვაჩნაძე და ნ. ანიკიძე, ადვილად მოუგეს გორელებს შეჯიბრი 6:0.

ძალიან საინტერესო გამოდგა მეორე მატჩი ფოთის და სოხუმის გუნდებს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ქალაქი თბილისთან და ბათუმთან ერთად საკმაოდ ძლიერი პრეტენდენტია საქართველოს პირველობაზე.

თამაში დაიწყო მეტად სწრაფი ტემპით. პირველ წუთებში ინიციატივა ხელთ იგდეს სოხუმელებმა, მაგრამ შემდეგ ფოთის გუნდმა ლამაზი პასებით ბურთი გადაიყვანა სოხუმის კარებისაკენ და შედეგსაც მიაღწია 11 მეტრიან საჯარიმო დარტყმიდან. აღსანიშნავია, რომ ფოთი თითქმის თავიდანვე 10 კაცის შემადგენლობით თამაშობდა (ერთი მოთამაშე მსაჯის მიერ გაძევებული იქნა მოედნიდან), მაგრამ მიუხედავად ამისა უპირატესობა მაინც მის მხარეზე იყო. სოხუმის კარებზე ხშირი იყო გაბედული იერიშები, მაგრამ აფხაზეთის გუნდის მეკარის მოხდენილი თამაშის წყალობით სოხუმი უვნებლად გამოდიოდა ყველა კრიტიკულ მომენტიდან.

დროგამოშვებით სოხუმიც ახერხებდა ფოთელების ფრონტის გარღვევას. ერთ ერთ ასეთი მომენტის დროს ფოთი დაჯარიმდა და სოხუმმა 11 მეტრიანი დარტყმით გაატანა ანგარიში.

ტაიმის ბოლომდე მიღწეული შედეგები არ შეცვლილა.

თამაშის მეორე განყოფილებაში გუნდებმა ვეღარ გაუძლეს თავიდანვე აღებულ ტემპს. დაღლილობა განსაკუთრებით დაეტყო ფოთის გუნდს, რომელიც თუმცა უკვე 11 კაცის შემადგენლობით თამაშობს, მაგრამ ვეღარ ახერხებს შეტევაზე გადასვლას. უპირატესობა ეტყობა სოხუმს, რომელიც ამ შეჯიბრს მოიგებდა, რომ მის ფორვარდებს უფრო დაკვირვებით ეთამაშნათ. მათ რამოდენიმეჯერ შეძლეს ბურთის ფოთის კარებამდი მიტანა, მაგრამ უხეირო დარტყმით გააფუჭეს მათ სასარგებლოდ შექმნილი მდგომარეობა.

გუნდების ბრძოლას მეორე ტაიმში არ მოყოლია რეალური შედეგი. ამრიგად, შეჯიბრი დამთავრდა 1:1.

აღსანიშნავია, რომ გუნდები თითქმის თანასწორ ძალას წარმოადგენენ. განსაკუთრებით კარგათ თამაშობენ ორივე მხრიდან ბეკები და ხავბეკები, თამაშის კლასის მხრივ ფოთის ფორვარდები წინ სდგანან სოხუმთან შედარებით.

შ. გ—ძე.

—:—

გუშინ, დინამოს სტადიონზე შესდგა ორი შეჯიბრი, თამაშობდენ: თბილისი-გორი და ბათუმი-სოხუმი. თბილისმა მოუგო გორს 10:1. ბათუმმა მოუგო სოხუმს 5:0.

დღეს, დინამოს სტადიონზე თამაშობენ სოხუმ-გორი და თბილისი-ფოთი.

დღესასწაულის ქრონიკა

ტანვარჯიში

გუშინ დილით ლენინის სახელობის სტადიონის დარბაზში სწარმოებდა ტანვარჯიშული შეჯიბრი იარაღებზე, სრულიად საქართველოს პირველობაზე. მონაწილეობას იღებენ: მეიფარიანი, რცხილაძე, ყანჩაველი; კორსუნსკი, ფაჩულია, ფხაკაძე და ოლენიკოვი. ცილობა დამთავრდება დღეს. ჯერ-ჯერობით პირველ ადგილზე მიდის მეიფარიანი, შემდეგ თანაბრად მიდიან რცხილაძე, ყანჩაველი და კორსუნსკი.

კალათბურთი

გუშინ ლენინის სახელობის სტადიონზე ჩატარდა შეჯიბრი კალათბურთში. თბილისის გუნდი „სინათლე" ეჯიბრებოდა ბათუმის გუნდს. შეჯიბრი დამთავრდა 19:12 თბილისის გუნდის სასარგებლოდ.

ქუთაისის გუნდი შეეჯიბრა ფოთის გუნდს. შეჯიბრი დამთავრდა 56:7 ქუთაისის სასარგებლოდ.

ფარიკაობა

გუშინ საღამოთი ლენინის სახელობის სტადიონის დარბაზში ჩატარდა ინდივიდუალური შეჯიბრი ფარიკაობაში (ესპადრონი). შედეგი ასეთია:

პირველი ადგილი დაიჭირა ვერულაშვილმა (თბილისი); მეორე ადგილი—ვაგინმა (დინამო) და მესამე ადგილი რეისმა (აფხაზეთი).

ალლუმი ქალაქში

კინო

სასცენარო საქმე სახკინმრეწვში

სახკინმრეწვის უკანასკნელმა დადგმებმა გამოიწვია დიდი კრიტიკა, აღნიშნული იყო გამოშვებულ ფილმების სხვადასხვა ნაკლოვანებანი. განმანადგურებელი კრიტიკა გამოიწვია განსაკუთრებით სურათების იდეოლოგიურმა მხარემ.

სახკინმრეწვის იდეოლოგიურ დამარცხებათა მიზეზები იყო მრავალი და რთული. მათი დაძლევა მოითხოვს მეთოდურ და საპასუხისმგებლო მუშაობას: უნდა გამოიძებნოს სცენარები, აგებული თანამედროვე მასალაზე, შეკრებილი გადამღები ჯგუფები, პოლიტიკურად გაწვრთნილი და გაერთიანებული თანამედროვეობის ასახვის სურვილით. უნდა ჩატარდეს ჩვენი კინო - წარმოების გაწმენდა იმ ელემენტებიდან, რომლებმაც ოქტომბრის მე-11-ე წელში კიდევ ვერ შეითვისეს უდიდეს რევოლიუციის მნიშვნელობა, გვაძლევენ პროდუქციას, რომელიც ატარებს წვრილ ბურჟუაზიულ ან ნათლად გარკვეულ მეშჩანურ ხასიათს.

სახკინმრეწვის წარსულ დამარცხებათა ერთ ერთ სერიოზულ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მომავალ დადგმების ხასიათი წინასწარ გათვალისწინებული არ იყო და რადგან გადამღები ჯგუფი არ გაჩერდებოდა, მათ ხშირად დასადგმელად აძლევდენ დაუმუშავებელ სცენარებს — სრულიად ნედლ მასალას, რომელიც ამავე დროს წარმოადგენდა მეტად საეჭვო იდეოლოგიურ ღირებულებას.

სამწუხაროდ ეს გარემოება დროზე დაძლეულ ვერ იყო და შესაძლოა, რომ მიმდინარე გადაღებების სეზონიც ჩატარდეს, ნაწილობრივ, აჩქარებულ პირობებში, უკეთუ მიღებული არ იქნა ენერგიული ზომები.

სახკინმრეწვს ყოველდღიურად მოსდის სცენარების დიდი რაოდენობა. სცენარებს სწერს ყველა. ამ უამრავ მასალაში არის უმეტესად ისეთი, რომელიც სრულიად ვერ აკმაყოფილებს კინო - ხელოვნების ელემენტარულ მოთხოვნილებებს, მაგრამ მოიპოვება ისეთიც, რომელიც მოკლებული არ არის ღირებულებას.

თვით წარმოებასთან არსებულ სასცენარო სახელოსნოსთან ერთად გამოყენებული უნდა იქნას ეს სტიქიური „ნიაღვარიც". საჭიროა მისი ჩაყენება სათანადო კალაპოტში, რათა სცენარების ავტორთა ენერგია არ დაიხარჯოს უფერულ თემებზე და მასალებზე.

ამ მოსაზრებით სახკინმრეწვმა გამოიმუშავა მიმდინარე წლისთვის თემატიური გეგმა. ეს გეგმა საშუალებას მისცემს ავტორებს სათანადო გზა აირჩიონ თავის მუშაობაში. თემატიურ გეგმის შედგენის დროს სახკინმრეწვი ხელმძღვანელობდა უკანასკნელ საკავშირო კინო - თათბირის მიერ წამოყენებულ დებულებებით. მიღებული იყო აგრეთვე მხედველობაში ის საშუალებანი, რომელიც სახკინმრეწვის განკარგულებაშია.

აღნიშნული გეგმა უკვე გამოქვეყნებულია ჩვენს პრესაში. გეგმაში განზრახ არ არის გატარებული თემების დეტალიზაცია, რათა ავტორებს დარჩეთ საკმაო გასაქანი, მაგრამ ამავე დროს ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია—მითითება თუ რა მიმართულებით არის სასურველი ამა თუ იმ თემის დამუშავება.

თანამედროვე ქალაქის მუშური ყოფა. საქართველოში დღეს უკვე გვაქვს საგრძნობი მიღწევები სხვადასხვა წარმოებათა ორგანიზაციის და განვითარების საქმეში. ამ პროცესში ჩამოყალიბდა მუშის ახალი ტიპი, ახალი ჩვეულებებით, საზოგადოებრივი ტენდენციებით, ყოფით. დღემდე ახალი მუშური ყოფა სახკინმრეწვის მიერ გაშუქებული არ ყოფილა. მასალა კი სრულიად ახალი და საინტერესოა.

ხევსურეთი თანამედროვე ყოფა. — საქართველოში ბევრია მთიული კუთხეები, სადაც ძველთა - ძველი ტრადიციები, ეკონომიური ჩამორჩენილობა ადებს ტომების უმეტესობას უვიცობის დაღს. თანდათანობით ახალი სკოლა, მედიცინა, კოოპერაცია იჭრება ამ კუთხეებში — დრომოჭმულ ტრადიციების დაძლევის, ახალი ყოფისა და მორალისათვის, ბრძოლის ასახვა მოგვცემს მეტად საინტერესო მასალას. შესაძლოა ხევსურეთის მაგიერ სვანეთის ან ჩვენი მხარის სხვა კუთხის გამოყენება.

თანამედროვე ინტელიგენცია — დღემდე გაშუქებული არ არის ჩვენი კინოს მიერ. ინტელიგენციაში მოხდა დიფერენციაცია, ცვლილებები მსოფლმხედველობაში, ყოფაში. ყოველივე ეს უნდა ვაჩვენოთ საბჭოთა მაყურებელს. უნდა ვაჩვენოთ თანამედროვე ინტელიგენციის სხვადასხვა ფენების როლი ამ შენებაში. აქ შესაძლოა სრულიად პოპულიარული მომენტების აღბეჭდვა.

კომკავშირული თემა. კომკავშირი გაიზარდა და წარმოადგენს საგრძნობ ძალას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უმაღლეს სასწავლებლებში და სხვ. კომკავშირის ყოფა რეალურად გაშუქებული პირველად იქნება ასახული სახკინმრეწვის მიერ.

ბავშვთა აღმზრდელობითი თემა. ცნობილია, რომ კინო ახდენს უდიდეს შთაბეჭდილებას ბავშვთა ფსიქიკაზე. ამავე დროს იშვიათ კინო სეანსებისათვის, რომელსაც ჩვენ ვაწყობთ, იძულებული ვართ შევარჩიოთ საზღვარგარეთული უშინაარსო კომედიები და სრულიად უაზრო „კომიკური" ფილმები. ამ დარგში ბევრი რამ არის გასაკეთებელი. რათა ნაწილობრივ მაინც შევასრულოთ მოვალეობა ახალგაზრდების წინაშე, სახკინმრეწვს განზრახვა აქვს დადგას ერთი სურათი ბავშვური თემაზე. სურათში მოცემული უნდა იყოს ბავშვთა ახალი ყოფა, მათი მზადება ახალი ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებისათვის.

მხატვრული გასართობი სურათი. სახკინმრეწვს გეგმაში შეაქვს მხოლოდ ერთი კომერციული ხასიათის სურათი. თემა დამუშავებული უნდა იყოს ჯანსაღ ფერებში.

ფაბულიანი სამეცნიერო თემა. ამ მხრივ ჯერ-ჯერობით სახკინმრეწვს არავითარი გაუკეთებია და ვინაიდან ტფილისში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებანი, სახკინმრეწვს შესაძლოდ და დროულად მიაჩნია სამეცნიერო სურათის გამოშვება. სასურველია, რომ თემა გასხოველებული იქნას მარტივი ფაბულით.

ანტი-რელიგიური თემა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს დავანახვოთ მაყურებელს რელიგიის მავნებლობა. მისაღებათ იქნება თემის დამუშავება კომიკური მიდგომითაც.

საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობა. გაშუქება ერთ-ერთ ეპიზოდისა ამ მოძრაობიდან.

რევოლიუციონური-ისტორიული თემა. ა.-კ. რევოლიუციონურ მოძრაობის ერთ-ერთი ეპიზოდის დამუშავება (1905 წ.) ასახვა თავადების და გაწეულ მსხვერპლების აუცილებლობისა და მიზანშეწონილობისა.

რევოლიუციონური თავგადასავლის თემა. გამოყენება ერთ-ერთი მოქმედების განვითარების საინტერესო ეპიზოდისა (გათვალისწინებულია „კამო").

სამოქალაქო ომის თემები (ორი თემა) ინტერვენტების და ეგრედწოდებული „დემოკრატიულ მთავრობათა" როლის გამომჟღავნება.

საწარმოო-მეცხვარეობის, მეღვინეობის და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის თემები. სცენარები, აგებული თანამედროვე წარმოების მასალაზე და თანამედროვე ადამიანზე. თანამედროვე ადამიანის ეკონომიური მოტივებით ამოძრავება. ბრძოლა კოლექტიური მეურნეობისა კერძო მეურნეობის წინააღმდეგ.

აღნიშნული თემატიური გეგმა საშუალებას მისცემს ავტორებს მიზანშეწონილად გამოიყენონ ის ენერგია, რომელიც დღემდე ხშირად იხარჯებოდა სრულიად უმნიშვნელო და მიუღებელ მასალების დამუშავებაზე.

ნ. ამირალოვი.

ხელფასის გადიდება ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთათვის

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ ფოსტა-ტელეგრაფის ამიერ-კავკასიის სამმართველოსთან მაისის ბოლო რიცხვებში დასდო ახალი სატარიფო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ფოსტის მუშა-მოსამსახურეებს ემატება ხელფასი 1 თებერვლიდან.

ახალი ხელშეკრულებით ფოსტელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჩატარებული იქნა შემდეგი ღონისძიებები: გაუქმდა მესამე ზოლის ნახევარი და გადაირიცხა მეორე ზოლში. მესამე ზოლიდან მეორე ზოლში უმთავრესად გადარიცხულ იქნენ ჯანმრთელობისთვის მავნე ადგილებში მომუშავენი. ჩამორჩენილ კატეგორიის მომუშავეთ კატეგორია მოემატათ. სავსებით გაუქმდა დაბალი კატეგორიები, მაგალითად მესამე ხარისხი.

იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც მესამე ზოლიდან გადარიცხულ იქნენ მეორეში, ხელფასი გაუდიდდა 11 პროცენტით, 1-ლ ზოლის მუშა-მოსამსახურეებს მოემატა 4,6 პრ., მეორე ზოლისას 2,6 პროც., მესამე ზოლში დარჩენილებს 2.6 პროც., საერთოთ ხელფასის მომატება უდრის 4,7 პროც.

შემდეგში ხელფასის მომატების ფონდი განაწილებული იქნება 1-ლ და მეორე ზოლებს შორის და მე 3 ზოლში დარჩენილნი გადაყვანილნი იქნებიან მეორე ზოლში, რის შემდეგ მე-3 ზოლი სავსებით გაუქმდება.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქმნეს

„კომუნისტი"-ს კანტორაში შე[illegible]

ქუკური ელიაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: დავით დონდუას; ვენერა ბერიძეს; კატუშა სულაძეს; ნოდარ ჯორბენაძეს; ოთარ ხომერიკს; ნინა ჭუმბაძეს; ვახტანგ ღლონტს, მარიკა აბაშიძეს; ეთერი ონიაშვილს, ნინა ხახიროევას.

ნინა მხატვარი.

—:—

ქეთო ჩხეიძის და თამაზ კორძახიას გამოწვევით ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშთა სასარგებლოდ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

დოდოკინა გულბანს, ლილილა სილიკაშვილს, თალიკო ფალავას, ვავუნია ჟუჟუნაშვილს, ავთანდილ მდივანს, ვოვა გლუშაკოვს, თენგიზ დარასელიას, ნათელა ჩიქოვანს, ბათუმიდან: ნინიკო ბერიძეს და კოკოშა ჩხატარაიშვილს.

ქეთო ბერიძე.

—:—

შემომაქვს ქუთაისის აღსადგენ ფონდში ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ირ. ბოხუას, ტ. კოპალეიშვილს, ნესტორ გეგიას, ამბროსი შალამბერიძეს, დავით ლოლობერიძეს, ხ. მესხს, ნერსესი ბალდანაშვილს, იოსებ ხეჩუროან და აკაკი ხვიჩიას.

სამსონ კიკაჩეიშვილი.

—:—

ნანიკო პოპიაშვილის გამოწვევით ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ დასახმარებლად გიზიკ ფაშალიშვილს, ტიტო საყვარელიძეს, მარიკო ეგნატაშვილს, ბაბუა ამირეჯიბს, ჩუმკა ბუხნიკაშვილს, ნათელა მაიერს, თინიკო მაჩაბელს, ლეილა და მანანა კოტეტიშვილებს.

გადიკო რაჭველიშვილი.

—:—

ხაფოლაქე ფაბრიკა „კოლხიდა"-ს მუშა მოსამსახურეთა საერთო კრების დადგენილების თანახმად შეაქვს რა ნახ. დღის ხელფასი 117 მ. სამსახურეთა საერთო კრების დაგენილების თა ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ, იწვევს ტ. ა. კ. ტვირთ-მზიდავ მექანიკურ ქარხანას „ხის ნაწარმს" და მაკარონის და საშაქარლამო კოოპერატიულ წარმოებებს.

ფაბკომი.

—:—

საქ. ც. ს. კ. და მ. გ. ინსპექციის თანამშრომელთა საერთო კრების დადგენილების თანახმად შემომაქვს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთი დღის ხელფასი—210 მან. 11 კაპ.

თანამშრომელთა ადგილკომი.

—:—

ქ. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ თბილისის 1 სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმის თანამშრომლებს შემოაქვთ დღიური ხელფასი—80 მან. 27 კ. (ოთხმოცი მანეთი და 27 კ.).

—:—

გან. მუშ. კავშ. №6 ადგილკომის წევრებს, ქუთაისის აღსადგენ ფონდის გასაძლიერებლად შემოაქვთ 22 მანეთი.

ადგილკომის თავმჯდომარე: **ა. მჭედლიძე.**

—:—

მე-18-ტე სახ. ბაღის გამოწვევით შემოგვაქვს ორი მანეთი და ვიწვევთ: მეორე შრომის სკოლის პირველ ჯგუფს, მე-10-თე საბავშვო ბაღის უმცროს ჯგუფს და სახ. ხასწავლებლებიდან: ეთერს ასათიანს და შოთა კაპანაძეებს, ცუცა ბოლქვაძეს, ნოდარ ლომაურს, ფაცანა ლომაურს, ვახტანგ კაპანაძეს, ოდიკო კაპანაძეს.

ეთერი ლომაური, ბიჭიკო ლომაური.

—:—

კორნელი სიხარულიძის გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ: ლეილა თაქთაქიშვილს, ვაჟიკა ჟუჟუნაშვილს, ციალა ტყემალაძეს, ვახტანგი ჩანტლაძეს; ნაირა გოგოლაძეს და თეონა ჟურულს.

ოთარ ოთხმეზური.

—:—

ნოდარ ჯალაღანიას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ ანტონ ძნელაძეს; ოთიკო ზაქარიაშვილს; ოთარ ზაქარიაშვილს, ნუნუ ჩხაიძეშვილს; ზაზა ცინცაძეს; ანიკაკა ცინცაძეს; თინიკო ნინიძეს და მარიკო ქავთარაძეს.

ნუკრი ჯალაღანია.

—:—

ამხ. ქეთო ჭავჭანიძის გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ: ბიქტორ სვანიძეს; მიშა გაგნიძეს; დათიკო ტაბიძეს; მიხეილ რუხაძეს; სიმონ ნიჟარაძეს; მათე მესხს; ბიკენტი რუხაძეს; კოწია წიწვიაძეს. პართენ რუხაძეს; გიორგი რუხაძეს და ზინა რუხაძეს

აკაკი რუხაძე.

—:—

გოგო ყიფიანის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ ფრიდონ მატბერაშვილს, გოგი ცუცქირიძეს და მედეია გუდაძეს.

თორნიკე გუდაძე.

ჩიტუნია ვაჭარაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქ. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშთა სასარგებლოდ და ჩემ მხრივ ვიწვევ: თემიკო და ქეთინო შავდიებს, რეზიკო და გივი უბანიძეებს, მერი ხავვიას და მურიზა რიუხაიას.

შოთიკო ბრიგოლია.

—:—

ვანიკო სულიკაშვილის გამოწვევით ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ვალიკო ზუმბაძეს; ქეთო ირახელაშვილს; შალიკო ლომინაძეს; დავით სარაჯიშვილს; ოთარ მგალობლიშვილს ვახტანგ გომელაურს.

ვალერიან მაჭავარიანი.

—:—

შემომაქვს „ივაკე" საბავშვო სახლის თანამშრომელთა შორის ნებაყოფლობით შეგროვილი 15 მანეთი. (ხუთმეტი მანეთი).

„ივაკე"-ს საბავშვო სახლის გამგე **არკადი ხუნდაძე.**

—:—

თანახმად თენგიზ ბაქანიძის გამოწვევისა შემოგვაქვს ორი მანეთი და ვიწვევთ: ლოთიშვილი გივის, ხარჩილავა ირაკლის, თამარა, ტატიანა და შურა კუკულაძეებს, შენგელია ეთერის; ლექვინაძე ცუცას; წიწაკოვა ვარას; მაისურ შალიკოს; ტაბატაძეს მიშას.

კაკო და ჟორა ბაქანიძეები.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ნიკოლოზ ამაშუკელს; რაფიელ ალადაძეს; ეკატერინე ბაგდანაშვილს; გიორგი გარაყანიძეს; ვალერიან გოგვაძეს; გივი კანდელაკს; გიორგი და ვახტანგი კიკნაძეებს; ლეო მამალაძეს; მერი მგალობლიშვილს.

ილია გოცირიძე.

—:—

თბილისის მაზრის გომბორის თემის მოსწავლეებს შემოაქვს ხანძრით დაზარალებულ ქუთაისის სასარგებლოდ ყველა ჯგუფიდან თითო მანეთი—სულ 18 მ. და იწვევენ თბილისის მაზრის ყველა თემების მასწავლებლებს.

—:—

კოლია ონიაშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: თამარა გამყრელიძეს, ეთერი ჟორდანიას, ცირიკო დევდარიანს, შოთა კაპანაძეს; გოგიკაძეს; თემო მაზნიკელს; ირაკლი არდიშვილს; ირაკლი აბაშიძეს; ირაკლი ჩოლოყაშვილს; დათუნი მესხს და გივი ხურმაძეს.

ოთარ ნოზაძე.

—:—

თალიკო ხაბაშვილის და გიზო დოლიძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: ფაცა გვარამაძეს, თამრიკო მამულაიშვილს, ვენერა ბაბილუას; კოწო მუშხელიანს; ეთერი კოკინაძეს; ლალიკო ჟურულაშვილს და ნელი გამყრელიძეს.

ლილი ჯულელი.

—:—

ლამარა წერეთელის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ხუტა; ნუცა; ბიჩო და ბებუცი ჭაჭიებს; ილუშა ბარკალაიას; ჯუანშერ ლორთქიფანიძეს; რატიკ ზღმობინს და ირაკლი გოგუაძეს.

ქუჩუჩი ჭაჭია.

—:—

გოგი კალანდაძის გამოწვევით შემომაქვს 1—50 კ. და ვიწვევ ბაკი და ოლია მნათობიშვილს, კუკური გრიგოლიას, ვალიკო ბარამიძეს; შოთა გძელიძეს; დათიკო ბურჭულაძეს; შოთა ხვადაძეს; ენია მელიქ-ნუბაროვს.

გიორგი კაჭუხაშვილი.

—:—

შემაქვს 50 კაპეიკი და ვიწვევ: ტორიკა კასრაძეს, ცაცუნია ჭელიძეს, ლექსო ბუჩუკურს, მარუჯან ნადირაძეს; მედუზა მებუკეს; ლეუშკა ჯაფარიძეს; ალიოშა ლაპარტყავას; ძუძუნია კლიმიევს; შალიკო ბეჟაშვილს და ემოჩკა მელაძეს.

ლეო ფურცელაძე.

—:—

ფარივიჯ მეგრელიშვილის გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ: მაია ფანცხავას; კუკური სოლომონიას; ლია გაბუნიას, ანდრე კორბელაშვილს; თინიკო შანშიაშვილს, თინიკო გომართელს და ლაური კუხალაშვილს.

მაკა ფანცხავა.

—:—

ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ: ასმედ დუმბაძეს; დურსუნ მეგრელიძეს; ისმაილ მგელაძეს; სულეიმან მენაბდეს, რამიზ ბეჟანიძეს; მელიტონ დოლიძეს, ფსუფ მეგრელიძეს; მამედ-ალი გეგიძეს; და მეჯიდ სტამბოლიშვილს.

მემედ ოსმანისძე ზოიძე.

გუშინ, გაზეთ „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა 589 მ 36 კაპ.

სულ წინათ შემოსულთან ერთად 15.037 მან. 06 კაპ.

მეცნიერება და ტეხნიკა

აეროპლანის მართვა რადიო-ტალღებით

მეოცე საუკუნის უდიდეს მიღწევათა შორის რადიო-ტეხნიკას და ავიაციას იმდენად დიდი ადგილი უკავია, რომ მისი წარმოდგენა საკმაოდ ძნელია. დღეს, როდესაც ბავშმაც კი იცის, თუ რა არის რადიო-მიმღები, ან ჰაეროპლანი და მისი აგებულობა, მით უფრო საინტერესოა ამ დარგებში წარმოშობილ ახალ იდეების ფართოდ გაშუქება. რადიო-ტეხნიკის და ავიაციის განვითარება ისეთი სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ, რომ ადამიანი ვერც კი ასწრებს ყველა მიღწევების შეფასებას. ერთი აღმოჩენა—მეორეს უსწრებს წინ და ასე შემდეგ.

ავიაციამ და რადიომ საშუალება მისცა ადამიანს საგრძნობლად გაედიდებინა მიმოსვლის და ცნობათა გადაცემის სისწრაფე და ამით დაემორჩილებინა მანძილი და სიგრძე.

უკანასკნელ წლებამდე, რადიო-ტეხნიკა და ავიაცია ვითარდებოდა ცალ-ცალკე გზით, მაგრამ ერთისა და მეორესაც ხშირად განსაცვიფრებელი შედეგები მოჰქონდა. მათი შეერთებაკი, რამაც აეროპლანის რადიო-ტალღებით მართვის საშუალება მოგვცა, კიდევ უფრო სასწაულებრივი გახდა. აეროპლანის ფრენა უადამიანოდ, უჩინარი ძალის საშუალებით—აი, მიღწევა, რომელიც წინად ფანტაზიადაც არ გამოდგებოდა.

რომ მივიღოთ სრული წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ არის მოწყობილი და როგორ ფრენს აეროპლანი უკაცოდ, რანაირი გზით მივიდა თანამედროვე ტეხნიკა ამ მიღწევის განხორციელებამდე, საჭიროა მოკლედ გავეცნოთ იმ დარგს ტეხნიკისას, რომელმაც გადაჭრა აეროპლანის ავტომატიური ფრენის საკითხი.



„ეუაზენ"-ს სისტემის ავტომატიური აეროპლანი, რომელიც პარიზში გამოსცადეს 1918 წ.

ეს დარგია რადიოტელემექანიკა.

რადიო-ტეხნიკის საფუძველს, როგორც ვიცით, წარმოადგენს უმავთულო ტელეგრაფი და ტელეფონი, რომელიც აგებულია რადიოგადამცემიდან მომდინარე ელექტრომაგნიტიური ენერგიის უმნიშვნელო ნაწილის მიღების პრინციპზე. მიღებული ენერგია კი უნდა იყოს საკმარისი მხოლოდ ელექტრონული რყევის გამოსაწვევად მიმღების სადგურის მავთულქსელში (ანტენაში).

ეს რყევა შემდეგში სხვადასხვა აპარატების საშუალებით სატელეგრაფო ან სატელეფონო ცნობებათ ჩაიწერება.

მეორე გზა, რომლითაც ვითარდება რადიოტეხნიკა, წარმოადგენს ელექტროენერგიის უმავთულოთ გადაცემას მანძილზე, იმდენი რაოდენობით, რამდენიც საჭიროა მანქანების, ჩარხების და სხვ. მოსაყვანად მოძრაობაში, სინათლის გამოსაწვევად და სხვ. ეს გზა პირველზე უფრო ძნელია და პრაქტიკული განხორციელებიდან ჯერ ძალიან შორს არის.

და ბოლოს, მესამე გზა—საშუალო პირველ ორს შორის,—მიზნათ ისახავს, გადაცემულ ელექტრო-ენერგიის საშუალებით იმოქმედოს სამართავ მექანიზმებზე, ე. ი. მანქანების, ჩარხების და სხვათა იმ ნაწილებზე, რომლებიც ამართავენ მათ მოქმედებას და თვით კი არ ასრულებენ ასეთს. ეს არის ჩამრთავი და ამომრთავი საჭეები (рычаги), კლავიშები, მრიცხველები და სხვა ნაწილები. სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტა შეადგენს რადიოტელემექანიკის საქმეს, რომელიც მიზნად ისახავს ჰაეროპლანების, გემების, წყალქვეშა ნავების, ავტომობილების, მატარებლების და სხვათა ავტომატიურად მართვას შორის მანძილზე. ამ მიღწევათა გამოყენებას აუცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო საქმეში, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მიღწევები, ამოცანის სირთულის გამო, იმდენად დაუმუშავებელია, რომ ამჟამად მათი პრაქტიკულად გამოყენება ძნელია. მხოლოდ ის მდგომარეობა, რომ რადიოტელემექანიკა გამოვიდა პირველი ცდების პერიოდიდან და დაადგა პრაქტიკულ გამოყენების გზას, საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მისი სრული გაფურჩქვნის დრო არც ისე შორს არის.

ტელემექანიკაში რადიო-ენერგიის გამოყენების იდეა ჩაისახა რადიოტელეგრ. წარმოშობის პირველ დღეებში, მაგრამ რადგან ცდები ამ მიმართულებით სრული საიდუმლოებით ქვეშ სწარმოებდა, რადიო-ლიტერატურაში ძალიან განსაზღვრული მასალები მოგვეპოვება.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1897 წ. ინგლისში ორმა გამომგონებელმა ერნსტ ვილსონმა და შარლ ევანსმა აიღეს პატენტი ისეთ ტელემექანიკურ მოწყობილობაზე, რომელიც, როგორც ნათქვამია პატენტში,—შეიძლება გამოყენებულ იქნას ჰაეროპლანების, ზარბაზნების და გემების სამართავად. ამის შემდეგ გერმანელი პროფესორი შერგეველი აწარმოებდა საინტერესო ცდებს ეგრედწოდებულ მეტეოროლოგიურ ზონდ-ბუშტებზე (Зонд-шар). მათზე ათავსებდა რადიომიმღებ აპარატებს და მართავდა მათ აფრენა-ჩამოშვებას.

1903 წლიდან დირიჟაბლების ცნობილი კონსტრუქტორი ესპანელი ინჟინერი ტორეს ქვევედო აწარმოებდა სათანადო ცდებს და 1906 წელში მან შესძლო ნავის საჭის მართვა რადიო ტალღების საშუალებით.

1909 წელში, ჰაეროპლანების ავტომატიური მართვის საკითხების სერიოზულად გამოკვლევის და შესწავლის შემდეგ, გერმანელი პროფესორი ვიჭერტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შეუძლებელია ტელემექანიკის გამოყენება აეროპლანის სამოძრავებლად მანამდე, სანამ არ იქნება გადაჭრილი ჰაერში ჰაეროპლანების ავტომატიური წონასწორობის დაცვის საკითხი. როგორც ვიცით, აეროპლანი ფრენის დროს განიცდის ჰაერის მოძრაობის გავლენას (ქარის, თბილი და ცივი დენის და სხვა), რომელიც არღვევს მის მოძრაობის წონასწორობას. ამის ასაცილებლად მფრინავი მოქმედობს სხვადასხვა საჭეებზე (სიმაღლის, მიმართულების) და სხვა ელერონებზე, და მით გამოჰყავს აპარატი ხიფათისაგან. თავისთავად ცხადია, რომ სანამ ჰაეროპლანზე გამოყენებული იქნებოდა რადიოტელემექანიკის მოწყობილობანი, საჭირო იყო მფრინავის შეცვლა რამე უსულო მექანიზმით, რომელიც გასწევდა მის მაგიერობას, სხვანაირად რომ ვსთქვათ, მიანიჭებდა აპარატს ავტომატიურ სტაბილიზაციას ანუ წონასწორობას.

სწორედ ამ მიმართულებით დაიწყო ცდები 1909 წელში ამერიკელმა ინჟინერმა მარკ ანტონიმ, და კიდეც შესძლო გაკეთება ჰაეროპლანის ისეთი მოდელისა, რომელიც წყნარი ამინდში აფრინდა ზღვის ნაპირიდან, რამოდენიმეჯერმე გააკეთა წრე და ისევ თავის ადგილზე დაეშვა. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობა დიდის ინტერესით ადევნებდა თვალყურს ამ გამოგონებას და ფიქრობდა რა მის გამოყენებას სამხედრო მიზნებისათვის, გამომგონებელს უწევდა დიდ მატერიალურ დახმარებას.

ნამდვილი პრაქტიკული გამოყენება ამ ახალ იდეებისა პირველად ხვდა გერმანიას. ჯერ კიდევ უკანასკნელი ომის დასაწყისში, გერმანელი ინჟინერები—სიმენსი და ფოკკერი სრული საიდუმლოებით ქვეშ აწარმოებდენ ცდებს მფრინავ ტორპედებზე და ავტომატიურ აეროპლანებზე. ამ ცდებმა ჩქარა გამოიჩინა პრაქტიკული ნაყოფი მხოლოდ სულ სხვა მიმართულებით.

1917 წლის 2 მარტს, იმპერიალისტურ ომის დროს, ბელგიის სანაპირო ქალაქ ნიუპორტში, რომელიც მოკავშირეების ბაზას წარმოადგენდა, სრულიად მოულოდნელად შემოიჭრა გემი, დაეჯახა თუ არა ის ხმელეთს, მაშინვე აფეთქდა და დიდი ზარალი მიაყენა ნავთსადგურის სამხედრო საწყობებს. როგორც აფეთქების შემდეგ გამოირკვა, გემზე არც ერთი კაცი არ ყოფილა, რამაც დიდი გაუგებრობა და განცვიფრება გამოიწვია. ენერგიული კვლევა-ძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ გემის მოძრაობას რადიო-ტალღების საშუალებით მართავდა მის ზევით მფრინავი აეროპლანი, ამნაირად, გერმანელებმა პირველად შესძლეს გამოეყენებიათ რადიო-ენერგია შორს მანძილზე მოქმედებისათვის.

1917 წლის 2 სექტემბერს გერმანელებმა სცადეს რადიოტალღებით მცურავი მატორიანი ნავის გაშვება იმავე ნავთსადგურში, მაგრამ ის დაჭერილ იქნა მოკავშირეების მიერ. ამ შემთხვევამ მოკავშირე სახელმწიფოების ზანაკში ძლიერ წინ წასწია სათანადო კვლევა-ძიების და ცდების საქმე. საფრანგეთში სასწრაფოდ იქნა გამოყოფილი სპეციალისტების კომისია კაპიტან ბუშერის ხელმძღვანელობით, რომლის ცდებმა კარგი შედეგები გამოიღო.

1918 წლის 14 სექტემბერს საფრანგეთში ქ. შაშენის ჰაეროდრომზე მოხდა ავტომატიური სტაბილიზაციის მქონე ჰაეროპლანის ფრენა რადიოტალღების საშუალებით. „ეუაზენ"-ის სისტემის ჰაეროპლანმა ხმეული ხაზით იფრინა 51 წუთის განმავლობაში და გაიარა 100 კილომეტრი მანძილი. მეორე გაფრენა—იმავე თვის 18 რიცხვში მოხდა.

ამან წააქეზა ამერიკელი კონსტრუქტორები და 1919 წელში, როგორც ცნობები გადმოგვცემდენ, არა ნაკლებ შედეგებს მიაღწიეს. ამ ხნიდან დაწყებული ავტომატიური ავიაციის განვითარება სწრაფად მიდის წინ, როგორც ფრანგი კონსტრუქტორი შერ შერონი ამბობს, მიღწეული შედეგები იძლევა საბაბს ვიფიქროთ, რომ უახლოეს დროში შეიძლება ავტომატიური საჰაერო თვითმფრინავ მატარებლის აგება, რომელიც 12—13 კილომეტრის სიმაღლეზე (სადაც საქმე გვაქვს ჰაერის თხელ ფენებთან) შესძლებს დიდი სისწრაფის განვითარებას (500—600 კილომეტრი საათში). ამისათვის საჭირო იქნება სპეციალური საავიაციო მატორების გაკეთება და მგზავრების კაბინაში ჰაერის ნორმალური დაწოლის შენარჩუნება. ეს კი არც ისეთი ძნელი მისაღწევია. მაშინ, თბილისიდან-მოსკოვში გადაფრენას 4 საათამდე დრო დასჭირდება, ფრენის საშიშროება კი ავტომატიზაციის წყალობით მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

ა. წილოსანი.

პლანეტებს შორის ფრენის ამოცანის გადაჭრის გზაზე

(წერილი გერმანიიდან)

გერმანიის საავტომობილო და საავიაციო ფირმა ოპპელ, რომელმაც ამ რამოდენიმე ხნის წინად ყველა ქვეყნების მეცნიერთა და ტეხნიკური წრეები გააკვირვა ავტომობილ-მაშხალის დამზადებით და წარმატებით გამოცდით, ამჟამად ახალ სენსაციას ამზადებს. ლაპარაკია ისეთი აპარატის დამზადებაზე, რომლითაც შესაძლებელი გახდება გაფრენა ატმოსფერის ზედაფენებში.

აპარატის მოძრაობის პრინციპი იგივეა, რაც ოპპელის ახალ ავტომობილში. აპარატის უკანა ნაწილში მოთავსებულია კამერები სავსე ფეთქებად ნივთიერებათა მარაგით, რომელიც გაფრენის დროს თანდათანობით ფეთქდება. აფეთქების დროს წარმოშობილი გაზები საშინელი სისწრაფით ვარდება გარეთ და აპარატს წინ ისვრიან. რომ დამწვარ გაზების ენერგიის გამოყენება სივრცეში მოძრაობისათვის შესაძლებელია, ეს თეორეტიულად უკვე დიდი ხანია დამტკიცებულია გერმანელ მეცნიერების ვალიერის, ცანდერის, რუს გამომგონებელის ციოლკოვსკის და ამერიკელ მეცნიერ პროფ. გოდდარდის შრომებით. ამ მეცნიერებმა წამოაყენეს მაშხალის პრინციპი, როგორც ერთად-ერთი შესაძლებელი პრინციპი სამყაროს სივრცეში გაფრენის განსახორციელებლად. ოპპელის ფირმას მიუძღვის დამსახურება იმაში, რომ ავტომობილ-მაშხალის დამზადებით მან პრაქტიკულად დაამტკიცა ამ პრინციპის გამოყენების შესაძლებლობა.

აპარატი, რომელსაც ამჟამად ოპპელის ფირმა ამზადებს, ჯერ-ჯერობით არ არის დანიშნული პლანეტებს შორის მიმოსვლისათვის. მისი დანიშნულება უფრო ვიწრო ფარგლებით განისაზღვრება—ეს არის გაფრენა ატმოსფეროს ზედაფენებში, ე. წ. სტრატოსფეროში *). მაგრამ ეს „ვიწრო" ამოცანებიც მნიშვნელოვან პერსპექტივებს შლის მეცნიერების წინაშე.

სტრატოსფეროში გაფრენის აზრი ჩაისახა ჯერ კიდევ 1910 წ. ზაფხულში, როცა დასავლეთის ფრონტზე პირველად აგუგუნდენ გერმანული „ბერტები" (უაღრესად შორსმსროლელი ზარბაზნები), რომლითაც პარიზს 120—150 კილომეტრის მანძილიდან უშენდნენ ყუმბარებს. ის გარემოება, რომ ეს ზარბაზნები ძლიერ შორს მანძილზე ისროდენ ყუმბარებს აიხსნება არა მარტო მათი კალიბრით (42 სანტიმეტრი), არამედ უმთავრესად იმით, რომ ამ ზარბაზნიდან გასროლილი ყუმბარები თავისი გზის დიდ ნაწილს გადიოდენ 10—12 კილომეტრის სიმაღლეზე, ე. ი. სივრცეში, სადაც დედამიწის ატმოსფერო თავდება და ისეთი პირობებია გამეფებული, რომელიც უჰაერო სივრცის პირობებს უახლოვდება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ გარემოებას ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ მთავარი წინააღმდეგობა, რომლის დაძლევა უხდება გასროლილ ყუმბარას—ეს არის ჰაერის წინააღმდეგობა, რომელიც მით დიდია, რამდენადაც სწრაფად მიჰქრის ყუმბარა. იმის დასახასიათებლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ წინააღმდეგობას ყუმბარის შორს გასროლისათვის, მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს: ომის შემდეგ ამერიკელებმა დიდი ყურადღება მიაქციეს შორს სროლის პრობლემას და გადასწყვიტეს ყუმბარის ფორმის შეცვლა. ყუმბარების ძველანდელი ფორმის (წაწვეტიანებული ცილინდრი) ნაცვლად, ამერიკელმა არტილერისტებმა შეიმუშავეს ე. წ. „წვეთისებური" ფორმის ყუმბარა (ცილინდრი, რომელსაც მსხვილი თავი აქვს და დაწვრილებული უკანა ნაწილი). მხოლოდ ამ ღონისძიების გატარებით, ზარბაზნის კონსტრუქციაში ცვლილებების შეუტანლად, ამერიკელებმა თავისი არტილერიის სროლის მანძილი თითქმის 60 პროც. გაადიდეს. შეერთებული შტატების სამხედრო უწყება ამჟამად მთლიანად გადადის ამგვარი ფორმის ყუმბარებზე.

გერმანელებმა თავის „ბერტებში" პრობლემა სულ სხვანაირად გადასჭრეს. მათ ყუმბარის მოძრაობა დედამიწის ატმოსფეროდან გაიტანეს სივრცეში, სადაც ჰაერის წინააღმდეგობა სუსტია და ამით მიაღწიეს ზარბაზნის შორსმსროლელობის გადიდებას.

ატმოსფერის მაღალ ფენებში გაფრენის ამ უპირატესობას გამოიყენებს აპარატიც, რომელსაც ოპპელის ფირმა ამზადებს. აპარატი დაიწყებს ფრენას მცირე სისწრაფით, სტრატოსფეროს მიღწევის შემდეგ ჰორიზონტალური მიმართულებით გაფრინდება და განავითარებს 500—1000 კილომეტრის სისწრაფეს საათში, რის მიღწევაც ატმოსფეროში არავითარ პირობებში და არავითარი აპარატებით არ შეიძლება. რომც არ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ სისწრაფის მისაღწევად დედამიწის ატმოსფეროში იქნებოდა ზღაპრული სიმძლავრის მქონე მოტორი, საფრენი აპარატი რამდენიმე წუთში ფერფლად იქცეოდა იმ გახურების გამო, რასაც მის ზედაპირზე ჰაერის ხახუნი გამოიწვევდა.

ოპპელის ფირმის აპარატით ევროპიდან ამერიკაში გადაფრენას (6.000 კილომეტრი) სჭირდებოდა 4-8 საათი.

სტრატოსფეროში გაფრენის მეორე უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იქ არავითარი ღრუბლები, ნისლი, ქარი და გრიგალი არ იცის. 10-15 კილომეტრის სიმაღლეზე მეფობს სრული მყუდროება, ყველაფერი ნათლად და გარკვევით ჩანს, ერთი სიტყვით იდეალური პირობებია ფრენისათვის. ეს ფაქტი დადასტურებულია, როგორც თეორეტიული მოსაზრებებით, ისე დაკვირვებებით, რომლებიც ე. წ. „აეროსტატ—ზონდებით" მოახდინეს.

აპარატი, რომლის პროექტის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა გამოჩენილმა კონსტრუქტორებმა, როგორიცაა ვანდერი და ვალიერია, შენდება რააბ-კატცენშტეინის საავიაციო ქარხანაში (კასსელში). მუშაობა მის ასაგებად უკვე სრულდება. ფიქრობენ, რომ პირველი გაფრენა უკვე მიმდინარე თვეში მოხდება. გაფრენის ინიციატორი—ოპპელის ფირმა—ასეულ წერილებს ღებულობს მფრინავებისა და უბრალო მოქალაქეებისაგან, რომლებიც ითხოვენ დაშვებას მგზავრებათ საცდელი გაფრენის დროს.

ფირმის დირექცია შეჩერდა (ცნობილ გერმანელ მფრინავ რააბის წინადადებაზე და უკანასკნელთან დასდო შესაფერი ხელშეკრულება. რააბმა აიკისრა ვალდებულება აფრინდეს 10000 მეტრის სიმაღლეზე, მოახდინოს მეტეოროლოგიური დაკვირვებები და ამ სიმაღლეზე ხანგრძლივი დარჩენის შესაძლებლობა და დაეშვას დაბლა.

მფრინავს განზრახული აქვს დაბლა დაეშვას სპეციალური კონსტრუქციის პარაშიუტის (ქოლგის) საშუალებით. აპარატი არ იკარგება. როგორც კი მფრინავი დასტოვებს მას, ავტომატიურად გაიშლება უზარმაზარი პარაშიუტი, რომლის საშუალებით აპარატი ნელნელა დაეშვება დაბლა. მფრინავისა და აპარატის ცალ-ცალკე დაშვება წარმოადგენს უშიშროების გარანტიას. საეჭვოა მხოლოდ ერთი რამ: გაუძლებს, თუ არა პარაშიუტი აპარატის სიმძიმეს (15 ფუთამდე უტვირთოდ), რაც შეეხება პარაშიუტებს მფრინავებისათვის, უკანასკნელთა კონსტრუქცია იმდენად გაუმჯობესებულია, რომ უშიშროების სრულ გარანტიას იძლევა.

მფრინავს გზაში ეცმება სპეციალური ტანსაცმელი და თან ექნება აპარატი ჟანგბადით, რადგან სუნთქვა ასეთ სიმაღლეზე ძნელია.

საცდელ გაფრენის შედეგებზეა დამოკიდებული უფრო მეტ სიმაღლეზე გაფრენის საკითხი. საცდელმა ფრენამ უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენ ხანს უძლებს ადამიანი დიდ სიმაღლეთა დაბალ ტემპერატურას და ჰაერის სითხელეს. მეორე მხრივ, სერიოზულად არის შესამოწმებელი მოსაზრება გამოჩენილ ავსტრიელ მეტეოროლოგ ხერბიგერის, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენი პლანეტა (დედამიწა) მოქცეულია გამაგრებულ აზოტის კრისტალებისაგან შემდგარ გარსში, რომელიც 40—60 კილომეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ეს გარსი იმდენათ გამჭვირვალეა, რომ მისი არსებობა შეიძლება დასაბუთებული იქნას მხოლოდ თეორეტიულ დასკვნებით.

ასეთ ყინულის კედელთან შეხვედრა არც ისე სასიამოვნო იქნებოდა მფრინავისათვის, რომელიც გაბედავდა ამ, დღემდე მიუწვდომელ სიმაღლეთა გამოკვლევას.

ა. ვ—ლი.

ბერლინი, 22 მაისი.

---

*) ატმოსფერო იყოფა ორ მთავარ ფენათ: 1) ტროპოსფერო, რომლის სიმაღლე 8—10 კილომეტრამდე აღწევს და 2) სტრატოსფერო, (ძლიერ გათხელებული ჰაერით), რომელიც ტროპოსფერის ზევით მდებარეობს და რომლის სიმაღლე 8 კილომეტრამდე აღწევს. საზღვარს ამ ორ ფენას შორის წარმოადგენს ე. წ. სუბსტრატოსფერა ანუ ტროპოპაუზა, სადაც ტემპერატურის დაკლება ერთბაშად წყდება და უკანასკნელი უცვლელი რჩება, ზოგჯერ მატულობს კიდეც.

გამოჩენილ ადამიანთა ტვინი

ფილადელფიის უნივერსიტეტის პროფესორმა დონალდსონმა შეისწავლა რამდენიმე გამოჩენილ ადამიანის ტვინი. დონალდსონის მიზანს შეადგენდა გამორკვევა იმისა, თუ რით განსხვავდება ნიჭიერი ადამიანის ტვინი ჩვეულებრივ, საშუალო გონებრივ თვისებების მქონე ადამიანის ტვინისაგან. გამოკვლეულ იქნა რამდენიმე ხნის წინად გარდაცვლილ სამ გამოჩენილ მეცნიერის ტვინი: პედოლოგ (პედოლოგია მეცნიერება ბავშვთა აღზრდის შესახებ) ხოლლის, ზოოლოგ მორსის და პროფ. თხლერის. ყველა ეს მეცნიერები გარდაიცვალენ 70—87 წლის ჰასაკში. ზედმიწევნით ყურადღებით ჩატარებულმა გამოკვლევამ ვერ აღმოაჩინა ვერავითარი განსხვავება ამ მეცნიერთა და საშუალო გონებრივი თვისებების მქონე ადამიანის ტვინს შორის იმ გამონაკლისით მხოლოდ, რომ მათი ტვინი უფრო მძიმე აღმოჩნდა: გარდაცვლილ მეცნიერთა ტვინი 8 პროცენტით მეტს იწონიდა, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანთა ტვინი. ყველაფერი დანარჩენი—ტვინის ხვეულების მდებარეობა, რაოდენობა და სიღრმე, რაოდენობა ე. წ. ნაცრისფერ ნივთიერების (რომლისგანაც შესდგება ტვინის ქერქი და სადაც, თანამედროვე შეხედულებით, თავმოყრილია ცნობიერების ყველა ცენტრები), ტვინის სეგმენტების სიღრმე და სხვ.,—ყველაფერი ერთგვარი აღმოჩნდა. მართალია, შენიშნულ იქნა ტვინის მიკროსკოპიული ელემენტების რამდენიმედ მეტი სიდიდე, მაგრამ ეს გარემოება შედეგი უნდა იყოს გამოკვლეულ ტვინების მეტი წონის. დონალდსონის აზრით, ნიჭიერების მატერიალური საფუძველი უნდა ვეძიოთ თავის ტვინის აგებულობის ელემენტებში, რომლებიც ჯერ კიდევ მიუწვდომელია მეცნიერული კვლევასათვის, ასეთი, ალბად, უნდა იყოს, ტვინის მიკროსკოპიული ელემენტების აგებულობა, მათი ქიმიური შემადგენლობა, ანატომიური კავშირი ურთიერთ შორის და, დაბოლოს, დიდი ტვინის სისხლსადენი ძარღვების მიკროსკოპული ანატომია.

დედამიწის წარმოშობა და მატერიის დაშლა

რუსმა გეოლოგმა ფრედერიკსმა წამოაყენა დედამიწის წარმოშობის მეტად საინტერესო თეორია. მისი აზრით, თავდაპირველად მთელი მატერია არსებობდა განსაკუთრებული შავი და სრულიად ცივ გაზის სახით, რომელსაც იგი უწოდებს პროტოკოსმოსს.

სხეულის ზედაპირზე იწყება მატერიის ატომების დაშლა, რასაც თან სდევს ენერგიის დიდძალი რაოდენობის გამოყოფა. ამის გამო, ზედაპირის ტემპერატურა იზრდება და კოსმიური სხეული იწყებს ნათებას—ჩნდება ვარსკვლავი (თეთრი ვარსკვლავის სტადია).

ატომების დაშლის გამო სხეულის ზედაპირზე თხელ ნივთიერების მდგომარეობამდე „გაციებულ", მაგრამ ჯერ კიდევ გავარვარებულ ნივთიერებათაგან ჩნდება გარსი (ყვითელი ვარსკვლავის სტადია).

ეს გარსი თანდათანობით სქელდება და სხივების გამოყოფის გამო ცივდება მაგარი მდგომარეობამდე (პლანეტის სტადია).

ამ დროს სხეულის შიგნით გრძელდება მატერიის დაშლა და ენერგიის დაგროვება. სანამ ქერქი არ არის საკმაოდ მაგარი, დაგროვებულ მასებს შეუძლია მისი გარღვევა, ვულკანურ მოქმედების გამოწვევა, მაგრამ ქერქის გასქელებასთან ერთად ეს მოვლენები თითქმის ისპობა.

მაშინ შეიძლება დადგეს მომენტი, როცა დაგროვილ მასების მოწოლა ქერქზე იმდენად გაძლიერდება, რომ ქერქი ვერ გაუძლებს და გასკდება ისეთი ძალით, რომ სხეულისაგან მხოლოდ მტვერი დარჩება. სამყაროს სივრცეში აენთება ახალი ვარსკვლავი და მთელი პროცესი თავიდან დაიწყება.

მატერიალური მასის დაკარგვა გამოიწვევს კოსმიური სხეულის მთელი დამოუკიდებლობის დაკარგვას,—მას გაიტაცებს სხვა სხეული, მყოფი განვითარების უფრო ადრინდელ სტადიაში და უფრო მეტი მასის მქონე, ე. ი. პირველი სხეული გადაიქცევა უკანასკნელის თანამგზავრად.

მატერიის დაშლა არ წყდება მანამ, სანამ იგი დასასრულს არ მიაღწევს. საბოლოო ნივთიერებათ ამ პროცესში ფრედერიკსი თვლის წყალბადს. კოსმიური სხეულისა და სხეულთა მთელი სისტემის დაშლის შემდეგ რჩება წყალბადის ნისლოვანება, მსგავსად იმისა, როგორსაც მეცნიერები იცნობენ ორიონის ქრობულში.

ამრიგად, წინააღმდეგ სხვა კოსმიური თეორიებისა, ფრედერიკსი ნისლოვანებას თვლის კოსმიური სისტემის არა დაწყებით სტადიათ, არამედ მის დასასრულად.

განათების ღირებულება

შეერთებულ შტატებში გამოიანგარიშეს განათების სხვადასხვა სახეების შედარებითი ღირებულება და ნაყოფიერება. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე იაფი აღმოჩნდა თანამედროვე ელექტრონული განათება. მაგრამ ციფრები, რომლებიც ახასიათებს ელექტრონული განათების უპირატესობას განათების სხვა სახეების წინაშე, ისეთ ადამიანსაც კი გააკვირვებს, რომელსაც ნათლად აქვს წარმოდგენილი მექანიზაციაქმნილ პროცესების მთელი უპირატესობა. განათების ერთეული (ლიუქს-საათი) ელექტრონის განათების დროს 500-ჯერ იაფი ჯდება, ვიდრე პირველყოფილი განათება ზეთიანი პატრუქით. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, სამოედი, რომელიც თავის ქოხს ანათებს თევზის ქონიან ჭრაქით, 500-ჯერ მეტს ხარჯავს, ვიდრე ქალაქელი, რომელიც სინათლეს იღებს ცენტრალური ელექტრო-სადგურიდან. ნავთი და გაზიც ეკონომიური გასანათებელი საშუალებაა, მაგრამ ელექტრონის კონკურენციას, რასაკვირველია, ვერ უძლებენ.

გემი-აეროპლანი

შეერთებულ შტატებში გამოქვეყნებულია ორიგინალური პროექტი უზარმაზარი გიდროპლანისა, რომელიც დანიშნულია სასწრაფო საზღვაო მიმოსვლისათვის.



ამ გიდროპლანის განსაცვიფრებელი თავისებურებანი ახასიათებს: იგი ფაქტიურად წარმოადგენს გემ-აეროპლანს, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს პროპელერებს (საჰაერო ხრახნილებს) და დადგმულია უზარმაზარ ბორბალზე. ბორბალი კი წარმოადგენს ცილინდრიული ფორმის ცარიელ ბარაბანს. ბარაბანი ბრუნავს ჰორიზონტალურ ღერძზე.

აეროპლან-გემს ფრთებზე მიმაგრებული აქვს შიგნიდან ცარიელი ცილინდრები, რომლებიც იცავენ მას ჩაძირვისაგან გაჩერების დროს. გაჩერებისას წყალშია ჩაძირული მხოლოდ ბარაბანი და ისიც მხოლოდ პროპელერამდე. ამოძრავების დროს, ბარაბანი, სისწრაფის გადიდებასთან ერთად, ამოდის წყლიდან და მისრიალობს მის ზედაპირზე, როგორც ურმის ბორბლები მიწაზე.

რადგან ასეთ პირობებში წყლის წინააღმდეგობა მცირეა (ბარაბანი მისრიალობს წყლის ზედაპირზე), აეროპლანმა-გემმა, ალბად, უნდა განავითაროს არაჩვეულებრივად დიდი სისწრაფე. პროექტის ავტორის ვარაუდით ეს სისწრაფე 250 კილომეტრამდე იქნება (საათში) და მოგზაურობას ევროპიდან ამერიკამდე, თითქოს, მხოლოდ ერთი დღე-ღამე მოუნდება.

სურათზე ნაჩვენებია აეროპლან-გემის საერთო სახე გარედან.

ქრონიკა

ამხ. აბელ ენუქიძის ჩამოსვლა

გუშინ საღამოს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ცაკის მდივანი ამხ. აბელ ენუქიძე, რომელიც ამჟამად შვებულებაშია.

ამხ. ენუქიძე მიემგზავრება რაჭაში, თავის სოფელში დასასვენებლათ.

ამხ. ნიდაჩინის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ს. ს. რ. კავშირის შრომისა და თავდაცვის სავეტერინარო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნიდაჩინი იმ მიზნით, რომ გაეცნოს საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმეს ამიერ კავკასიის რესპუბლიკებში და სავეტერინარო საქმიანობას საერთოდ. ამხ. ნიდაჩინმა უკვე დაათვალიერა ვეტ. ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია თბილისში და ტაბახმელის საშრატე სადგური და გაემგზავრა ერევანში. ერევნიდან ის გაემგზავრება ბაქოში. მასთან ერთად ერევანში გაემგზავრნენ საქართველოს მიწსახკომის სავეტერინარო სამმართველოს უფროსი დ. აბმეტელი და ამიერ კავკასიის სავეტერინარო კომიტეტის თავმჯდომარე მანცინკაანი.

იუსტიციის სახ. კომისარიატის კოლეგია

დამტკიცებულია იუსტიციის სახ. კომისარიატის ახალი კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ი. ვარძიელი (თავმჯდომარე), თ. დოლიძე, ა. ურუშაძე, ა. კაქარავა და როინიშვილი.

ინდუსტრ. სესხის მოგებათა გაცემა.

გუშინდელი დღის განმავლობაში სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორამ გაანაღდა ინდუსტრიალიზაციის სესხის მეორე ტირაჟის 57 მოგება, როგორც სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებას იტყობინებენ, მოგებათა გაცემა დაიწყო საქართველოს მაზრებშიც. მოგებათა განაღდება გრძელდება.

საგაზაფხულო არდადეგები

1927—28 სასწავლო წელი მთავრდება: დღეს 4 წლიან შრომის სკოლებში; 15 ივნისს—7 წლედებში და 20 ივნისს—ცხრა წლედებში.

შრომის სკოლებში საშემოდგომო მიღება იწარმოებს: 4 წლედებში 1—5 სექტემბრამდე, 7 წლედებში 1—10 სექტემბრამდე და 9 წლედებში—1—15 სექტემბრამდე.

მუხრანის სასწავლო მამულში

მუხრანის სასწავლო მამულში პურეულს და ბაღებს კარგი პირი უჩანს, ხოლო ვენახები დიდი სუსხიანი ზამთრის გამო დაზიანებულია. წარსულ წლებთან შედარებით მამულს წარმატება ეტყობა, წელს გაშენებული იქნა 5 დესეტინა ახალი ვენახი, 3 დეს. ხეხილის ბაღი. 2 ნახ. დეს. ხეხილის სანერგე.

მოძრავი კინოები

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს სახალხო განათლების კომისარიატის პოლიტგანათლების განყოფილების კინოსექციასთან მოძრავ კინოებისათვის სასოფლო სამეურნეო ფილმების დამზადების შესახებ სოფლებში საჩვენებლად. პოლიტგანათლების განყოფილებას ამ მიზნით უკვე შეძენილი აქვს 15 მოძრავი კინო-აპარატი.

მეფუტკრეობის ტეხნიკოსთა კურსები

23 მაისიდან დაიწყო პრაქტიკული მეცადინეობა მეფუტკრეობის ტეხნიკოსთა სამთვიან კურსებზე, რომელიც მიწსახკომმა მოაწყო მეაბრეშუმეობის ცენტრალურ სადგურის საფუტკრესთან. მსმენელთა მიღება კურსებზე გრძელდება 6 ივნისამდე.

ცხვრის გარეკა მთაში

თითქმის უკვე ყველგან დამთავრდა ცხვრის გადაყვანა ზამთრის საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებზე—თრიალეთის, ჯავახეთის, ლეჩხუმისა და სხვა მთებზე. ცხვრის გარეკა მთაში სწარმოებდა საკმაოდ ნორმალურ პირობებში. ვეტექიმები ყველგან სინჯავდნენ საქონელს და სათანადო მოწმობებს აძლევდნენ ფარის პატრონებს.

აბრეშუმის პარკი

წელს საქართველოში მოსალოდნელია აბრეშუმის პარკის კარგი მოსავალი. საზოგადოება „აბრეშუმის" ცნობით აბრეშუმის პარკის მოსავალს განსაკუთრებით კარგი პირი უჩანს ქუთაისის მაზრაში. მიუხედავად იმისა, რომ წელს ქუთაისის მაზრაში დარიგებული იქნა 81.000 კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლი (შარშან კი 85.000 კოლოფი), აბრეშუმის პარკის მოსავალი ბევრით გადააჭარბებს შარშანდელს. ეს აიხსნება იმ გარემოებით რომ წელს საგრძნობლად იქნა გადიდებული მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორების შტატი, რომელთა ხელმძღვანელობით გლეხები აწარმოებენ აბრეშუმის ჭიის მოვლას.

„თბილისის აღმასკომში"

◆ თბ. საბჭოსთან ახლად დაარსებული მ.-გ. ინსპექციის სექცია უკვე შეუდგა მუშაობას. სექციის ბიუროში შედიან: ამხ. ანთიძე, მარქაროვი, კოზლოვსკი; პერტაია და მანასიანი.

◆ ბოტანიკური ბაღი. თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა გააფართოვოს ბოტანიკური ბაღი და გააშენოს ახალი მცენარეების ხეივნები.

მიწსახკომში

◆ ვენახების მდგომარეობა. მიწსახკომის ცნობით ვენახების მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში დამაკმაყოფილებელია.

◆ მიწათმოწყობა. ამჟამად მიწათმოწყობა სწარმოებს სიღნაღის მაზრაში, ზოგიერთი თემები მიწის მზომლებს მოითხოვენ საკუთარ ხარჯზე.

სხვადასხვა

◆ თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებაში ახალ მასწავლებელთა ადგილებზე ჩასარიცხათ განცხადებების მიღება იწარმოებს 15 ივნისამდე.

„სოფლის კომუნისტი"

გამოვიდა ჟურნალი „სოფლის კომუნისტი" № 5. შინაარსი: ფ. მახარაძე—სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხი. ს. მამულია—მასების კულტურის და პარტგანათლების საკითხები; ვლ. ორჯონიკიძე—საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი; გ. ჯავახიძე—კომკავშირის მთავარი ამოცანები სოფლად და პარტხელმძღვანელობის საკითხები; პარტიული აღმშენებლობა: ს. ლომიძე—პარტამხანაგების დაწინაურების საკითხი უჯრედებში, კ. მელიქაძე—მოჯამაგირეთა შორის მუშაობის საკითხები; ე. ჩერქეზიშვილი—გლეხ-ქალთა შორის საზაფხულო მუშაობა სოფლად; საერთაშორისო მიმოხილვა: ნ. გ-ძე — საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები; ადგილობრივი ცხოვრება: ი. კოდუა—საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ნაკლი გორის მაზრაში; ა. კაკულია — წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის მუშაობის შედეგები და ამოცანები; ა ბოჭუა—ბიუროს გადარჩევის შედეგები ველისციხეში; მ. ბრეგაძე — საბჭოთა საანგარიშო კამპანია შორაპნის მაზრაში; დ. ბლაგიძე — სამაგალითო კოლექტივი. ბიბლიოგრაფია.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ მუსიკალურ ბუფონადის გასტროლები ამ თვის შუა რიცხვებში თბილისში საგასტროლოთ ჩამოვა მოსკოვის მუსიკალური ბუფონადა.

◆ ხალხური სიმღერები. კონსერვატორიის გამგეობა თეორეტიულ კლასის კურს დამთავრებულებს აგზავნის მაზრებში ხალხურ სიმღერების შესაკრებად.

◆ ახალი კინო. ამ დღეებში ნაძალადევში გაიხსნება ახალი კინო, კინო-თეატრი „განთიადი".

◆ ს. ინაშვილის ხელმძღვანელობით კონსერვატორიასთან მოეწყო ვოკალური კვარტეტი.

სასამართლო

ყაჩაღების საქმე უზენაეს სასამართლოში

როგორც ვსწერდით, ყაჩაღებმა სოფელ შილდაში (თელავის მაზრა) გაძარცვეს გლეხი ილია სულხანიშვილი, წაართვეს ნაოფლარი 120 მანეთი და შემდეგ მხეცურად მოკლეს.

ყაჩაღები შეპყრობილ იქნენ. საქმე გაარჩია თელავის მაზრის სასამართლოს სესიამ [illegible] სოფელ შილდაში და ოთხ ბრალდებულს: შაქრო დინგაშვილს, გიორგი მარიაშვილს, გიორგი ზუბიტაშვილს და სოლიკო კველიშვილს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

მსჯავრდადებულებმა განაჩენი გაასაჩივრეს უზენაეს სასამართლოში.

უზენაესმა სასამართლომ გუშინ გაარჩია საჩივარი. უზენაესმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ გიორგი ზუბიტაშვილი და სოლიკო კველიშვილი უფრო პასიური როლს თამაშობდენ თავდასხმის დროს—გარეთ იდგენ სადარაჯოთ და არ მიუღიათ უშუალო მონაწილეობა გლეხის მოკვლაში, ამიტომ მათ დახვრეტა შეუცვალათ 10 წლის თავისუფლების აღკვეთით.

შაქრო დინგაშვილს და გიორგი მარიაშვილს, როგორც გაძარცვის და მკვლელობის ინიციატორებს, შეუცვლელად დარჩათ დახვრეტა.

ხუთასი მანეთი გააცოცა

სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილებაში სასწრაფო თათბირია მოწვეული, განყოფილების გამგე მოხსენებას აკეთებს, რომ საკუჭნაოდან დაიკარგა გადასაცვლელად შემოტანილი გაცვეთილი ფულის ნიშნები 500 მანეთის რაოდენობით. სად უნდა ვეძიოთ? ვის მოვსთხოვოთ?—კითხულობს განყოფილების გამგე.

თათბირს ესწრება ოთხივე მოლარე, რომელთაგან ერთს განსაკუთრებული ნაღვლიანი სახე აქვს, თითქოს ყველაზე უფრო მასზე იმოქმედა ასეთმა უბედურებამ!

— ეჰ! უსათუოდ სამწუხაროა. ამით ყველას ჩირქი გვეცხება! არ მომხდარიყო კარგი იყო რა კი მოხდა, სხვა რა დაგვრჩენია. ჩვენ, მოლარეები, ვართ ვალდებული ავანაზღაუროთ ეს დანაკლისი. შემომაქვს წინადადება: ეს დაკარგული თანხა განაწილებულ იქნეს ოთხივე მოლარეზე.—

— უკაცრავად ბრძანდებით!—გააწყვეტინა უფროსმა მოლარემ. ერთ კაპეიკსაც არ გადავიხდი. გიჟი ვარ? ვიღაცამ აქ ფული ყლაპოს და მე ვიხადო!

—არა, მე ვფიქრობ, რომ არ არის საჭირო ამის გახმაურება! დაწესებულების ავტორიტეტს დაეცემა. ჩემის აზრით, უმჯობესია სოლიდარულად გადავიხადოთ ეს დაკლებული თანხა,—მჭერმეტყველურად „დაასაბუთა" მოლარემ, ვიაჩესლავ გუსაკოვმა.

— არავითარი სოლიდარობა! მე მოვითხოვ საქმე გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოს! გამოიძიონ და ვისაც დაუმტკიცდება, პასუხიც მან აგოს. გათავდა და მორჩა!

გუსაკოვს ფერი ეცვალა, მაგრამ მალე მიიღო ისეთი სახე, თითქოს ძალიან მოხარული იქნება, თუ საქმეს კანონიერი მსვლელობა მიეცემა.

და მართლაც საქმე გადაეცა პროკურორს. იძიეს, იძიეს და მიაგნეს კვალს.

„სოლიდარობის" მომხრე მოლარეს, ვიაჩესლავ გუსაკოვს.

მორიგეობის დროს გაუცოცდება 500 მანეთი, რომელიც გადასაცვლელად იყო მიღებული ბანკში. მიღებული 500 მანეთის მაგიერ, თაროზე შემოუწყვია უკვე გაბათილებული გაცვეთილი ფულის ნიშნები.

თურმე ამიტომ მოითხოვდა გუსაკოვი დანაკლისის სოლიდარულად დაფარვას!.

გუსაკოვი გაასამართლა ქუთაისის სასამართლომ და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით.

ზურ.

ჭადრაკი

შეჯიბრი საქართველოს პირველობაზე

კვირას, 3 ივნისს, ცენტრალური საჭადრაკო კლუბში მოხდა გახსნა პირველი საჭადრაკო შეჯიბრისა საქართველოს პირველობაზე. კენჭის ყრით მოთამაშეთა რიგი განაწილდა შემდეგნაირად: 1) ფედოროვი (ფოთი), 2) გოგლიძე (თბილისი), 3) ებრალიძე (თბილისი), 4) ტალვიკი (თბილისი), 5) სარიკიანი (თბილისი), 6) ივანეზოვი (ქუთაისი), 7) მედვედიევი (ბათომი), 8) კომაროვი (სოხუმი).

კენჭის ყრის შემდეგ ჩატარდა შეჯიბრის 1-ლი ტური.

პირველი ტურის ცენტრალურ პარტიას წარმოადგენდა სარიკიანის შეხვედრა თბილისის ჩემპიონ ტალვიკთან. დებიუტში ტალვიკმა მცირე უპირატესობა მიიღო, მაგრამ მე-15 სვლაზე გააკეთა სუსტი სვლა პაიკით, რითაც ისარგებლა სარიკიანმა და აიძულა ტალვიკი შეეწირა პაიკი. ამას მოჰყვა ტალვიკის მეორე პაიკის დაკარგვა და შემდეგ კი მე-36-ე სვლაზე პარტიის დანებება.

გოგლიძე—მედვედიევი (ინგლისური) პარტიის დასაწყისიდანვე გოგლიძემ თანდათანობით გაუარესა მდგომარეობა შავებს და მედვედიევი იძულებული იყო პაიკი შეეწირა. გოგლიძემ ეს უპირატესობა ბოლომდის მიიყვანა და მე-40-ე სვლაზე აიძულა მედვედიევი დანებებულიყო.

ფედოროვი—კომაროვი (სიცილიური) ყველაზე ხანმოკლე პარტია აღმოჩნდა. ორივე მხარემ შეცდომები დაუშვა. ბოლოს ფედოროვმა მოუგო კომაროვს.

ებრალიძე—ივანეზოვის თამაში არ შედგა, ისინი თამაშობენ თავისუფალ დღეს.

ამ შეჯიბრთან ერთად ტარდება მეორე ჩემპიონატი, რომელშიაც მონაწილეობს 6 კაცი: 1) ხალათოვი (თბილისი), 2) რუდნიკა (ბათომი), 3) ჯიოევი (სამხრეთ-ოსეთი), 4) ოგურცოვსკი (ბათომი), 5) დგებუაძე (ზუგდიდი), 6) კარბარიანი (თბილისი). პირველი ტურის შედეგი: რუდნიკა—ოგურცოვსკი — ყაიმი, ხალათოვი—კარბარიანი — მოიგო კარბარიანმა, ჯიოევი—დგებუაძე—გადადებულია.

თამაში სწარმოებს ყოველდღე სალ. 6 საათიდან ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში.

ვ. გოგლიძე.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 5 ივნისი,

დღეს, 5 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

გლეხთა რადიო-გაზეთი № 2—ქართულ ენაზე.

ჩაის კულტურა საქართველოში—მოხსენება ქართულ ენაზე.

სამხედრო სასწავლებლების შევსების შესახებ—მოხსენება რუსულ ენაზე.

მაგრამის წარმოშობა—თურქულ ენაზე.

ბურჟუაზიული პრესა და მშრომელთა პრესა—მოხსენება რუსულ ენაზე.

გაზეთი „პროლეტარი"—სომხურ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა მუსიკალური ნომრები.

დ ო ღ ი

კვირას, 3 ივნისს, გაიმართა მეშვიდე და უკანასკნელი დოღი ამ სეზონში. დანიშნული იყო სულ 6 შეჯიბრი. დოღი გაიხსნა სამხედრო შეჯიბრით სამხედრო ნაწილების 5 ცხენს შორის. გადასარბენი მანძილი 2.200 მეტრი, ბარიერი 5. პირველობა მიიღო „ორატორმა" (№ ლეგიონის ცხენი), გამარჯვებული მხედარი კალიუჟნი. მეორეთ ფინიშთან მივიდა „ბათუმი". პირველმა მიიღო 36 მანეთი ჯილდო, მეორემ 15 მან.

მეორე შეჯიბრში საქ. მიწსახკომის ორ ცხენს სამხრეთ-ოსეთის ერთ ცხენს და ერთ სამხედრო ცხენს უნდა გაერბინათ 1.600 მეტრი. ფინიშთან ყველა ცხენებს მოუსწრო „დაისმა", მას მიჰყვა „დარეჯანი" ორივე ცხენები ეკუთვნიან საქ. მიწ. სახ. კომისარიატს. პირველმა მიიღო ჯილდო 72 მანეთი, მეორემ 50 მანეთი. მესამე შეჯიბრში, რომელშიაც 6 ცხენს შორის გაიმართა 1.500 მეტრი მანძილზე, პირველად წამოვიდა „თარხანი" (ცხენი ნ. დადიანის), მაგრამ მეორე მოსახვევთან მას წამოეწია „ჯამბო" (კანგებოვის ცხენი) და „სერვი" (აფხაზეთის). მალე „ჯამბომ" ყველა უკან ჩამოიტოვა და პირველი მივიდა ფინიშთან. გამარჯვებული მხედარი საჯ. ბავშვი იუხნოვი. ჯილდო 60 მანეთი.

მეოთხე დოღში ერთმანეთს შეეჯიბრნენ 7 ცხენი (ცხენოსანის ლეგიონების) მოხალისე მხედრებით. გასარბენი იყო 3 ათასი მეტრი. თავიდანვე ყველა ცხენებს წინ გამოუსწრო „ბურმა" (64 ლეგიონი), რომელსაც პირველობა შერჩა უკანასკნელ მოსახვევამდე, მხოლოდ აქ საშინელი სისწრაფით გამოქანდა „აგრი", (66 ლეგიონის), რომელიც დარჩა გამარჯვებული. ჯილდო 48 მანეთი. გამარჯვებული მხედარი კურდიუმოვი.

უკანასკნელ შეჯიბრში 5 ცხენს შორის პირველი ჯილდო მიიღო „მარკიზმა". მეორე „რიცარმა". გასარბენი იყო ორი ათასი მეტრი.

ებრაელთა მიწად-მომწყობ საზოგადოების მიერ გამართულ ლოტარიის მოგებანი

ქვემოდ მოყვანილ ბილეთებს მოგებათ ხვდა 1927 წ. 10 პროც-იან სესხის ობლიგაციების 1-მეხუთედი ნაწილი.

857.468	887.517	916.372	951.700	976.372	877.276	901.826	934.614	964.614	994.614
857.517	888.740	917.776	951.826	977.776	877.468	904.614	936.372	966.372	996.372
858.740	889.973	921.700	954.614	981.700	877.517	906.372	937.776	967.776	997.776
859.973	897.276	921.826	956.372	981.826	878.740	907.776	941.700	971.700	
867.276	897.468	924.614	957.776	984.614	879.973	911.700	941.826	971.826	
867.468	897.517	926.372	—	986.372	887.276	911.826	944.614	974.614	
867.517	898.740	927.776	—	987.776	887.468	914.614	946.372		
868.740	899.973	931.700	961.700	991.700			947.776		
869.973	901.700	931.826	961.826	991.826					

ქვემოდმოყვანილ ბილეთებს მოგებათ ხვდა დიდი ფოტოგრაფიული ალბომი ებრაელ მეურნეთა ცხოვრებიდან.

000.835	123.572	315.408	454.853	581.540	054.540	246.025	388.204	526.845	656.270
002.632	128.927	318.204	457.392	581.845	054.571	247.180	388.803	522.551	661.789
003.862	133.572	318.803	459.096	582.551	055.829	247.386	388.847	522.565	662.178
004.540	138.927	318.847	459.433	582.565	056.156	253.624	392.658	524.127	663.979
004.571	143.572	322.658	462.029	584.127	059.042	254.639	395.219	525.757	666.183
005.829	148.927	325.219	462.855	585.757	060.835	255.364	395.408	525.820	666.270
006.156	153.572	325.408	464.853	585.820	062.632	256.025	398.204	531.540	671.789
009.042	158.927	328.204	467.392	591.540	063.862	257.180	398.803	531.845	672.178
010.835	163.572	328.803	469.096	591.845	064.540	257.386	398.847	532.551	673.979
012.632	168.927	328.847	469.433	592.551	064.571	263.624	402.029	532.565	676.183
013.862	173.572	332.658	472.029	592.565	065.829	264.639	402.855	534.127	676.270
014.540	178.927	335.219	472.855	594.127	066.156	265.364	404.853	535.757	681.789
014.571	183.572	335.408	474.853	595.757	069.042	266.025	407.392	535.820	682.178
015.829	188.927	338.204	477.392	595.820	070.835	267.180	409.096	541.540	683.979
016.156	193.572	338.803	479.096	601.789	072.632	267.386	409.433	541.845	686.183
019.042	198.927	338.847	479.433	602.178	073.862	273.624	412.029	542.551	686.270
020.835	203.624	342.658	482.029	603.979	074.540	274.639	412.855	542.565	691.789
022.632	204.639	345.219	482.855	606.183	074.571	275.364	414.853	544.127	692.178
023.862	205.364	345.408	484.853	606.270	075.829	276.025	417.392	545.757	693.979
024.540	206.025	348.204	487.392	611.789	076.156	277.180	419.096	545.820	696.183
024.571	207.180	348.803	489.096	612.178	079.042	277.386	419.433	551.540	696.270
025.829	207.386	348.847	489.433	613.979	080.835	283.624	422.029	551.845	701.256
026,156	213,624	352,658	492,029	616,183	082.632	284.639	422,855	552,551	702.212
029.042	214.639	355.219	492.855	616.270	083.862	285.364	424.853	552.565	702.226
030,835	215,364	355,408	494,853	621.789	084.540	286.025	427.392	554.127	706.043
032.632	216.025	358.204	497.392	622.178	084.571	287.180	429.096	555.757	711.256
033.862	217.180	358.803	499.096	623.979	085.829	287.386	429.433	555.820	712.212
034.540	217.386	358.847	499.433	626.183	086.156	293.624	432.029	561.540	712.226
034.571	223.624	362.658	501.540	626.270	089.042	294.639	432.855	561.845	716.043
035.829	224.639	365.219	501.845	631.789	090.835	295.364	434.853	562.551	721.256
036.156	225.364	365.408	502.551	632.178	092.632	296.025	437.392	562.565	722.212
039.042	226.025	368.204	502.565	633.979	093.862	297.180	439.096	564.127	722.226
040.835	227.180	368.803	504.127	636.183	094.540	297.386	439.433	565.757	726.043
042.632	227.386	368.847	505.757	636.270	094.571	302.658	442.029	565.820	731.256
043.862	233.624	372.658	505.820	641.789	095.829	305.219	442.855	571.540	732.212
044.571	235.364	375.408	511.845	643.979	096.156	305.408	444.853	571.845	732.226
045.829	236.025	378.204	512.551	646.183	099.042	308.204	447.392	572.551	736.043
046.156	237.180	378.803	512.565	646.270	103.572	308.803	449.096	572.565	741.256
049.042	237.386	378.847	514.127	651.789	108.927	308.847	449.433	574.127	742.212
050.835	243.624	382.658	515.757	652.178	113,572	312,658	452,029	575.757	742.226
052.632	244.639	385.219	515.820	653.979	118.927	315,219	452,855	575.820	746.043
053.862	245.364	385.408	521.540	656.183					

იურიდიული დახმარება

კავშირის წევრს, წიგნაკი № 24551

კ ი თ ხ ვ ა

ვღებულობ თვეში 49 მან. 30 კაპ. ვცხოვრობდი ჩემ სიძესთან, რომელიც ქირას იხდიდა როგორც ვაჭარი. უკანასკნელად ის სადღაც გადაიკარგა. მე კი დავრჩი მის ბინაზე. ვასაზრდოებ მის ცოლს და შვილებს. სახლის პატრონი ჩემგან თხოულობს ბინის ქირას ისე—როგორც იღებდა ჩემ სიძისაგან. შეიძლება თუ არა ჩავითვალო მცხოვრებად და რამდენი უნდა ვიხადო თვეში?

პ ა ს უ ხ ი

სახლის პატრონს არ აქვს უფლება მოგთხოვოს იმაზე მეტი, რაც გახაზღვრულია საბინაო ნიხრით; ოთახის ქირა უნდა იხადოთ თერთმეტი კაპ. კვადრატულ მეტრზე.

ბარბარე ფაჩულიას

კ ი თ ხ ვ ა

ვარ გაყრილი ქმართან. მყავს ერთი შვილი 3 წლისა. ვცხოვრობ დროებით თბილისში. სოფელში მაქვს შეკავებული 1 ნახ. ქცევა მიწა ხეხილით და ხეებით და არც მაქვს მეტი საცხოვრებელი წყარო.

გეკითხებით, მეკუთვნის თუ არა ეს მიწა?

პ ა ს უ ხ ი

თუ მიწა თქვენ მოგეცათ სარგებლობისათვის და არა თქვენს ქმარს, რომელსაც თქვენ გაეცილდით, ის თქვენივე სარგებლობაში დარჩება. მეურნეობის გარეშე დროებით ყოფნის გამო თქვენ მიწა ვერ ჩამოგერთმევათ. მაგრამ თუ ეს მიწა მიეცა სარგებლობისათვის თქვენს ყოფილ ქმარს და მასთან გაცილების გამო წადით კომლიდან, მიწიდან წილი არ მოგეცემათ, რადგან თქვენს სარგებლობაში არ იყო იმდენი მიწა, რომ ის იყოს საკმარისი (არა ნაკლებ ნახევარი ნორმისა) ცალკე მეურნეობის დასაარსებლად.

№ №

კ ი თ ხ ვ ა

1925 წელში გამიწვიეს ჯარში. ჩემი ოთახი დავუტოვე ამხანაგს, რომელიც ჩემთან ცხოვრობდა. ახლა მე გავათავე სამხედრო სამსახური. ამჟამად ვარ უბინაოთ. იმ ჩემ დატოვებულ ოთახში კი ცხოვრობს ჩემი ამხანაგი. ვის უნდა მივმართო იმაზე, რომ ჩემი ოთახი დამიბრუნდეს უკან?

პ ა ს უ ხ ი

ოთახზე უფლება დაკარგული გაქვთ.

ოფის. განყოფილება

დადგენილება № 21—140

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახკომისარიატის რწმუნებულისა საქართველოში

1928 წლ. მაისის 25.

ნედლი და შინამრეწველურ ჩაის ფასების დაწესების და მოვაჭრე ორგანიზაციების კონტინგენტის შესახებ.

ამიერ-კავკ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების მუხლ. 13-ს 3 „მ"-ს თანახმად ამიერ-კავკ. შინა-ვაჭრობის სახკომისარიატის დროებითი დებულების შესახებ და ს.ს.ს.რ. ეკონომიურ საბჭოს 1928 წლ. 3 აპრილის დადგენილების (ოქმი №6) თანახმად ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახკომისარიატის რწმ. საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებულ იქნას ჩაის ნედლ მწვანე ფოთოლზე ხარისხის მიხედვით შემდეგი ფასები:

1 ხარისხისა—1 გირ.—48 კაპ.
მე-2 ხარისხისა 1 გირ.—37 კაპ.

§ 2

საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩაის დამუშავების გადაწონვის, შეხვევის და გაყიდვის უფლება აქვს მხოლოდ „საქართველოს ჩაის" ამიერ-კავკ. კოოპერატიულ კავშირს და ამიერ-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობას.

§ 3

ამიერ-კავკ. სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომლებიც შედიან საქართველოს ს.ს. რესპუბლიკაში, და ყველა ადგილობრივი შინა-ვაჭრობის კომისიას ევალებათ ფხიზლად ადევნონ თვალყური ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 4

ამ დადგენილების დამრღვევნი იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისა შინავაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 5

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერ-კავკ. ვაჭსახკომის რწმუნებული საქართველოში საკიანი.
საქმეთა მმართველი კალანდაძე.

შაქრის ჭარხლის რაიონის გამოკვლევა

1 ივნისიდან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ცენტრალური სტატისტიკურ სამმართველოსთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭ. შეთანხმებით შეუდგა შაქრის ჭარხლის რაიონის გამოკვლევას გორის მაზრაში, სადაც განზრახულია შაქრის ქარხნის აგება. გამოკვლევის მიზანს შეადგენს ადგილობრივ პირობების შესწავლა და სრული ეკონომიური დასაბუთება, და საესებით დადასტურება იმისა, რომ შაქრის ჭარხლის მრეწველობის განვითარებას ამ რაიონში აქვს მტკიცე ნიადაგი. გამომკვლევთა ჯგუფში შედის 10 რეგისტრატორი და ორი კონტროლიორი: ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევს აგრონომი-ეკონომისტი ე. ასათიანი, ხოლო მთელ გამოკვლევას ხელმძღვანელობს მიწსახკომთან არსებული გამომკვლევი ბიურო, რომელშიაც შედიან მიწსახკომის სტატგანყოფილების, ცენტრ. სტატ. სამმართველოს წარმომადგენელი და შაქრის ქარხნის სამშენებლო კომისიის წევრი. პირველად მოხდება რაიონის კომლეური და სოფლობრივი ეკონომიური აღწერა, ხოლო ამ მასალის წინასწარი დამუშავების შემდეგ ტიპიურ მეურნეობათა საბიუჯეტო გამოკვლევა, ამ გამოკვლევის გეგმა დამტკიცებულია მიწსახკომის და ცენტრ. სტატისტიკ. სამმართველოს საგეგმო კომისიის მიერ. გამოკვლევის პირველი ნაწილი დამთავრდება ერთ თვეში.

რემედასში

იტალიელ კომუნისტების დასაცავად

იტალიის კომპარტიის ც. კ. პროცესთან დაკავშირებით საქ. რემედასმა ყველა რაიკომებს, უჯრედებს და ბიუროებს დაუგზავნა მოწოდება.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ—მოსალოდნელია იტალიელ კომუნისტთა პროცესის დასასრულება, ამიტომ საქ. მშრომელმა მოსახლეობამ უნდა აღიმაღლოს ხმა იტალიის ფაშისტურ ხელისუფლების წინააღმდეგ ჩვენი ამხანაგების დასაცავად.

საინსტრუქციო თათბირი

საზაფხულო მუშაობის სხვადასხვა პრაქტიკულ საკითხების მოსაგვარებლად რემედასის ც. კ. გადასწყვიტა მოიწვიოს საინსტრუქციო თათბირი ორჯერ მთელი საზაფხულო სეზონის განმავლობაში.

რკინისგზებზე

ზარალი ნამქრებისაგან

გასულმა ზამთარმა რკინის გზებს მეტად დიდი ზარალი მიაყენა. გარდა მატარებლების მოძრაობის ხშირი შეწყვეტით გამოწვეულ ზარალისა, ნამქრებთან ბრძოლაზე გასული ზამთრის განმავლობაში დაიხარჯა — 465.747 მანეთი.

ხიდების მშენებლობა

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ტეხურისა და ნოგელის ხიდების ასაგებად. 1-ლ ოქტომბრისათვის განზრახულია ხიდების საფუძვლების და ჯებირების დამთავრება. ახლო ხანში მოელიან ახალ ფერმებს ამ ხიდებისათვის.

მოსაბრუნებელი წრეები

ამიერ-კავკ. რკინის გზათა სამმართველომ დაამთავრა ახალი ტიპის მოსაბრუნებელი წრეების დადგმა ბაქოსა და ბალაჯარაში.

პრაქტიკანტების ჩამოსვლა

მიმდინარე ზაფხულის არდადეგებზე ამიერკავკასიის რკ. გზ. საექსპლოატაციო დარგში მოვლინებულია ტეხნიკუმებისა და უმაღლეს სასწავლებლებისაგან 79 მსმენელი.

ავიაქიმში

მზადება თავდაცვის კვირეულისათვის

ა. კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება შეუდგა მზადებას თავდაცვის კვირეულის ჩატარებისათვის. საზოგადოების მიერ შემუშავებულია კვირეულის ჩატარების გეგმა, რომელიც მოკლე ხანში დაეგზავნება ორგანიზაციებს.

თათბირი საჰაერო-ქიმიურ თავდაცვის საკითხებზე

7 ივნისისათვის ა. კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება იწვევს თათბირს საჰაერო-ქიმიურ თავდაცვის საკითხებზე თათბირზე მოწვეულ არიან ადგილებზე მომუშავე ამხანაგები.

ავიაქიმის ახალი უჯრედი

საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველოსთან დაარსდა ავიაქიმის უჯრედი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას თანამშრომელთა შორის.

სამმართველოსთან მოკლე ხანში მოეწყობა ავიაქიმის კუთხე.

შემთხვევები

თვითმკვლელობის განზრახვა

გუშინწინ, ღამით სულემის ხსნარით თავი მოიწამლა ბარბალე თედოს ასულმა გოგიტაშვილმა. გოგიტაშვილის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

გუშინწინ, დღისით, თვითმკვლელობის მიზნით იოდი დალია მარიამ ზარდიაშვილმა (მცხ. ახალ-არსენალის ქ. № 29) ზარდიაშვილის ქალს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს საავადმყოფოში.

გუშინ მოქ. კონსტანტინე ივანეს ძე შაიშმაშვილმა (მცხ. ნინოშვილის ქ. № 37) რევოლვერის ტყვიით დაიჩრა თავი. შაიშმაშვილი გაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

ქურდობა ბორჯომის წყლების კანტორაში

გუშინწინ, ღამით, გაქურდეს ბორჯომის წყლების კანტორა (რუსთაველის პროსპექტი № 10). ბოროტმოქმედებმა საფულე ყუთს აგლიჯეს ბოქლომი და წაიღეს კასაში დარჩენილი 3 მანეთი.

ჯიბგირების დაპატიმრება

უკანასკნელ ხანებში ქალაქის მე-7 და მე-9 სამილიციო რაიონებში გახშირდა ჯიბიდან ფულის ამოცლის შემთხვევები. გამოირკვა, რომ ამ რაიონებს შემოეჩვია ჯიბგირების ერთი ჯგუფი, რომლის წევრები დახელოვნებული ქურდი-რეციდივისტებია. სულ მცირე დროის განმავლობაში მათი მსხვერპლი შეიქმნა მრავალი მოქალაქე. ამას წინად ერთმა მოქალაქემ, რომელსაც ჯიბიდან ფული ამოაცალეს, მომხდარი ამბის შესახებ განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში. გუშინწინ ყველა ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს. ისინი აღმოჩნდენ: მიხეილ ასლანის ძე ახმედოვი, ალატონ მორდესის ძე კაკიტელაშვილი და ალექსანდრე გიორგის ძე ბეგალოვი.

გაფლანგვა მე-5 უბნის სახ. სასამართლოში

იუსტიციის სახ. კომისარიატის განკარგულებით დაპატიმრებულია ქ. თბილისის მეხუთე უბნის სახ. სასამართლოს ყოფ. მდივანი არტ. სუხანოვი, რომელსაც ბრალდება სასამართლოში შემოსულ თანხების სულ 37.52 მან. გაფლანგვა.

თავდაცვა-ავიაქიმის მეორე საკავშირო ლატარია

26—27 მაისს ხარკოვში გაიმართა თავდაცვა-ავიაქიმის მეორე საკავშირო ლატარიის მოგებათა გათამაშება

თითეულმა ქვემოჩამოთვლილ 13 ნომრიდან მოიგო წლიური ხელმოწერა ჟურნალ „ავიაცია და ქიმია"-ზე უახლესი ავიაქიმიური ლიტერატურის დამატებით (ღირებული 4 მ. 80 კაპ. თითეული):

ბილ. №№	სერიების №№										ბილ. №№	სერიების №№									
00.788	13	43	73	103	133	163	193	223	253	283	06.167	22	52	82	112	142	172	202	232	262	292
01.107	1—300										06.373	2	32	62	92	122	152	182	212	242	272
01.335	14	44	74	104	134	164	194	224	254	284	06.417	8	38	68	98	128	158	188	218	248	278
02.550	18	48	78	108	138	168	198	228	258	288	06.677	24	54	84	114	144	174	204	234	264	294
03.915	1—300										06.781	19	49	79	109	139	169	199	229	259	289
05.204	17	47	77	107	137	167	197	227	257	287	06.785	1—300									
05.615	10	40	70	100	130	160	190	220	250	280											

თითეულმა ქვემოდმოყვანილ 21 ნომრიდან მოიგო მფრინავი მოდელი (ღირებული 6 მან. თითეული):

ბილ. №№	სერიების №№										ბილ. №№	სერიების №№									
00.525	7	37	67	97	127	157	187	217	247	277	04.517	1	31	61	91	121	151	181	211	241	271
00.637	6	36	66	96	126	156	186	216	246	276	04.702	10	40	70	100	130	160	190	220	250	280
01.392	2	32	62	92	122	152	182	212	242	272	05.147	1—300									
01.688	17	47	77	107	137	167	197	227	257	287	05.185	1	31	61	91	121	151	181	211	241	271
02.213	26	56	86	116	146	176	206	236	266	292	06.627	5	35	65	95	125	155	185	215	245	275
02.342	29	59	89	119	149	179	209	239	269	299	07.433	12	42	72	102	132	162	192	222	252	282
03.125	15	45	75	105	135	165	195	225	255	285	07.569	15	45	75	105	135	165	195	225	255	285
03.146	17	47	77	107	137	167	197	227	257	287	07.784	21	51	81	111	141	171	201	231	261	291
03.232	30	60	90	120	150	180	210	240	270	300	09.306	1	31	61	91	121	151	181	211	241	271
03.357	26	56	86	116	146	176	206	236	266	296	09.648	28	58	88	118	148	178	208	238	268	298
04.243	10	40	70	100	130	160	190	220	250	280											

თითეულმა ქვემოდმოყვანილ 36 ნომრიდან მოიგო გაფრენა საბჭ. კავშირის დიდ ქალაქებზე (თითეულის ღირებულება —10 მან., შეიძლება შეცვლილ იქნეს შესაფერი ღირებულების ნივთეულით):

ბილ. №№	სერიების №№										ბილ. №№	სერიების №№									
00.058	1—300										04.055	5	35	65	95	125	155	185	215	245	275
00.247	7	37	67	97	127	157	187	217	247	277	04.198	12	42	72	102	132	162	192	222	252	282
00.298	1—300										04.625	1	31	61	91	121	151	181	211	241	271
00.354	25	55	85	115	145	175	205	235	265	295	04.820	4	34	64	94	124	154	184	214	244	274
00.654	20	50	80	110	140	170	200	230	260	290	05.005	30	60	90	120	150	180	210	240	270	300
00.947	16	46	76	106	136	166	196	226	256	286	05.064	1—300									
01.246	17	47	77	107	137	167	197	227	257	287	05.090	24	54	84	114	144	174	204	234	264	294
01.693	1—300										05.185	12	42	72	102	132	162	192	222	252	282
01.766	1—300										05.231	1—300									
01.881	13	43	73	103	133	163	193	223	253	283	05.793	1—300									
02.113	1—300										06.021	1	31	61	91	121	151	181	211	241	271
02.255	1—300										06.368	1—300									
02.280	14	44	74	104	134	164	194	224	254	284	06.451	1—300									
03.151	1—300										06.566	1—300									
03.390	27	57	87	117	147	177	207	237	267	297	06.873	1—300									
03.688	1—300										09.233	7	37	67	97	127	157	187	217	247	277
03.706	1—300										09.397	6	36	66	96	126	156	186	216	246	276
04.047	27	57	87	117	147	177	207	237	267	297	09.820	12	42	72	102	132	162	192	222	252	282

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 5 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევართ: კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: პავლე ურლიკოვი, გარეგინ კორნიევი, არშენაკ ზეგიჯანოვი და ამაიაკ ფხიანცი. მიღებულია აგრეთვე მოთხოვნილება ემულსიონერებზე (ფოტო-ფირფიტების დამამზადებელი), მსურველებმა უნდა მიმართონ პირველ სექციაში ამხ. შეროევს; გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ალექსანდრე სანაძე; ნიკოლოზ ელიზბარაშვილი; სამსონ წვერავა; ნადეჟდა ღვდელაძე; ანაიდა კოტაიდი; არშენაკ მოელიანცი, მიხეილ აზატოვა, ა. მარტიროსოვი; გაიკ ხანჯიანი; ალექსი უსეინაშვილი; დავით ბიხარაშვილი; თედორე ბეკრუტიანი; ლეონ ლაჩიანი; პავლე პეტროსიანი; მიხეილ დარდიმანოვი; ლევან სოგაიელოვი; სვიმონ ცირილაძე; ნადეჟდა გაბაშვილი; გიორგი ტყეშელაშვილი; მარიამ შახმურადოვა; ივანე ხაჩატუროვი; ლიდია სოზოვა; გიორგი ნათენაძე; ოგანეზ შარიმანოვი; ხარუნ სარქისოვი; ნიკოლოზ კორსუნოვი; ავეტიქ ალექსანდრიანი; კარაპეტ ვართანიანი; ივანე არუთინოვი; იულია არღუთინსკაია-დოვგალევსკაია; ბიქტორ მგელაძე; ოგანეს მიკირტუმოვი თამარ მირიანაშვილი; თამარ ნადარეიშვილი; ბარბალე ცოხაშვილი; პავლე წიწვიაძე; ერმილე ვარტიგულოვი; სიმონ სოლღანაშვილი; ეფრემ ევსაევი; ივანე არზიდი; გურგენ მხითარიანცი; პავლე კალანდარიშვილი; არტემ შავერდოვი და ოგანეს მიკირტუმოვი; შავ მუშაკთა მესამე სექციიდან: აკაკი გოგაძე; სარბეკ სარქისოვი; მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: მარიამ ბელთონიანი; სოლომონ გამიწაშვილი; მიხეილ სურამელაშვილი; ლეონ ტემასოვი და შიო რთველაშვილი. მედიცინის მუშაკთა სექციიდან: თამარ სულხანიშვილი; ვარდან თომიანი; იაკ ფერშაგანოვი; ილია მესხი და თედორე დუნიკოვი.

პარტიული კალენდარი

საქართველოს ა.ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 6 ივნისს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია საქართველოს ა.ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტის მორიგი მესამე პლენუმი. თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრ-კანდიდატებთან ერთად.

პლენუმის წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

ლენინის რაიონის მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 6 ივნისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია ქალორგანიზატორთა, ქალთა კომისიათა და პიონერ კოლექტივთა ხელმძღვანელების თათბირი. ქალორგანიზატორთა და ქალთა კომისიათა ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.

—:—

სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის პარტკოლექტივის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 5 ივნისს, საღამოს 6 საათზე შესდგება ამავე ფაკულტეტის პარტკოლექტივის (კომუჯრედის) კრება.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

დღეს, 5 ივნისს საღამოს 5 საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებულ ა.ლ.კ.კ. უჯრედის მორიგი კრება.

წევრ-კანდიდატთა დასწრება აუცილებელია.

—:—

დღეს, 5 ივნისს, დღის 1-ლ საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის პარტკოლექტივის ბიუროს სხდომა.

მეცხვარეთა ამხ-ბა „თერგ-არაგვი-ხევი"-ს გამგეობა და თანამშრომლები იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპნენ თავის მოვალეობის ასრულების დროს ყიზლიარის ოლქში ამავე ამხანაგობის გამგეობი წევრი

ილია ნიკოლოზის-ძე კაიშაური

და რწმუნებული

ვასილი ივანეს-ძე კობიაშვილი

2571

ღრმად დამწუხრებულნი ვაჟი პლატონი და რძალი ალექსანდრა შვილებით: კლარა, ორჯონიკა და სერგეი და ცოლი მაკრინე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 4 ივნისს გარდაიცვალა ქალაქის მე-2 საავადმყოფოში მათთვის დაუვიწყარი პირველთა მამა, ხოლო უკანასკნელის მეუღლე

თედორე შიშინაშვილი

ცხედრის გამოსვენება—ოთხშაბათს ქ. მე-2 საავადმყოფოდან (ყოფ. ალექსანდროვის), საღამოს 4 საათზე (კამოს ქუჩა), დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2570

ღრმად დამწუხრებულნი და ევდუკი, დისწულები: ილიკო და ქეთო გურგენიძეები, ბიძაშვილები: პლატონ, ავქსენტი და აკაკი კორიფაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ დ. ჩოხატაურის საავადმყოფოში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 2 ივნისს, გარდაიცვალა თბილისის მუშათა უნივერსიტეტის ლექტორი

აზიზო ლუკას-ძე კორიფაძე

დასაფლავების დღეთ დანიშნულია 5 ივნისი, სოფ. წიფარში (გურია). ნ. 1197

საზაფხულო ეთერი	მეორე კვირა „მშვიდობით ახალგაზრდობავ"	კარმენ ბონის მონაწილ.
საზაფხულო დარბაზი	მეორე კვირა „კენიგსმარკ"	პიერ ბენუას რომანის მიხედვით
პალასი	დიდის წარმატებით მიდის „ზღვის გმირი"	1 და 2 სერია
მინიონი	სტრიჟევსკი, იანოვა მხატვრულ დრამაში „მონასტრის კედლებს იქით"	
აპოლო	მხატვრული ფილმი „პანბურლეის საფლავი"	მთავარ როლში ბორ. ნიხინი
სოლეი	ამერიკის სათავგადასავლო ტრიუკების ვილიამ დესმონდი სათავგადასავლო კინო-რომანში „საიდუმლოებათა კუნძული"	1 და 2 სერია ერთად
ოდეონი	მხატვრული სურათი „სოროჩინის ბაზრობა"	ნ. გოგოლის ნაწარმოების მიხედვით.
პროლეტარი ავლაბარი	უკანასკნელი დღე „ვინა ხარ შენ"?	

ანონსი:—მალე მხატვრული ფილმი „ყვაჩი" 0—4

ახალი მუშათა კლუბი კომინტერნის ქუჩ. № 5,
დღეს, 5 ივნისს,
სახელმწიფო ოპერის აკადემიური ორკესტრის (55 მსახ.)
პირველი სიმფონიური ორკესტრი
სახალხო მსახიობის მ. ი. ჩერნიახოვსკის ხელმძღვანელობით.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
დაწვრილებით აფიშებში ნ. 1195 წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს ვერ შეუშლის.

მედსანშრომის საზაფხულო კლუბი (ვ. სტელა)
დღეს, სამშაბათს, გამართება
დიდი კონცერტი—ბალეტი
სახ. აკადემ. ოპერის პრემიერ ლეონ ისეცკის და სახ. ოპერის მსახიობ პრიგალოვის, გადრიის, ბუმბერისის, ვასხენკოს, ოქრომჭედლიძის.
სახ. ბალეტის მსახ. დიმიტრიევის, გაუერის, გვარამაძის და სხ. მონაწილეობით. საღამოს 7 საათიდან ბაღში დაუკრავს ქართ. ცხენ. ლეგიონის სასულე ორკესტრი.
ნ. 1196

თბილისის მე-4 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 8 ივნისს 1928 წ. დღის 2 ს. სახლში № 18 იაზონოვის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ალექსი ბანეთაშვილის მოძრავ ქონებას: კაკლის კამოდს, ტანისამოსის გარდერობს, გრამაფონს ფირფიტებით, სხვადასხვა ხალიჩებს, საჩაიე მაგიდას ნიკელის და სხვ. შეფასებულს 285 მანეთად, მოქ. ნინო თუშმალიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 19 მარტს 1928 წ. თარიღით, № 1399 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2565

ქ. თბილისის მე-3 უბნის სასამართლო აღმასრულებ. ი. დ. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 8 ივნისს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 29-ში. კომუნალურ ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მამად ახპერ სტატარ ოღლის მოძრავ ქონებას: თექვსმეტ ვენის სკამებს, ხუთ მაგიდას, ერთ-დიდ სამოვარს, ოთხ ნარდს და სხვადასხვა დუქნის მოწყობილობებს შეფასებულს 128 მანეთად, ნეიმატ ალი-ოღლის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის № 4 სახ. სანოტარო კანტორისაგან 25 აპრილის 1928 წ. თარიღით, № 1458 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2566

ქ. თბილისის მე-5 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ბ. გამაზოვი

ამით აცხადებს, რომ ის 13 ივნისს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში 22-ში საჩილავოს ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალბერტ სამუილის-ძე მადერის მოძრავ ქონებას: ერთ ძროხას 9 წლისა, მეწველი, შეფასებულს 100 მანეთად, ავეტის ქრისტოფორეს-ძე საპკოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 სანოტარო კანტორისაგან 14 მარტს 1928 წ. თარიღით, № 626 გაცემულ აღსრულებითი წარწერით. 2568

ქ. ტფილისის მე-5 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი ბ. გამაზოვი

ამით აცხადებს, რომ ის 7 ივნისს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 38-ში, ვლადიმეროვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გაიკ გრიგორიანცის მოძრავ ქონებას: სამი ძროხა, ერთი ექვსი წლისა (6), ერთი ხუთი წლისა (5) და ერთი ოთხი წლის (4). შეფასებულს 200 მანეთად, „ზაკტპო"-ს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-5 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 9 მაისიდან 1925 წ. თარიღით № 1001 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2568

იყიდება
გიორგი გოგელიასეული სახლი
ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლო, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში, თბილისი, რუსთაველის პრ. № 34.
0—7 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ძრავი
ნავთობის, 44 ძალიანი
შემთხვევით
იყიდება
ნახვა დილით 8 საათ.
ნაშუადღევის 2 საათ.
კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 196
2—1 2559

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოტერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)ქორესის ქ. კუთხე.

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47
ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
დარეჯან ე.
თაყაიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.
მისამართი: ვარციხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
25—2

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ●●● ●●● ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. ხაპიორის) 19 ივნისს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი ლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ.7 ნახ.—8 ნახ. საათ.

თანახმად განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებისა,
ამა წლის 20 ივნისს შესდგება
უკანასკნელი და საგოლოვო სესია
საგამოცდო სესია იმ პირთა გამოსაცდელად, ვისაც სურს მიიღოს: 1) კბილის ექიმის წოდება, 2) კბილის ტეხნიკოსის წოდება.
მსურველმა წერილობითი განცხადება სათანადო საბუთებით უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 15 ივნისისა, საგამოცდო სესიის თავმჯდომარის სახელზე, შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 126 სტომატოლოგიური კლინიკა. იქვე შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება. 13—1

დაეკარგა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატრიკული წიგნაკი ელენა ლევანის ასულის სიხარულიძეს სახელზე, ჩ. გ. 2563

დაეკარგა: ხელოვ. მუშაკ. კავშირის საწევრო წიგნაკი № 96693 ლარისა მიხეილის ასულის ქუთათელაძის სახელზე, ჩ. გ. 2561

დაეკარგა: ინვალიდობის მოწმობა სერგო დავითის-ძე ერისთავის სახელზე, ჰ. გ, 2564